

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია
ენათმეცნიერების ინსტიტუტი

უ. აფრიდონიკა

სიტყვათგანლაგება ახალ ქართულში

(XIX–XX საუკ. პროზის მიხედვით. მარტივი წინადადება)



წინამდებარე ნაშრომი წარმოადგენს ნარკვევს სიტყვათგანლაგების შესახებ, რომელიც, მიუხედავად მისი აქტუალობისა, ქართული ენის სინტაქსისა და სტილისტიკის ნაკლებად დამუშავებული საკითხების არეშია მოქცეული. ნაშრომში სპეციალურად არის ამ თვალსაზრისით შესწავლილი მარტივი წინადადება ახალ ქართულში — XIX საუკ. მეორე ნახევრიდან დღემდე. მასალად უპირატესად გამოყენებულია აღნიშნული პერიოდის ქართულ კლასიკოსთა პროზაული ნაწარმოებები, ნაწილობრივ — ორიგინალური სამეცნიერო და თარგმნილი მხატვრული ლიტერატურა, აგრეთვე, ზეპირი (სასაუბრო) შეტყუველების ნიმუშები.

ნაშრომს ერთვის სათანადო სიხშირული ცხრილები.

რედაქტორი პროფ. შ. ძინიბუშრი

რეცენზენტები: პროფ. ა. კ ი ზ ი რ ი ა

პროფ. ზ. ჭ უ მ ბ უ რ ი ძ ე

შენსავალი

სიტყვათგანლაგება¹ ერთი იმ საზომთაგანია, რომლებიც საფუძვლად უდევს ენათა დაყოფას გარკვეულ ტიპებად. კერძოდ, გამოიყოფა: 1) ენები, რომლებსაც ახასიათებს თავისუფალი სიტყვათგანლაგება, და 2) ენები, რომლებსაც ახასიათებს განსაზღვრული სიტყვათგანლაგება. ცნებები „თავისუფალი“, „განსაზღვრული“ შეფარდებითი მნიშვნელობით არის ნახმარი, ვინაიდან პრაქტიკულად თითქმის არ არსებობს ისეთი ენა, რომელშიც სიტყვათგანლაგება აბსოლუტურად თავისუფალი ან აბსოლუტურად განსაზღვრული იყოს [71, გვ. 137].

სიტყვათგანლაგების სიმყარე-თავისუფლების შეფარდება გულისხმობს მისი ფუნქციების — გრამატიკულისა და სტილისტიკურის შეფარდებას შესაბამისად. სპეციალურ ლიტერატურაში მიუთითებენ, რომ „ინტონაცია და ადგილმდებარეობა (ხაზი ჩვენია. შ. ა.) სინტაქსურ საშუალებად ითვლება მხოლოდ იმდენად, რამდენადაც ფორმის ფუნქციას ასრულებენ [57, გვ. 114]. მაგრამ ყველა იმ შემთხვევაში, როცა სიტყვათგანლაგება გრამატიკულ ფუნქციას ასრულებს, იგი მკაცრად განსაზღვრული უნდა იყოს [71, გვ. 13; 77, გვ. 11]. გრამატიკულ ფუნქციაში, ჩვეულებრივ, ივარაუდება წინადადების წევრთა განმასხვავებელი ფუნქცია. „თავისუფალი რიგის“ შემთხვევაში კი იგი დაცლილია აღნიშნული ფუნქციისაგან: რიგს აფიქსები ენაცვლება. სამაგიეროდ, საკომუნიკაციო ფუნქციის შენარჩუნებასთან ერთად, იგი იძენს სტილისტიკურ ფუნქციას, რის გამოც სიტყვათგანლაგება არსებითად სტილისტიკის (ა. მ. ე. ე. სიტყვით — რიტორიკის [85]) შესასწავლ საგნად იქცევა. ცხადია, არ გამოირიცხება სიტყვათა ჩვეულებრივი განლაგება ზოგიერთ გამოთქმა-კონსტრუქციაში, მაგრამ იგი არ განსაზღვრავს სიტყვათა გრამატიკულ როლს, ვინაიდან ყოველთვის შეიძლება მის ნაცვლად სხვა განლაგება გამოვიყენოთ [85, გვ. 369].

¹ ტერმინებს — „სიტყვათა რიგი“, „წყობა“ — ეამჯობინეთ „სიტყვათგანლაგება“ (რომელიც ქართულისათვის პირველად ბ. ფოჩხუაშვილმა [48] გამოიყენა), რადგან იგი გულისხმობს როგორც ცალკეულ სიტყვათა პოზიციას, ასევე მათს თანამიმდევრობას.

რამდენადაც სიტყვათგანლაგების საკითხი ახალ ქართულში უშუალოდ უკავშირდება ენის ნორმისა და სტილისტიკის საკითხს, ბუნებრივია ამ პრობლემის აქტუალობა პრაქტიკული თვალსაზრისით, რაც არაერთგზის აღნიშნულა კიდევ პრესასა და სამეცნიერო ლიტერატურაში [1; 9; 11; 18; 35; 36; 54]...

ამიტომ მოულოდნელი არ არის, რომ მსჯელობაში მეცნიერთა გვერდით სხვადასხვა დროს მონაწილეობა მიუღიათ მწერლებსაც (საკმარისია დავესახელოთ აკაკი, იაკობ გოგებაშვილი, მიხეილ ჭავჭავაძევილი). უურნალისტებსაც... მაგრამ ამიტომვე არც ის არის მოულოდნელი, რომ დასკვნები, ჩვეულებრივ, ზოგად შთაბეჭდილებებს (თუნდაც სწორს) ეყრდნობა და არა მრავალრიცხოვანი ენობრივი ფაქტის სისტემატურ და დეტალურ მეცნიერულ ანალიზს. აქედან გამომდინარე, მიუხედავად საკითხის აქტუალობისა, სიტყვათგანლაგება ახალ ქართულში კვლავ ნაკლებად დამუშავებული საკითხების წრეში რჩება, თუმცა ზოგადად მისი კვლევის ისტორია არცთუ უსააკოა.

პირველი საგულისხმო აზრი საანალიზო საკითხის შესახებ გამოიკვეთა ჭერ კიდევ გასულ საუკუნეში აკაკი წერეთელსა და იაკობ გოგებაშვილს შორის გამართულ პოლემიკაში [60; 13]. უნდა ითქვას, რომ ეს საკითხი ორივე მოპაექრეს იმთავითვე ლოგიკურ და ესთეტიკურ-სტილისტიკურ (და არა გრამატიკულ) სიბრტყეზე ესახებოდა. ამას მოწმობს ხშირი ხმარება ცნებებისა „აზრი“, „კეთილზმოვანება“, რომლებიც მიჩნეულია სიტყვათა ამა თუ იმ დალაგების მიზნად. „კეთილზმოვანებაში“, კერძოდ, აკაკი გულისხმობს წინადადების დამთავრებას შემასმენლით, როგორც ქართული ენის თვისებას.

ამ აზრის სისწორეს ი. გოგებაშვილისათვის მხოლოდ შეფარდებითი მნიშვნელობა აქვს: შემასმენლის ბოლოკიდურობის პირობა მისთვის სამართლიანია მხოლოდ მოკლე ფრაზებში, ვრცელ ფრაზებში კი, მისი დაკვირვებით, შემასმენელს შუა ადგილი უქირავს, რაც ქართული ენის ღირსებად არის მიჩნეული. ენის ამგვარი შეფასება გამომდინარეობს იმ მნიშვნელობიდან, რომელსაც გოგებაშვილი ანიჭებს შემასმენელს, როგორც აზრის გამაფორმებელს (კერძოდ, მისი აზრით, ფრანგულ ენაში შემასმენლის წინ წაპოწევა „ძლიერ ეხმარება აზროვნების ჩქარა და სწორე მიმდინარეობას“, რასაც აფერხებს გერმანულ კონსტრუქციებში შემასმენლის ბოლოკიდურობა [13, გვ. 4].

ქართულ წინადადებაში სიტყვათგანლაგების საკითხისადმი მიძღვნილი ერთადერთი მონოგრაფია, რომელიც 70 წლის წინათ შეიქმნა, ეკუთვნის ს. გორგაძეს [14]. ავტორმა შეისწავლა (თუმცა არა-

სისტემატურად) XVIII—XIX საუკ. პროზა — მხატვრული და ეპისტოლარული ლიტერატურა, აგრეთვე, ხალხური სიტყვიერების ნიმუშები. ძირითადი დებულებები ასეთია²:

1. შემასმენელი — წინადადების შინაარსობრივად და გრამატიკულად უძირითადესი წევრი — ჩვეულებრივ, წინადადების ბოლოში დაისმის;

2. სიტყვათგანლაგება ახალ ქართულში ლოგიკური უპირატესობის პრინციპზეა დაფუძნებული: შემასმენლის წინ მდგომი სიტყვა აქტიურდება;

3. მეორეხარისხოვანი წევრი თავსდება იმ წევრის სიახლოვეს, რომელსაც იგი ეკუთვნის;

4. ერთ საზღვრულთან რამდენიმე მსაზღვრელის ხმარებისას საზღვრულისაგან ყველაზე უფრო დაშორებულთა არსებითი სახელით გამოხატული განსაზღვრება, დანარჩენი მსაზღვრელები საზღვრულის ახლოს თავსდება;

5. პოეზიის ენაში ბუნებრივი წყობის დარღვევა შეპირობებულია ლექსთწყობის საჭიროებით ან ემსახურება გარკვეულ სტილისტიკურ მიზანდასახულებას. დარღვევის სხვა შესაძლო წყაროებია: სათარგმნი უცხო ენა, ცოცხალი კილოკავები და ძველი ქართული — თავისი განსხვავებული სიტყვათგანლაგებით. აქედან, ძველი ქართულის გავლენა თუმცა ძლიერია, მაგრამ დროებითი (როგორც წარმავალი) და ამიტომ — არასახიფათო. ყველაზე უფრო ძლიერია და საშიში უცხო ენათა გავლენა;

6. ჩვეულებრივი სიტყვათგანლაგების პარალელურად მუდამ იარსებებს კანონზომიერი გამონაკლისიც, რომელსაც ორი ფაქტორი განაპირობებს: „საკილოვნო“ და „ესთეტიური“ (მათგან პირველი უფრო საკომუნიკაციო ბუნებისაა და წინადადების მოდალობას ითვალისწინებს. მეორე ფაქტორი სტილისტიკურ მხარეს გულისხმობს და ითვალისწინებს სინტაქსური ერთფეროვნების დარღვევას, რომლის განხორციელებისას ავტორი ზომიერების დაცვის მომხრეა).

ყველა ეს დებულება ანგარიშგასაწევია, თუმცა ზოგიერთი მათგანი დასუსტებას (თუ არა გადასინჯვას) ან შეცვება-განვრცობას მოითხოვს. კერძოდ, სასურველი იყო საკმარისი ფაქტობრივი მასალის მოხმობით თუნდაც იმის ჩვენება, თუ რა გავლენას ახდენს სიტყვათგანლაგებაზე წინადადების მოდალობისა და სიგრძე-შედგენილობის ცვალებადობა (მთლად ნათელი არ არის აგრეთვე დებულება ლოგიკური უპი-

² ეს დებულებები უმნიშვნელო ცვლილებებით გამოვრებულია ზოგიერთ მომდევნო ნაშრომში [41].

რატესობის შესახებ, სახელდობრ, ამა თუ იმ ხარისხის გამოყოფის საფუძველი და სხვ.).

არის სხვა საკითხებიც, რომლებიც საგანგებო განხილვას საჭიროებდა სპეციალურად შექმნილ მონოგრაფიაში, მაგრამ გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ „ქართული სადასიტყვაობა“ პიონერული ნაშრომია.

შემასმენლის ბოლოკიდურობა მ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ს ა ც ქართული ენის მთავარ თვისებად მიაჩნია, ამ წევრის განსხვავებული პოზიციების საფუძველს კი მწერალი მეტყველების უანრობრივ სხვაობაში ეძიებს. მსაზღვრელიანი ქვემდებარისა და შემასმენლის შემცველი უქვის შესაძლო კომბინაციიდან კანონიერად მიჩნეულია ოთხი, მათგან ყველაზე გავრცელებულად — ე. წ. „სასაუბრო-ლირიკული“ მეტყველების დამახასიათებელი კონსტრუქცია: მსაზღვრელი+ქვემდებარე+შემასმენელი („მალაი კაცი მოდის“); სიხშირით მას რამდენადმე ჩამორჩება ე. წ. „ეპიკურ-დრამატიული“ მეტყველების დამახასიათებელი კონსტრუქცია: შემასმენელი+მსაზღვრელი+ქვემდებარე („მოდის მალაი კაცი“). მართალია, ამ კლასიფიკაციის სისწორეს მოხმობილი ილუსტრაციები (შუა საუკუნეების ძეგლებიდან) ხშირად ვერ ადასტურებს — დრამატული ამბები სასაუბრო-ლირიკული სტილით გადმოიცემა. — მაგრამ აღრევას მწერალი ამ უკანასკნელის ძლიერი გავლენით ხ. ნ. ს. [64, 343—349].

უკანასკნელი 30 წლის განმავლობაში სიტყვათგანლაგების საკითხს რამდენიმე სპეციალური წერილი მიეძღვნა.

ა. კ ი ბ ი რ ი ა ს სტატიაში [32] უკუგდებულ იქნა მიღებული, ტრადიციული აზრი შემასმენლის ბოლოკიდურობის აუცილებლობის შესახებ. ეს პოზიცია უხშირესად იქნა მიჩნეული შინაარსის მიხედვით ნეიტრალურ თხრობით წინადადებაში, ხოლო აგებულების მიხედვით მარტივ წინადადებაში (ეს თვალსაზრისი რამდენადმე ეხმიანება ი. გოგებაშვილის მოსაზრებას). მაგრამ, ამასთანავე, ჩნდება იმის მოთხოვნილებაც, რომ გაიმიჯნოს შემასმენლის აუცილებელი და ნებისმიერი პოზიციები (ვთქვათ, ავტორისეულ წინადადებებში, რომლებშიც შემასმენელს არა აქვს ნებისმიერად მოძრაობის შესაძლებლობა (იხ. აქვე მეორე თავი, § 5), ანდა რთულ ქვეწყობილ წინადადებაში, რომელშიც მიმართებით სიტყვებს მორგანიზებული ფუნქცია ეკისრება).

ქართულ მარტივ წინადადებაში სიტყვათა, სახელდობრ, შემასმენლის ადგილის კერძოლინგვისტური შეფასების ერთადერთი ცდა ეკუთვნის ზ. ფოჩხუას [48], რომლის სპეციალურ ნაშრომში წინადადებებს წევრთა პოზიციების კანონზომიერებათა ასახსნელად მოხმობილია ქართული ენის ისტორიული მორფოლოგიის მონაცემები. ქართველურ და მთის იბერიულ-კავკასიურ ენათა მასალის ანალიზისა

და განზოგადების შედეგად მიღებულია დასკვნა: შემასმენლის ბოლო-
კიდურობა ზოგადკავასიური, ამასთან, სპეციფიკურკავასიური მოვ-
ლენაა, მაშინ როცა ქვემდებარის თავკიდურობა საერთოენობრივო
მოვლენაა. შემასმენლის ბოლოკიდურობის სპეციფიკურ მიზეზს ატხა-
ზური ხსნის, სადაც სახელი უბრუნველია (იხ. აგრეთვე [59]). თვით
ქართულშიც კი, სადაც სახელი კარგად არის გაფორმებული და შე-
მასმენლის ბოლოკიდურობა არ არის აუცილებელი, ამ უკანასკნელს
უფლებებს ანიჭებენ ტრადიცია და „მისი გამოვლენის იდეალური პი-
რობები — წინადადების სრული დამოუკიდებლობა, იზოლირებულო-
ბა, მაქსიმალური ემოციური ნეიტრალობა და სხვ.“ და, თუმცა მდი-
დარი აფიქსაციის პირობებში „უგამონაკლისო ნორმის დადგენა ჭირს“,
საორიენტაციო ნორმა მაინც არსებობს, რომლის კონტურებში ჩანს
ქართული ენის (და მისი მოძმე ენების) გარკვეული მიმართება „სპეცი-
ფიკურ, ოდინდელ გრამატიკულ სტრუქტურასთან“ [48, გვ. 119, 122].

სიტყვათგანლაგების საკითხებს (როგორც ცალკეული წევრის ად-
გილის, ასევე სხვადასხვა თანამიმდევრობის საკითხებს) სხვადასხვა მო-
დალობის წინადადებებში საკმაოდ დაწვრილებით შეეხო ლ. კვ აჭ აძ ე
[30]. ანალიზში ჩართულია არა მარტო ზმნის პირიანი ფორმები, არა-
მედ ! ახელზმნაც: სპეციალურადაა შესწავლილი პირდაპირი ნათქვამის
თანმხლები ავტორისეული წინადადებები და არასინტაგმატური ერთეუ-
ლების (დანართის, მიმართვის, განკერძოებული გამოთქმების!) პოზი-
ციები. კითხვით წინადადებაზე მსჯელობისას სათანადო ანგარიში ეწე-
ვა სიტყვათგანლაგებასთან მახვილის, ინტონაციისა და მელოდიკის
უშუალო კავშირს.

მახვილისა და ინტონაციის საკითხთან სიტყვათგანლაგების უშუა-
ლო და სისტემურ კავშირში შესწავლა პირველად ქართულ სამეც-
ნიერო ლიტერატურაში სცადა ა. ალ ხ ა ზ ი შ ვ ი ლ მ ა [66]. მან ანა-
ლიზში შემოიტანა აზრობრივი სუბიექტისა და პრედიკატის, ობიექ-
ტურა და სუბიექტური წყობის, ნეიტრალური და აქტიური კონტექს-
ტის ცნებები და აზრობრივი კავშირების შესწავლის საფუძველზე გა-
მოყო მარტივი თხრობითი წინადადების სამი ტიპი სათანადო ინტო-
ნაციური მოდელებითურთ (აქვე უნდა ითქვას, რომ აზრობრივ-ლოგი-
კური პარამეტრების ჰარბი გამოყენება ენობრივი უნივერსალებების გა-
მოვლენას უფრო ემსახურება, ვიდრე საკუთრივ საანალიზო ენის სპე-
ციფიკური სტრუქტურისას). ავტორის დასკვნა ასეთია: „ქართული ენის
მარტივ თხრობით წინადადებაში სიტყვათა რიგი ემორჩილება წინადა-
დების აზრობრივი მხარის მკაცრ და ერთობ მუდმივ კანონზომიერე-
ბებს. ამ მხრივ ძნელია ქართული ენის მარტივ თხრობით წინადადე-
ბაში სიტყვათა რიგს თავისუფალი ვუწოდოთ“ [66, გვ. 386].

სიტყვათგანლაგების კვლევის მეთოდის თვალსაზრისით საყუ-

რადღებოა გ. კვარაცხელიას ნაშრომი [29], რომელშიც ნაჩვენებია. რომ სიტყვათგანლაგება არ გამოდგება სხვადასხვა მწერლის (კერძოდ. აკაკისა და ვაჟას) ინდივიდუალურ სტილთა განსასხვავებლად. სამაგიეროდ, შესაძლებლად არის მიჩნეული ამ მონაცემთა გამოყენება XIX საუკ. II ნახევრისა და XX საუკ. დასაწყისის სალიტერატურო ენის დასახასიათებლად.

ამრიგად, სიტყვათგანლაგების სიმყარე-თავისუფლების საკითხში შეინიშნება საპირისპირო თვალსაზრისების თანაარსებობა. თითქმის სტიქიურად წარმოქმნილ დებულებას სიტყვათგანლაგების თავისუფლების შეახებ ახალ ქართულში (რასაც ადრე, შეიძლება ითქვას, ტრადიციული რწმენის ხასიათი უფრო ჰქონდა, ვიდრე მეცნიერულად დასაბუთებული ვარაუდისა), ბოლო ხანებში დაუპირისპირდა საწინააღმდეგო მოსაზრება, რომელიც შემდგომ გამოვლენილმა შეზღუდვებმა თანდათან კიდევ უფრო განამტკიცა. ამ ფონზე სიტყვათგანლაგების სპეციალური, მონოგრაფიული შესწავლის აუცილებლობა დღის წესრიგიდან არამცთუ არ მოხსნილა, არამედ პირიქით: სტილისტიკის გაცხოველებულმა კვლევამ, ერთი მხრივ, და წინადადების რიტმიკულ-მელოდიკური სტრუქტურის ექსპერიმენტული კვლევის თანამედროვე დონემ, მეორე მხრივ, კიდევ უფრო გამოკვეთა სიტყვათგანლაგების დეტალური შესწავლის საჭიროება როგორც სინქრონიულ პერიოდში (ცალკეული პერიოდების მიხედვით), ისე დიაქრონიულად — ისტორიულ მორფოლოგიასა და სინტაქსში მომხდარ ცვლილებათა გათვალისწინებით და მათთან კავშირში (ცალკეული საკითხები ძველი და საშუალო ქართულის მასალაზე სტატისტიკურად შესწავლილი აქვს ზ. სარჯველაძეს [46, გვ. 510—542]).

წინამდებარე ნაშრომიც ამ ამოცანის ნაწილობრივ შესრულებას ისახავს მიზნად. კერძოდ, შეძლებისდაგვარად უხვი ფაქტობრივი მასალის ანალიზის საფუძველზე მასში მოცემულია სიტყვათგანლაგების ფუნქციონალური დახასიათების ცდა; შესწავლილია წინადადების წევრთა პოზიციები ახალი ქართულის მარტივ წინადადებაში — დამოუკიდებლად (მათი ადგილის მიხედვით წინადადებაში) და სხვა წევრებთან მიმართებით; გამოვლენილია სიტყვათგანლაგების ბუნებრივი და ნაკლებ ბუნებრივი ან პრაქტიკულად გამოუსადეგარი ვარიანტები, ამათუ იმ წყობის (პირდაპირის, ინვერსიულის) ხელშემწყობი ფაქტორები; წარმოჩენილია ზოგიერთი, ჯერჯერობით გამოუვლენელი შეზღუდვა და მათი წარმომშობი პირობები, რისთვისაც მოხმობილია ძველი ქართულის მონაცემებიც.

ნაშრომში განხილულია აგრეთვე სხვა არაერთი საკითხი, რომლებიც პირდაპირ თუ ირიბად უკავშირდება სიტყვათგანლაგების საკითხს

(მაგ., წინადადების წონასწორობა, პაუზისწინა სიტყვის მარცვალთ-
რაოდენობა და სხვ.). ნაშრომი, ცხადია, მიზნად არ ისახავს საკითხის
ამომწურავ დამუშავება-გამუქებას. მასში ყურადღება გამახვილებუ-
ლია მხოლოდ იმ ძირითად საკითხებზე, რომლებიც სიტყვათგანლაგე-
ბასთან დაკავშირებით დაისმის.

* * *

საანალიზოდ შერჩეულია ახალი სალიტერატურო ქართულის პრო-
ზაული მასალა — ძირითადად კლასიკოსთა ნაწარმოებები — XIX
საუკ. 60-იანი წლებიდან მოკიდებული დღემდე. შესწავლილია მხატვ-
რული და სამეცნიერო, ორიგინალური და თარგმნილი ლიტერატურა.
ენის განვითარების ბუნებრივი ტენდენციების შესასწავლად გათვალის-
წინებულია დიალექტური მასალაც — როგორც დიალოგური. ისე
მონოლოგური მეტყველების ნიმუშები. სულ გაანალიზებულია 30.000-
ზე მეტი წინადადება.

* * *

სიტყვათგანლაგებაზე მსჯელობისას ხშირად იხმარება ცნებები
„ბუნებრივი“, „ჩვეულებრივი“, „ნეიტრალური“, მათ საპირისპი-
როდ — „შემთხვევითი“, „ემფატიკური“ და მისთ. ბუნებრივის ცნება
არ შეიძლება არ დაუკავშირდეს სიხშირის ცნებას, რამდენადაც ბუნებ-
რივია ის, რაც ხშირად მეორდება გარკვეულ ტიპობრივ კონტექსტში.
ამიტომ საპირისპირო წყობათა გასამიჯნავად გადამწყვეტი მნიშვნე-
ლობა ენიჭება სტატისტიკურ გათვლებს. მაგრამ მათი სწორად გამო-
ყენებისათვის აუცილებელია სათანადო ანგარიში გაეწიოს წინადადე-
ბათა სტრუქტურულ და სემანტიკურ ტიპებს. ჭკუის სასწავლებელია
ე. ვ ა ნ დ რ ი ე ს ის სიტყვები: სიტყვათგანლაგება ნებისმიერ, შემ-
თხვევით ფრაზაში კი არ უნდა ვიკვლიოთ, არამედ ჭერ ფრაზების სხვა-
დასხვა ტიპი უნდა გამოიყოს [71, გვ. 138]. მართლაც, ყველა სახის
წინადადებათა მოქცევა ერთ ჩარჩოში უფრო მეტს მოგვცემდა ზოგა-
დად მეტყველების დასახასიათებლად, ვიდრე საკუთრივ სიტყვათგან-
ლაგების დასახასიათებლად. აქედან გამომდინარე, საანალიზო წინადა-
დებები დაჯგუფდა სიგრძის, შედგენილობისა და მოდალობის მიხედვით
(ასევე გაიმიჯნა წინადადებები თვით ერთი მოდალობის ფარგლებში.
შდრ. ე. წ. „სპეციალური“ და „ზოგადი“ კითხვები).

სიტყვათგანლაგების ადგილი ენაში მკაფიოდ გამოკვეთილი არ
არის. იგი ენის სხვადასხვა დონის გადაკვეთის უბანს წარმოადგენს:
განისაზღვრება როგორც სინტაქსური და მორფოლოგიური, ე. ი.
გრამატიკული, ისე რიტმიკულ-ინტონაციური, ე. ი. ფონეტიკუ-

რის ფაქტორებითაც [65, გვ. 9-10]. ამიტომ, თუმცა ნაშრომში სიტყვათგანლაგების ცნება ტრადიციულად წინადადების წევრთა განლაგებას გულისხმობს, — ე. ი. სინტაქსური თვალსაზრისით გაიაზრება, მაგრამ ანალიზისას გათვალისწინებულია, მორფოლოგიურთან ერთად, ფონეტიკური ფაქტორებიც, განსაკუთრებით, ე. წ. „აქტუალური დაყოფის“ მიერ მოპოვებული შედეგები.

* * *

სიტყვათგანლაგების ცალკეული საკითხებიდან ყველაზე სრულად და უკეთ დამუშავებულია მსაზღვრელ-საზღვრულის საკითხი — როგორც ძველსა და ახალ ქართულში, ისევე სხვა ქართველურ ენებში [16: 23; 25; 27; 28; 35; 41; 43; 46; 50; 54; 55; 58; 61; 81; 104].

ვინაიდან მსაზღვრელის ადგილი ახალ ქართულში განსაზღვრულია, — ჩვეულებრივ, იგი უშუალოდ წინ უძღვის საზღვრულს და, ამდენად, მისი პოზიციის განხილვასაც აზრი აქვს მხოლოდ ატრიბუტული სინტაგმის ფარგლებში, — აქ მასზე აღარ შევჩერდებით: წინადადების „ჩონჩხის“ აგებაში მსაზღვრელი თითქმის არ მონაწილეობს. ამიტომ ნაშრომში განხილულია მხოლოდ შემასმენელთან სინტაგმატურად დაკავშირებული სიტყვების („წინადადების წევრის“ ცნებაც სწორედ ასე გვესმის) პოზიციისა და თანამიმდევრობის საკითხები³.

ნაშრომს ერთვის სტატისტიკური მონაცემების შემცველი სათანადო ცხრილები („რეგულარობასთან მიანლობას მხარს უჭერს სიხშირეთა გათვლა“ [105]).

³ სიტყვათგანლაგების ცალკეულ საკითხებზე გამოქვეყნებულია ავტორის რამდენიმე ნაშრომი (იხ. ლიტერატურა). დამატებითი ბიბლიოგრაფიისათვის იხ. [7].

ს ი ტ ყ ვ ა თ გ ა ნ ლ ა გ ე ბ ა თ ხ რ ო ბ ი თ წ ი ნ ა დ ა დ ე ბ ა უ მ ი

§ 1. წ ი ნ ა დ ა დ ე ბ ი ს წ ე ვ რ თ ა პ ო ზ ი ც ი ე ბ ი

1. შე მ ა ს მ ე ნ ლ ი ს ა დ გ ი ლ ი

სპეციალურ ლიტერატურაში გამოთქმულია აზრი, რომ ახალ ქართულში ზმნა-შემასმენელი უპირატესად ბოლოკიდურია [14, გვ. 37], და რომ მისი ბოლოკიდურობა კერძოქართველური მოვლენაა, განსხვავებით ქვემდებარისაგან, რომლის თავკიდურობა ზოგადენობრივ მოვლენად მიიჩნევა [48, გვ. 118].

შემასმენელი წინადადების ერთადერთი წევრია, რომელსაც უკავშირდება სხვა წევრები (განსაზღვრება მხედველობაში არ მიიღება, რადგან იგი საზღვრულის ჯგუფში შედის და წინადადების „ჩონჩხის“ აგებაში არსებითად არ მონაწილეობს). უმოკლესი წინადადების მუდმივი წევრი შემასმენელია. მისი ამგვარი უპირატესობის გამო სხვა წევრთა პოზიციებიც შემასმენლის პოზიციიდან გამომდინარე უნდა იქნეს განხილული. „სიტყვათა დალაგებისათვის წამყვანია შემასმენლის პოზიცია“ [30, გვ. 225].

მეტყველებაში იმისდა კვალად, თუ გამონათქვამის რომელი მხარეა წამსაწვევი, ხდება სიტყვათა სინტაგმატური კავშირის გაძლიერება-მოდუნების სათანადო რეგულირება. ერთსა და იმავე სიტყვას შეუძლია სრულიად განსხვავებული კავშირის შექმნა ზმნასთან [76, გვ. 37—38]. გარკვეული მიზანდასახულების შესაბამისად სიტყვები (წინადადების წევრები) განუწყვეტლივ მოძრაობენ და ადგილს უცვლიან ერთმანეთს (შენიშნავენ, რომ ქართულში სიტყვათგანლაგების ნებისმიერი ცვლა შესაძლებელია, თუ არ იცვლება არც წინადადების შინაარსი და არც სინტაქსური კავშირი წევრთა შორის [32, გვ. 38; 18, გვ. 36—37]).

ესა თუ ის წევრი შემასმენელს შეიძლება უშუალოდ ან არაუშუალოდ მოსდევდეს ან წინ უძღოდეს. ამის მიხედვით შეიძლება გვექონდეს: 1. კონტაქტურად პრეპოზიციური, 2. კონტაქტურად პოსტპოზიციური, 3. დისტანციურად პრეპოზიციური და 4. დისტანციურად პოსტპოზიციური წევრები (კონტაქტურ პრეპოზიციას „დანშულ კონსტრუქციას“

საც“ უწოდებენ, ვინაიდან იგი საშუალებას არ აძლევს პრეპოზიციურ დამოკიდებულ (d) წევრს კავშირი დაამყაროს სხვა წევრებთან, გარდა საკუთარი მთავარა (D) წევრისა [76, გვ. 37].

ზმნა-შემასმენელთან ყველაზე მჭიდრო სინტაგმატურ კავშირს ქმნის კონტაქტურად პრეპოზიციური წევრი, ყველაზე სუსტს — დისტანციურად განლაგებული წევრი, განსაკუთრებით — პრეპოზიციური (შდრ. რუსული, სადაც „განლაგების დისტანციურობა არის გრამატიკული ნორმა თავისუფლად შეერთებული კონსტრუქციებისა, რომლებიც მთელ წინადადებას განეკუთვნება“ [84, გვ. 249]. კონტაქტურ პოსტპოზიციიაში მყოფი წევრის კავშირი შემასმენელთან გაცილებით სუსტია, ვიდრე კონტაქტურ პრეპოზიციიაში მყოფისა, მაგრამ მაინც უფრო ძლიერია, ვიდრე დისტანციურად განლაგებული წევრებისა.

ვინაიდან ორწევრა წინადადება ფარავს სინტაგმის ცნებას, სინტაგმაში კი მისი წევრები მაქსიმალურად მჭიდროდ არიან ერთმანეთთან დაკავშირებულნი, მოსალოდნელია, რომ მაგალითების უმრავლესობაში შემასმენელი პოსტპოზიციური იქნება (წინადადებაში ყველაზე ძლიერი კავშირს ქმნის შემასმენლის მიმართ კონტაქტურად პრეპოზიციური წევრი). სტატისტიკური მონაცემები ამ დაშვებას სავესებით ადასტურებს:

ორწევრა წინადადებათა შემადგენლობა	რაოდენობა
ქვემდებარე+შემასმენელი	4.840
პირდაპირი დამატება+შემასმენელი	1.471
გრამატიკული სუბიექტი+შემასმენელი	513
აჯგლის გარემოება+შემასმენელი	413
ირობი დამატება+შემასმენელი	329
უბრალო დამატება+შემასმენელი	276
ვითარების გარემოება+შემასმენელი	238
დროის გარემოება+შემასმენელი	227
გრამატიკული ობიექტი+შემასმენელი	125
მიზნის გარემოება+შემასმენელი	21
ზომა-ოდენობის გარემოება+შემასმენელი	13
მიზეზის გარემოება+შემასმენელი	0
ს უ ლ	8.466

ორწევრა წინადადებებში შემასმენელთან შეხამებული წევრების პრეპოზიციია პროცენტულად ასეთ სურათს იძლევა:

პრეპოზიციური დროის გარემოება — 89%, გრამატიკული ობიექტი და ზომა-ოდენობის გარემოება — 85%, გრამატიკული სუბიექტი — 81%, ქვემდებარე — 79%, ვითარების გარემოება — 76%, პირდა-

პირი დამატება — 69%, უბრალო დამატება — 66%, ადგილის გარემოება — 63%, ირიბი დამატება — 62%, მიზნის გარემოება — 57%.

მაშასადამე, ორწევრა წინადადებაში შემასმენლისათვის ნორმა პოსტპოზიცია. სხვა სიგრძის წინადადებებში შემასმენლის პოზიციათა განაწილება ასეთია:

წინადადების სიგრძე	პოზიციები						
	I	II	III	IV	V	VI	VII
სამწევრა	5%	33%	62%	—	—	—	—
ოთხწევრა	1%	13%	41%	45%	—	—	—
ხუთწევრა	1%	6%	22%	38%	33%	—	—
ექვსწევრა	—	4%	14%	27%	35%	20%	—
შვიდწევრა	—	—	8%	21%	25%	29%	17%

როგორც ირკვევა, სამწევრა და ოთხწევრა წინადადებებში შემასმენლისათვის ნორმა ბოლოკიდური პოზიცია, ხოლო ხუთ-, ექვს- და შვიდწევრა წინადადებებში — ბოლოსწინა და არა შუა პოზიციები¹: ხუთწევრაში — ბოლოსწინა ერთი პოზიცია, ექვსწევრაში — ორი, შვიდწევრაში — ბოლოსწინა სამი პოზიცია, რომელთაც რამდენადმე ჩამორჩება ბოლოკიდური პოზიცია.

რა დასკვნა გამომდინარეობს?

მოკლე წინადადებაში (2-, 3-, 4-წევრა) შემასმენელი ბოლოკიდური პოზიციას ამჯობინებს. წინადადების სიგრძის ზრდასთან ერთად ზმნა თანდათან წინადადების დასაწყისისაკენ მოიწევს, თუმცა ამ „სვლას“ რამდენადმე აფერხებს ზმნის ბუნებრივი ლტოლვა ბოლოსკენ. ბუნებრივიო, ეამბობთ, რადგან ყველა სიგრძის წინადადებებს შორის ჰარბობს ის მოკლე წინადადებები, რომლებშიც შემასმენელი ბოლოკიდურია. მაგ., მთელ განალიზებულ მასალაში ორწევრა წინადადებაა 8.466, სამწევრა — 13.784, ოთხწევრა — 7.616, გრძელი წინადადებები კი გაცილებით ნაკლებია: ხუთწევრაა 1.662, ექვსწევრა — 191, შვიდწევრა — 24 და ა. შ. ასე რომ, საერთო ორიენტაციის აღება ამ უკანასკნელებზე გაუმართლებელია.

აღნიშნული მონაცემები ნაწილობრივ მაინც ეთანხმება სპეციალურ ლიტერატურაში [14; 30; 41; 48] ფიქსირებულ შედეგებს, თუმ-

¹ სამართლიანია ა. შაპიროს შენიშვნა იმის გამო, რომ გამოყოფენ მხოლოდ სამ პოზიციას: თავკიდურს, შუას და ბოლოკიდურს [95, გვ. 204]. მართლაც, ოთხწევრა წინადადებიდან მოყოლებული, შუა პოზიცია მუდამ რამდენიმე პოზიციის „მინარევს“ წარმოადგენს. ამიტომ მისი დაპირისპირება თითო (თავკიდური, ბოლოკიდური) პოზიციისათვის არათანამდევრული ჩანს. უნდა გამოიყოს იმდენი პოზიცია, რამდენი წევრითაა წინადადებაში.

ცა მათი მიღებისას არ იყო გათვალისწინებული წინადადების სიგრძის საკითხი². ამ მხრივ განმარტოებით დგას ი. გოგებაშვილი, რომელმაც შემასმენლის ბოლოკიდურობა სრულიად სამართლიანად შემოფარგლა მოკლე წინადადებებით [13, გვ. 4].

არ შეიძლება არ დავეთანხმოთ იმ აზრს, რომლის თანახმად, შემასმენლის სტაბილური ბოლოკიდური პოზიცია შეპირობებულია მისი არაჩვეულებრივად მდიდარი სტრუქტურით [48, გვ. 119]. შეიძლება და ამ აზრის შემდგომი განვითარება:

იმის გამო, რომ შემასმენელი წინადადების აზრობრივი და ფორმალური ლერძია, როგორც გამონათქვამის მიზანი, წინადადების ბოლოში ამჯობინებს ყოფნას. ზმნისათვის დამახასიათებელი მრავალრიცხოვანი კატეგორიის წყალობით უმეტესობა სხვა წევრებისა მისგან მართულია (ან მირთული) და, ახალი ქართულის ნორმის შესაბამისად, თავსდება ზმნა-შემასმენლის წინ — მაქსიმალური დამოუკიდებლობის მქონე წევრის წინ (შდრ. ფრანგული, სადაც ზმნას ავტონომიურობის ყველაზე ნაკლები ხარისხი აქვს [68, გვ. 331]).

შემასმენლის პოზიციის თვალსაზრისით ძველი და ახალი ქართულს შედარება გვიჩვენებს, რომ ახალი ქართულის ნორმას — ზმნის ბოლოკიდურობას ქრონოლოგიურად წინ უსწრებს შუა პოზიცია, რომელიც ისტორიულად უფრო ბუნებრივი პოზიცია იყო შემასმენლისათვის [32, გვ. 43]. ამ სხვაობის ასახნელად უნდა გავითვალისწინოთ თანდებულებისა და ზმნისწინების ურთიერთობა — ერთმანეთის მიმართ და, შესაბამისად, სახელებისა და ზმნების მიმართ.

როგორც ცნობილია, ახალ ქართულში თანდებულები პოსტპოზიციურად დაერთვიან სახელებს, ხოლო თანდებულებთან ისტორიულად მჭიდროდ დაკავშირებული ზმნისწინები ([40]) პრეპოზიციურად დაერთვიან ზმნებს. წარმოშობით და ფუნქციით მონათესავე ელემენტები სწრაფვიან ერთმანეთს. სავარაუდებელია, რომ თავდაპირველად ამგვარი სწრაფვა ზმნათაგან პრევერბიან ფორმებს ახასიათებდა, შემდეგ კი უპრევერბო ფორმებზედაც გავრცელდა.

ძველ ქართულში თანდებულის მეტი ავტონომიურობის გამო (ცალკე დგომა, მისი მშართველი ელემენტის პრეპოზიცია) ზმნასაც უფრო თავისუფალი ადგილი ექირა — აბსოლუტურად თუ რელატიურად პრეპოზიციური. შემდგომ, დროთა განმავლობაში მომხდარმა გრამა-

² ამ შედეგების ნაწილობრივ შესაბამისობაზე მსჯელობისას მხედველობაში გვაქვს დებულება იმის შესახებ, რომ შემასმენლის ბოლოკიდურობა ისტორიულად გაუმართლებელია [32, გვ. 43], აგრეთვე, შედეგი შემასმენლის ბოლოკიდურობის ხდომილებისათვის (~0,52, ე. ი. 50% [29]), თუმცა იგი დანარჩენი ორი პოზიციის მონაცემებს საკმაოზე მეტად უპირისპირდება და საბოლოოდ სრულიადაც არ ეწინააღმდეგება ჩვენს მონაცემებს (იხ. ზემოთ).

ტიკულმა ცვლილებებმა (იდენტურ ოდენობათა — ზმნისწინებისა და თანდებულების — საპირისპირო მიმართულებით განლაგება, ტენდენცია შესაბამისად ზმნებსა და სახელებთან შვრწყმისა) შემასმენელი წინადადების ბოლოსაკენ გადასწია (მდრ. რუსულის ვითარება, სადაც წინდებულნი სხელები პოსტპოზიციურია. ეს ფაქტი, ალბათ, აიხსნება წინდებულოვანი და არა თანდებულოვანი სახელების არსებობით. მდრ.: „ოთახში ჯ შევიდა“ და რუსული „вошел в комнату“).

გარდა იმისა, რომ შემასმენელი ერთადერთი წევრია, რომელიც ქმნის რეალურ და პოტენციურ კავშირებს სხვა წევრებთან, აღსანიშნავია ისიც, რომ გრძელ წინადადებებში ეს კავშირები ერთდროულია. ამიტომ ბუნებრივად ჩნდება მოთხოვნა, რომ ერთდროული კავშირებით „დატვირთული“ წევრი — შემასმენელი — წინადადების შუაში, ცენტრში მოექცეს. ამ პოზიციის მეშვეობით თითქოს შეიძლებოდა ცალ მხარეზე „დაზვინული“ სიტყვების მარჯვნივ გადაწევით წინადადების გაწონასწორება და, ამრიგად, სიმეტრიის დამყარება. მართლაც, გრძელ წინადადებებში ნაწილობრივ თითქოს ჩანს კიდევ ამგვარი სიმეტრიისადმი მისწრაფება, მაგრამ მისი რეალიზაციის პროცესი ბოლომდე არ მიდის. ზმნის ცენტრისკენული მოძრაობა შუა გზაზე შეწყვეტილი: უფრო ძლიერია ზმნის სწრაფვა ბოლოკიდურობისადმი. მაგრამ ამას მეორე მხარეც ახლავს — რიტმიკულ-ინტონაციური სიძნელე, რომელიც თან სდევს ზმნით დამთავრებული გრძელი წინადადების წარმოთქმას.

ქართულში შემასმენელთან არის დაკავშირებული პრედიკაცია. შემასმენელი აუცილებელი და საკმაო პირობაა წინადადების ასაგებად. ამიტომ იგი წარმოადგენს არა მარტო გრამატიკულ, არამედ აზრობრივ-ინტონაციურ ღერძსაც. შემასმენლის წარმოთქმისთანავე წინადადება რეალიზებულია, რაც პაუზითაც აღინიშნება. შემასმენლისაკენ მიმავალ გზაზე განლაგებული სიტყვების ნაკადი ერთიანია. თითოეული სიტყვის წარმოთქმის ინტონაცია ერთი ინტონაციური მთელის ნაწილია. უფრო მოკლე წინადადებებში შემასმენლის წინამავალი სიტყვები ერთ ინტონაციურ ტალღაზე შედარებით დაუბრკოლებლად წარმოითქმის. მაგ.:

იქ სამართალი არ გაბრუნდებო (ილია, 416, 12);
ჩვენ არ მოგვიკლავს (ქიაჩ., 342, 24); ეზოში ერთხანს
უმიზნოდ ვიბორიალე (შენგ., 354, 26).

გრძელ წინადადებებში კი ძნელდება ერთი ამოსუნთქვით მოზრდილი ერთეულის წარმოთქმა. მთლიანი ინტონაცია ირღვევა, ოღონდ სხვადასხვა ადგილას: 1. თუ შემასმენელი ბოლოკიდურ ან ბოლოსწინა პოზიციაშია, პაუზა გამოიყენება პირველი ან მეორე სი-

ტყვის შემდეგ (ჩვეულებრივ, ეს სიტყვები ადგილის ან დროის გარემოებებია). მაგ.:

ამ დროს ისინი მამაცობაში მამლებს არ დაუვარდებია (გოგ., VI, 80, 37—38); პირველ სურათზე ქალი პირის დასაბანად სურით წყალს უსხამს ყმაწვილს (ნ. ლორთქ., 217, 11—12).

2. თუ ზმნა შედარებით წინ არის წამოწეული (ცენტრისაკენ), მას მოსდევს პაუზა, ოღონდ რამდენადმე უფრო ხანმოკლე, ვიდრე პირველ შემთხვევაში. მაგ.:

ამ სიტყვებით დაშორდნენ იმ დღეს ლეჟან და მელანია ერთმანეთს (ნინ., 440, 28—29); ამის გამო კაცი უნებურად თვალს მთარიღებდა პირველ თვალის მოსწრებაზედ (ილია, 431, 13—14).

სწორედ ამ ინტონაციურ თავისებურებებში ძვეს ერთ-ერთი საფუძველი წინადადების წევრთა განლაგებისა შემასმენლის მიმართ: ის წევრი, რომელიც შემასმენლის ინტონაციურ ჯგუფში არ შედის, აზრობრივად სუსტად უკავშირდება შემასმენელს, — უკეთ, კლებულობს შემასმენელზე მისი დამოკიდებულების ხარისხი. სამაგიეროდ, იზრდება წინადადებაზე მისი დამოკიდებულების ხარისხი. რადგან ეს წევრი სინტაგმატური ურთიერთობის „უღელს“ რეალურად აღარ ეწევა, მისი დაქვემდებარებული მდგომარეობა უკვე ფიქციად არის ქცეული. იგი გარკვეულ დამოუკიდებლობას იძენს, ოღონდ მხოლოდ სინტაგმის, უკეთ, მისი ღერძის — შემასმენლის მიმართ. წინადადების ფარგლებში კი იგი მაინც დამოკიდებულის როლში გამოდის. ასეთი წინადადება შეიძლება წარმოვიდგინოთ გაფართოებულ სინტაგმად, რომლის დამოკიდებულ წევრად გვევლინება აბსოლუტურ პრეპოზიციის მყოფი წევრი, მაქვემდებარებლად კი — მთელი დანარჩენი წინადადება. ზემოთაც იყო აღნიშნული, რომ ასეთ სიტყვებად ძირითადად ადგილის ან დროის გარემოებები გამოდის, რომლებიც მთელი წინადადების დეტერმინანტებია (შდრ. ინგლისური, სადაც შესაბამისობა ინტონაციასა და პუნქტუაციას შორის იმდენად დიდია, რომ ამგვარი „არასინტაგმატური“ ერთეულები — ძირითადად თავკიდური გარემოებანი — მძიმითაც კი გამოეყოფიან წინადადებას; ეს იმის მაჩვენებელია. რომ ისინი მთელ წინადადებას განეკუთვნებიან და არა მხოლოდ შემასმენელს).

შემასმენელთან სუსტ კავშირს გულისხმობენ აგრეთვე მის მიმართ პოსტპოზიციურად განლაგებული წევრები (რუსულში კი შემასმენლის მიმართ სიტყვის პოსტპოზიციურად განლაგება საერთოდ ამ სი-

ტყვის საკომუნიკაციო მნიშვნელობის უქონლობის მომასწავებლადაც კი მიაჩნიათ [91, გვ. 107]). ისინი სხვა ინტონაციურ ჯგუფში შედიან, რადგან წინ ზმნის თანმხლები პაუზა უძღვის. მაშასადამე, თუ შემასმენელი წინამავალი სიტყვითურთ ერთიანად წარმოითქმის, შემასმენელსა და მის მომდევნო სიტყვას შორის პაუზა ივარაუდება. ეს პაუზა ინტონაციურ ავტონომიას ანიჭებს პოსტპოზიციურ სიტყვას, რომელიც, თუმცა სინტაგმაში მონაწილეობს, მაგრამ შემასმენელთან სუსტად არის დაკავშირებული. იგი მთლიანად არც წინადადებას ეკუთვნის; მისი ვითარება ორაზროვანია.

აღნიშნულმა ინტონაციურმა თავისებურებებმა შეიძლება ისიც ახსნან, თუ რატომ არის შეფერხებული შემასმენლის ცენტრისკენული მოძრაობა. წინადადება ერთიანი გრამატიკულ-ინტონაციური ერთეულია. ინტონაციური დაქუცმაცებულობა მხოლოდ გარკვეული სტილისტიკური ელფერის გადმოცემისას არის შესაწყნარებელი (ან საჭირო). ჩვეულებრივი, ნეიტრალური შინაარსის მქონე, ინფორმაციული ხასიაფის წინადადების რეალიზაციისას ინტონაციის დანაწევრება შეუფერხებელია. ამიტომ შემასმენელი ცდილობს თვითონ დაეუფლოს ერთიანი წინადადების ინტონაციურ მახვილს. ამ მახვილის დაუფლების იდეალური პირობა კი მას ბოლოკიდურ პოზიციაში ეძლევა. ამიტომვეა, რომ გრძელ წინადადებაშიც კი შემასმენლის მომდევნო წევრებად შეიძლება მაქსიმუმ ერთი ან ორი წევრი ივარაუდებოდეს; ეს კი იმას ნიშნავს, რომ ახალ ტალღაზე წარმოთქმული ეს სიტყვები ზმნის წარმოთქმის შემდეგ ვერ ქმნიან ახალი წინადადების ილუზიას. ხოლო, თუკი შემასმენელი ბოლომდე განახორციელებდა თავის ცენტრისკენულ ტენდენციას, ახალ ინტონაციურ ტალღაზე მივიღებდით სამ-ოთხ სიტყვას, რომლებიც რაოდენობრივად სავსებით დააკმაყოფილებდა წინადადების მოთხოვნას, აზრობრივად და ფორმალურად კი ვერ შექმნიდა წინადადებას პერსპექტივაში ზმნა-შემასმენლის უქონლობის გამო.

2. ქვემდებარის ადგილი

სხვადასხვა სიგრძის წინადადებებში ქვემდებარის პოზიციები ასე ნაწილდება:

წინადადების სიგრძე	პოზიციები					
		I	II	IV	V	VI
ორწევრა	79%	21%	—	—	—	—
სამწევრა	61%	24%	15%	—	—	—
ოთხწევრა	53%	24%	12%	11%	—	—
ხუთწევრა	40%	34%	12%	7%	7%	—
ექვსწევრა	31%	46%	14%	7%	3%	2%

შვიდწევრა წინადადებები მეტისმეტად ცოტაა პოზიციათა გამო-
თვლისას საიმედო შედეგის მისაღებად.

ქვემდებარე შედარებით მოკლე წინადადებებში მიისწრაფვის წი-
ნადადების მარცხენა კიდისაკენ. გრძელ წინადადებებში კი ქვემდებარე
რამდენადმე მარჯვნივ, ცენტრისკენ ინაცვლებს. შდრ.:

ეს ამბავი სადილობის დროს მოჰხდა (ილია, 385, 5);
მეც მალე დავიძინებ (იქვე, 471, 5); მხატვარი ფეხ-
ზე-ფეხ გადაღებული თანჯარასთან იჯდა (ნ. ლორთქ., 112, 14).

და:

ამიტომ ახლო ნათესავეებში ქორწინება აქ ხშირათა
ხდება (გოგებ., VI, 170, 13—14); მათხოვრების სახელით
ერთხელ ფშავის ხეეს ბოშები ესტუმრნენ (ვაჟა, V, 29,
15—16); მხიარულ, აღმზნებ მუსიკის ხმაზე საზოგადოე-
ბა ლულს ხშირად ეწაფებოდა (ნ. ლორთქ., 543, 6—7); მანი-
ფესტის გამოცხადების გამო დღეს სამხედრო ტაძარში თვი-
თონ საქართველოს ეგზარხოსი საზეიმო პარაკლისს იხ-
დიდა კავკასიის უმაღლესი მთავრობის თანდასწრებით (ქიაჩ.,
253, 21—23).

ქვემდებარის ამგვარი ქცევის მიზანია. თავი აარიდოს თავკიდურ
პოზიციას, რათა ძალიან არ დაშორდეს შემასმენელს, წინააღმდეგ შემ-
თხვევაში ქვემდებარე მთელი წინადადების კუთვნილება გახდება, და
არა მხოლოდ შემასმენლისა, რაც ქვემდებარისათვის არ არის დამახასია-
თებელი. ქვემდებარე-შემასმენელს შორის, როგორც წესი, ერთი ან ორი
წევრი ჩაისმის. ამაზე მეტი დისტანცია მათ შორის, ჩვეულებრივ, არ
შეინიშნება (შდრ. რუსული, სადაც ეს წევრები ორსავე წყობისას წი-
ნადადების თავში ან ბოლოშია — შეძლებისდაგვარად ერთმანეთის
გვერდით [73, გვ. 4]). ამიტომ ბუნებრივი ჩანს გრძელ წინადადებებ-
ში ამ ორი წევრის ცენტრისკენული, ერთმანეთის შემხვედრი მოძ-
რაობა: შემასმენელს ბოლოსწინა პოზიცია (პოზიციები) უჭირავს,
ქვემდებარეს — მარცხნიდან მეორე ან მესამე ადგილი. შესაბამისად,
მათ შორის არსებული მანძილი უცვლელი რჩება (5-წევრა წინადად-
ებაში ქვემდებარე ძირითადად I ადგილზეა, შემასმენელი — IV-ზე;
6-წევრა წინადადებაში ქვემდებარე II ადგილზეა, შემასმენელი —
V-ზე...).

რამდენადმე განსხვავებულ სურათს იძლევა ინვერსიული ზმნის მი-
ცემითში დასმული ობიექტი, რომელიც, ჩვეულებრივ, აგენსის როლს
ასრულებს. იგი კიდევ უფრო ძლიერ მიისწრაფვის წინადადების დასა-
წყისისაკენ და არ ერიდება, დიდი დისტანციით დაშორდეს შემასმე-
ნელს. მაგ.:

ს ა წ ყ ა ლ ს შ ი მ შ ი ლ ი თ ფ ე რ დ ი ფ ე რ დ ს მ ი ჰ კ რ ო ლ ა (გ ო -
გ ე ბ . , V , 245 , 14) ; შ ე ნ ს გ ა ყ მ ა წ ვ ი ლ ე ბ ა ს , მ ა მ ა ჩ ე მ ო , ღ მ ე რ თ ს
ი . ე ვ ა ხ ლ ის გ ა ჩ ე ნ ა უ რ ჩ ე ე ნ ი ა (შ ე ნ გ . , 387 , 4 — 5) .

თუ ორწევრა წინადადებაში ამგვარ სახელს არ შეუძლია დაშორ-
დეს ზმნა-შემასმენელს, გრძელ წინადადებებში მას თავიკიდურობა უფ-
რო მეტად ახასიათებს, ვიდრე ნამდვილ სუბიექტებს (სამწევრა წინა-
დადებაში — 82% : 61%, ოთხწევრაში — 58% : 53% და ა. შ.). მარცხ-
ნიდან მარჯვნივ მისი შეხვედრის სიხშირე იკლებს, თუმცა ბოლოს-
წინა პოზიციას რამდენადმე აღემატება ბოლოკიდური პოზიცია. აღ-
ნიშნული ვითარება მკაფიოდ ავლენს ინვერსიული ზმნის აგენისის
(გრამატიკული ობიექტის) სუსტ კავშირს შემასმენელთან.

ქვემდებარის პოზიციაზე მნიშვნელოვნად მოქმედებს ზმნის გარ-
დამავლობა. ვინაიდან სამპირიანი ზმნა და მასთან შეწყობილი სახე-
ლები ერთად იშვიათად გვხვდება ტექსტებში, სისტემატურად გაანალი-
ზებულ იქნა ერთპირიანი და ორპირიანი ზმნები (გარდაუვალიცა და
გარდამაჯალიც). ანალიზის შედეგად აღმოჩნდა, რომ ქვემდებარის
პრეპოზიციის განსაკუთრებით ქარბობს გარდამავალ ზმნებთან, თუმცა
სპეციალური ანალიზის მიხედვით ჩანს, რომ მოთხრობითი, როგორც
ოდენ სუბიექტის ფორმა, ცდილობს შეუნარჩუნოს სუბიექტს სტაბი-
ლური ადგილი ნებისმიერ ორპირიან ზმნასთან შეხამებისას.

რამდენადმე განსხვავებულია სხვადასხვა ბრუნვაში დასმულ ქვემ-
დებარეთა პრეპოზიციის სტატისტიკური მაჩვენებლები: სახელობითში
დასმული სუბიექტის პრეპოზიციის გარდამავალ ზმნასთან შეადგენს
90%-ს, გარდაუვალთან — 78%-ს, მიცემითში დასმული სუბიექტისა
კი — შესაბამისად 92% : 86%-ს.

შეფარდებათა სხვაობის მიზეზი საძიებელია, უწინარეს ყოვლისა,
ზმნის სტრუქტურაში: იმ ზმნებს, რომლებიც ქვემდებარეს მიცემითში
მოითხოვს, აერთიანებს ე. წ. „ობიექტური წყობა“ როგორც ინვერ-
სიული ზმნებისა, ისე გარდამავალი ზმნების III სერიის ფორმებისა.
მათი რაოდენობა კი საგრძნობლად ჩამორჩება ე. წ. „სუბიექტური
წყობა“ ფორმათა რაოდენობას. ამდენად, მათთან შეწყობილი ქვემდ-
ებარეები და მათი ბრუნვის ფორმები დომინანტურად ვერ ჩაითვლევბა-
და, მაშასადამე, ქვემდებარეთა მიცემითის ფორმაც სუბიექტის ჩვეუ-
ლებრივ ფორმათა სიმრავლეში ვერ შევა: იგი უფრო ობიექტებისა-
თვის არის დამახასიათებელი. შესაძლოა, ჩვეულებრივ სუბიექტებთან
გასათანაბრებლად ეს ფორმა თავის ამ ნაკლებუღევანებას ინაზღაურებს
პრეპოზიციის ჩვეულზე მეტი სიმრავლით (რაც აღემატება სახელო-
ბითსა და მოთხრობითში დასმული ქვემდებარეების პრეპოზიციას).

ეს ტენდენცია განსაკუთრებით კარგად იკვეთება ერთპირიან ზმნებთან შეხამებისას: ობიექტთა უქონლობა სახელობითსა და მოთხრობით ბრუნვებში დასმულ სუბიექტებს მეტ თავისუფლებას ანიჭებს (პრეპოზიცია შედარებით დაბალ პროცენტს გვიჩვენებს: 78%:77%), მაშინ როცა მიცემითის ფორმით წარმოდგენილი სუბიექტის პრეპოზიცია ერთპირიან ზმნასთან მათ თითქმის 10%-ით აღემატება.



ქვემდებარე-შემასმენლის ურთიერთგანლაგების სისტემატურმა შესწავლამ დაადასტურა ცნობილი ფაქტი ქვემდებარის უპირატესი პრეპოზიციისა, რაც საფუძველი გახდა პირდაპირი წყობის გამოსაყოფად. გარდამავალი ზმნის როლი ამ წყობის შექმნაში გასაგებია: მას ახლავს პირდაპირი დამატება, რომლის პოზიცია ისტორიულად უპირისპირდება სუბიექტისას (შდრ. „აბრაამ შვა ისააკ“ ტიპის კონსტრუქცია).

რაც შეეხება გარდაუვალი ზმნისა და სუბიექტის შემცველ შეხამებებს, გარკვეული სემანტიკის მქონე კონტექსტებში ისინი საკმაოდ სტაბილურ სურათს გვიჩვენებენ. კერძოდ, ამინდის სემანტიკის შემცველ წინადადებებში პირდაპირი წყობაა გაბატონებული. აღწერით პასაჟებში ამინდისა და დროის აღმნიშვნელ სახელებს შეიძლება შეეწყოს როგორც სტატიკური „დგომა“ და „ყოფნა“ ზმნები, ისე დინამიკური შინაარსის მქონე ზმნები. შდრ., ერთი მხრივ:

დი დ ი ს ი ც ხ ე იღვა (გოგებ., V, 438, 4); თ ო ვ ლ ი ა -
ნ ი ზ ა მ თ ა რ ი იღვა (გოგებ., V, 435, 12); თ ე ბ ე რ ვ -
ლ ი ს ს ა ლ ა მ ო ი ყ ო (ნინ., 223, 8); შ ო ბ ი ს წ ი ნ ა ლ დ ე
ი ყ ო (ნინ., 204, 15).

და:

შ უ ა ლ ა მ ე გაღვიდა (ნინ., 447, 19); შ უ ა ლ დ ე მოს-
ჯარდა (ეაუა, V, 179, 16); კ ა რ გ ა ხ ა ნ მ ა გაიარა (ქიან.,
203, 26).

საერთოდ კი, პირდაპირი წყობის დამატებით შემაპირობებელ ფაქტორებად შეიძლება ჩაითვალოს: სუბიექტის ერთმარცვლიანობა, ჩვენებითი ნაცვალსახელით განსაზღვრა, ხაზგამსმელი ნაწილაკების დართვა, ერთგვაროვანი შემასმენლების არსებობა, ლოგიკური მახვილის დასმა ქვემდებარეზე (ემფაზის ან გამეორების დროს), ქვემდებარის გამონატვა აბსტრაქტული სახელით ან უარყოფითი ნაცვალსახელით და სხვ. მაგ.:

მე მოვიგე (ქიქ., 105, 17); იმან გადაგარჩინა (აკაკი, 260, 36); მაშ სხვებსაც ეცოდინებათ (ჯავახ., 232, 4); ამ კაცის შეხედვა მწვავს და მხიბლავს (ქიქ., 302, 26—27); ვერავინ გაიგო (ნ. ლორთქ., 454, 14); მე არ ვიტყვი და შენ (ნინ., 247, 1); ბედმა დამიბრიყვა (ვაჟა, V, 13, 2).

გარდამავალი ზმნის შემცველ წინადადებებში უკუწყობა იმდენად იშვიათია, რომ რაიმე კანონზომიერებაზე ლაპარაკი ძნელდება. გარდაუვალ ზმნასთან კი, თუმცა ქვემდებარე ხშირად გვხვდება პოსტპოზიციასში, უკუწყობის შეხვედრის სიხშირე საგრძნობლად ჩამორჩება პირდაპირისას, ისიც, ძირითადად მყარ გამოთქმებსა და კონსტრუქციებში დასტურდება, რომელთაგან ზოგი იმდენად სპეციფიკურია, რომ ჭირს კიდევ მისი მიჩნევა ვარიანტად (ამის შესახებ იხ. მეორე თავი, § 2. „ინვერსია და ფსევდოინვერსია“).

ქვემდებარის პოსტპოზიციას ხელს უწყობს: ქვემდებარის გართულება მსაზღვრელით, ერთგვაროვანი ქვემდებარეები, სინტაქსური პარალელიზმები, ცალი ზმნის მიერ შეხამების ზმნის მიზიდვა თავკიდურ პოზიციასში და ა. შ. მაგალითად:

არ მოისმობა არც ჩვეულებრივი ყიჟინა, არც მომეტებული ხმაურობა (ყაზბ., 1, 325, 37—38); გაისმობდა მხოლოდ დამრიგებლის მოკლე დამოკვეთილი წამოძახილი (ქიაჩ., 282, 25—26); მოიწყინა ყვავეილმა. დაქკნა ყვავეილი. გახმა ყვავეილი (ნ. ლორთქ., 364, 33—35). ეიოღნენ დაწიოკებულ ბავშვებში. კრიახებდნენ გულგახეთქილი ქათამინდაურები (შენგ., 401, 27).

• • •

შედგენილშემასმენლიანი კონსტრუქცია, როცა სუბიექტი არსებითი სახელითაა გამოხატული, ხოლო შემასმენლის ზმნური ნაწილია ყოფნა ზმნა, ჩვეულებრივ, დეფინიციის, განსაზღვრის დროს გამოიყენება. მაგრამ ლოგიკური თანმიმდევრულობის დასაცავად მხოლოდ პირდაპირი წყობა იხმარება. მაგ., ფრაზა „მერცხალი ფრინველია“ (ან: „მერცხალი არის ფრინველი“) განსაზღვრავს კერძოს (ან უცნობს) ზოგადის (ან ნაცნობის) მეშვეობით. დამხმარე ზმნაც, რომელიც კოპულის როლს ასრულებს, ერთვის მუდამ ზოგადის, გვარის აღმნიშვნელ სახელს და არა კერძოს, სახის აღმნიშვნელს. ფრაზაში „ფრინველი მერცხალია“ დარღვეულია დეფინიციისათვის საჭირო მიმართუ-

ლებმა: ტოლობის ნიშანი (-<არის) კერძოს დაერთვის, რაც გაუმართ-
ლებელია.

დეფინიციის დროს შედგენილი შემასმენლის სახელად ნაწილს
უმრავლეს შემთხვევაში მსაზღვრელები ახლავს, რაც ხელს უწყობს
იდენტიფიკაციის პროცესს, ზოგადის დაყვანას კერძოზე სემანტიკური
შემოფარგელის გზით:

ნომინალიზმი ა გ ნ ო ს ტ ი კ უ რ ი თ ე ო რ ი ა ა (ბაქრ.,
127,1): ენა ნ ი შ ა ნ თ ა ს ი ს ტ ე მ ა ა (ჩიქობ., 32, 8); ბე-
რი ხელაშვილი ფრიად ნ ა ს წ ა ვ ლ ი კ ა ც ი ი ყ ო (ჯავახ.,
88, 17).

დამახასიათებელია შედგენილი შემასმენლის პოსტპოზიცია, როცა
მისი სახელადი ნაწილი ისეთ მსაზღვრელს წარმოადგენს, რომელსაც
მომდევნო კონტექსტი განმარტავს და აზუსტებს. ეს მსაზღვრელებია:
„შემდეგი, ასეთი, ასეთნაირი, შემდეგნაირი და ა. შ. (მაგ.: „ეს წესი
შ ე მ დ ე გ ი ა ო ა ს ე თ ი ა :...“). აქვე შემოდის რიცხვის გაგების მქონე
მსაზღვრელები:

მარტივი მსჯელობა ს ა მ ი ს ა ხ ი ს ა :... (ბაქრ., 222,
25); შესაძლებლობა მ რ ა ვ ა ლ გ ვ ა რ ი ა :... (ჩიქობ., 59, 24).

თუ შედგენილი შემასმენლის ზმნურ ნაწილს („არის“) ენაცვლე-
ბა ზმნები „გამოდგა“, „აღმოჩნდა“, „შეიქნა“ და მისთ., ხოლო სახე-
ლად ნაწილს ისეთი სინონიმური ზედსართავეები წარმოადგენს, რო-
გორცაა ფუჭი, ამაო, უქმი, უნაყოფო და მისთ., მაშინ ქვემდებარის
პრეპოზიცია რეალურად თითქმის ინვარიანტულია (თუმცა პოტენციუ-
რად არც უკუწყობაა შეუძლებელი). მაგ.:

კაკალი ფ უ ქ ი გ ა მ ო დ გ ა (გოგებ., VI, 279, 12—13);
ჩვენი შიში ტ ყ უ ი ლ ი გ ა მ ო დ გ ა (იქვე, VI, 324, 34);
მათი შვება ნ ა ჩ ქ ა რ ე ვ ი ა ღ მ ო ჩ ნ დ ა (შენგ., 219, 28—
29); ყოველი ცდა ა მ ა ო ღ დ ა რ ჩ ა (ჯავა, V, 332, 8).

ქვემდებარისა და შედგენილი შემასმენლის უკუწყობა რამდენიმე
ტიპობრივ შემთხვევაში ვლინდება:

წინამავალი კონტექსტიდან უკვე ცნობილი საგნებისა და მოვლე-
ნების აღმნიშვნელი ჩვენებითი ნაცვალსახელებითა და ზმნისართებით
გამოხატული სახელადი ნაწილი განსაზღვრავს შედგენილი შემასმენ-
ლის თავკიდურობას:

ეს და ა მისი ნუგეში (ჯავა, V, 87, 13—14); ი ქ ა რ ი ს
ჩემი სასახლე (ნ. ლორთქ., 475, 30—31); ა ს ე თ ი ა მათი
პრინციპი (ბაქრ., 108, 3).

სამეცნიერო ლიტერატურის ენისათვის დამახასიათებელი შედგენილი შემასმენლები, როგორცაა მთავარია, ძირითადია, ცნობილია, ცხადია და მისთ., პრეპოზიციისაკენ მიისწრაფვიან:

ცნობილია რამდენიმე ასეთი ხელოვნური ენა (ჩიქობ., 13, 11); ძირითადია ნათქვამის სიზუსტე (იქვე, 197, 17—18); ნათელია ამ კომპრომისული თვალსაზრისის თანმიმდევრობა (ბაქრ., 372, 7—8); ცხადია დანასკვის ხასიათიც (იქვე, 348, 14).

თავისებურ კონსტრუქციას ქმნის შედგენილი შემასმენლის მომდევნოდ ანალოგიურობის ნაწილაკებიანი (-ც, აგრეთვე, კიდევ...) ქვემდებარის მოთავსება:

გასაგებია დანასკვიც (ბაქრ., 274, 12); მარტივია მეთოდიც (ჩიქობ., 166, 12); მრავალგვარია აგრეთვე ლოგიკური ფორმები (ბაქრ., 60, 2); მოსახსენებელია აგრეთვე არაბეთი (გოგებ., VI, 706, 27).

შემასმენლის პრეპოზიციის შესაძლებლობას ზრდის შემასმენლის სახელადი ნაწილის განსაზღვრა ხარისხის აღმნიშვნელი სიტყვებით: ძალიან, მეტად...

მეტად ამაყია ჩვენი მამალი (ვაჟა, V, 147, 2); დიდი უიღბლო რამ კი იყო ის უბედური (შენგ., 457, 33); ძალიან გარყვნილი იყო ის თავი (ნ. ლორთქ., 224, 5—6).

ზმნური ნაწილის ფორმათაგან პრეპოზიციაში საკმაოდ ხშირად I თურმეობითი დატურდება; იგი შეხამებულია თვისების გამომხატველ მსაზღვრელთან:

ავ-კარგიანი ყოფილა, შენი ჭირიმე, ეს ქვეყანა (ილია, 307, 20—21); ძნელი ყოფილა თქვენი საქმე (ყაზბ., 1, 312, 1—2); გიჟი ყოფილა ეგ ოხერი (ჯავახ., 52, 19); მაშ, მართლა საჭირო ყოფილა ჩემი ჩამოსვლა (შენგ., 231, 24).

* * *

შედგენილი შემასმენლის ნაწილთა წყობა, ჩვეულებრივ, პირდაპირია: სახელადი ნაწილი + ზმნური ნაწილი. ეს წყობა დაირღვევა, თუ წინადადებაში ისეთი სიტყვები გვექნება, რომლებიც უშუალოდ ზმნას

უკავშირდება. ზმნისართები, ზმნური ნაწილაკები, უარყოფითი ნაწილაკები და მისთ.. ან ნებისმიერი ლოგიკურად გამოყოფილი სიტყვა (შღრ. „კარგად მომხადებული მოწაფე“ და: „მოწაფე კარგად იყო მომზადებული“). მაგ.:

ვერ ყოფილ ხარ ბატონის ერთგულიო (აკაკი, 15, 33); — ფეფენა, ნუ ხარ აჩქარებული ქალი (დ. კლდ., 265, 13); ენათმეცნიერება არ არის სხვადასხვა პრაქტიკული ცოდნა (ჩიქობ., 6, 3—4); ლოგიკურ ლიტერატურაში ამ საკითხზე ყოველნაირი პასუხი იყო გაცემული (ბაქრ., 438, 3—4).

პოსტპოზიციურია „ყოფნა“ ზმნის მყოფადის ფორმა, რომელიც ვარაუდის გაგებას შეიცავს (III პ., მხ. რ.: იქნება) რიცხვითი სახელით გამოხატულ სახელად ნაწილთან შეხამებისას (მაგ.: იქნება ასე ოთხმოცი წლისა; „იქნება სამოცდაათი“. — ილია, 254, 6).

შედგენილი შემასმენლის ნაწილთა გათიშვა სიტყვით მაშინ ხდება, როცა სახელადი ნაწილი მიმღეობითაა გამოხატული: რამდენადაც იგი ნაზმნარი სახელია, მას უკავშირდება თითქმის ყველა დანარჩენი წევრი. ვინაიდან მიმღეობა ფორმალურად სახელია, ყველა ის წევრი, რომელიც ზმნასთან ურთიერთობაში უბრალო დამატება ან გარემოება იქნებოდა, პოზიციურად განსაზღვრებას ემსგავსება, ე. ი. საზღვრულის წინ ექცევა (ამიტომ მათი მიჩნევა დამატებად თუ გარემოებად, ან ცალკე წევრად გამოყოფა გაჭირდებოდა). მაგ.:

დეე, იყოს მოტყუელი ბით გამოწვეული ეს ვაჟკაცური გახელება (ქიაჩ., 197, 14); ოსეთში ჩემი ძმისწულია ჩემის შიშით გახიზნული (ნ. ლორთქ., 256, 20); არც ფრაზაში სიტყვათა ურთიერთობაა ამჟამად წინანდებული (ჩიქობ., 34, 5); ქარავანი მყავს იქ დაყენებული (ნ. ლორთქ., 231, 4—5); სამწუხაროდ, არც ერთი კავკასიური ენა არ არის სათანადოდ შესწავლილი (ჩიქობ., 120, 31—32).

რიგ შემთხვევაში შედგენილი შემასმენლის ნაწილები ქვემდებარითაც შეიძლება გაითიშოს:

მაშინ იქნება ჩემი მღერა დიდებული (ვაჟა, VI, 215, 9); მწვანით არის ყოველივე მოსილი (ნ. ლორთქ., 517, 3); არც არის მისი განსაზღვრა საჭირო (ბაქრ., 147, 37—38).

შედგენილი შემასმენლის ნაწილთა გათიშვის შემთხვევათა სიმრავლე იმაზე მიუთითებს, რომ ზმნა ცდილობს ერთდროულად რამდენ-

ნიმე სიტყვას დაუკავშირდეს და, ამასთანავე, შეუნარჩუნოს სემანტიკურად წინწამოსაწევ სიტყვას ლოგიკური მახვილი პოზიციის მეშვეობით. თავის ამ მისწრაფებას ზმნური ნაწილი ახორციელებს შუა პოზიციამში მოქცევის გზით. მისი წინამავალი სიტყვა ლოგიკურ მახვილს ატარებს, ხოლო მომდევნო მთლიანად უკავშირდება ზმნას — მოსდევს მას და უძღვას ზმნური სემანტიკის მქონე კომპონენტს (სახელად ნაწილს).

შედგენილი შემასმენლის ნაწილთა გათიშვა ერთზე მეტი სიტყვით შედარებით იშვიათია. მაგ.:

ღეღაჩემს ვყავდი მკერდზე თავით მიხუტებული
(ქიაჩ., 205, 2); იმიტომ არის ანგელოზი მუდამ მოწყენილი (ნ. ლორთქ., 109, 1); თავის ღღეში არ ყოფილა მინა ასე მიმზიდველი (იქვე, 410, 29).

გათიშველი სიტყვები აქ ერთმანეთს სინტაგმატურად არ უკავშირდებიან.

3. პირდაპირი დამატების ადგილი

სხვადასხვა სიგრძის წინადადებებში პირდაპირი ობიექტის პოზიციები ასე ნაწილდება:

წინადადების სიგრძე	პოზიციები					
	I	II	III	IV	V	VI
ორწევრა	69%	31%	—	—	—	—
სამწევრა	28%	43%	29%	—	—	—
ოთხწევრა	13%	27%	30%	30%	—	—
ხუთწევრა	8%	17%	23%	27%	25%	—
ექვსწევრა	2%	9%	18%	22%	24%	25%

(შეიღწევრა წინადადებათა სიმცირის გამო სათანადო შედეგები მხედველობაში მიღებული არ არის).

რაც შეეხება რელატიურ პოზიციას შემასმენლის მიმართ, უნდა ითქვას, რომ პირდაპირი დამატების ადგილი, ჩვეულებრივ, ფიქსირებულია: ეს წევრი კონტაქტურად უკავშირდება ზმნას — უშუალოდ უსწრებს ან მოსდევს მას:

პასუხიც არ მიუცია (ნ. ლორთქ., 443, 14); დათიკომ პასუხიც არ მომცა (ილია, 309, 43); იქ ღმერთი გააჩნევდა ბრალიანს და უბრალოს (დ. კლდ., 203, 11—12); ამიტომ ვენახს ხშირად აპატიებენ საქონლის ნეხვითა (გოგებ., V, 523, 14—15); ტყბილის ძახილით მოუსვენრად იწვევდა ამხანაგი ამხანაგს ამ ნეტარებისათვის (ყაზბ., II, 269, 23—24); ქალმა შეუმჩნევლად ამოაძრო თავის საყვარელ არსებას ხანჯლის ქარქაშიდან პატარა ხანჯალი (ნ. ლორთქ., 196, 18—19).

შენიშნულია, რომ შემასმენლის მიმართ დამატების პრეპოზიცია სქარბობს პოსტპოზიციას [30, გვ. 251]. ზოგადად კი პირდაპირი ობიექტის პოზიციები ნებისმიერი სიგრძის წინადადებებში მეტად უახლოვდება შემასმენლის პოზიციებს, რაც მიუთითებს ამ ორი წევრის უმჭიდროეს კავშირზე [48, გვ. 118]. ეს არ არის მოულოდნელი ფაქტი: პირდაპირი ობიექტი ზმნის გარდამავლობის ლექსიკური ნიშანიცაა და, მაშასადამე, მისი მიუცილებელი ატრიბუტია. მის გარეშე ზმნა იშვიათად დასტურდება. მათს განუყრელობაზე მიუთითებს აგრეთვე „ღალად-ყო“ ტიპის სიტყვების არსებობა ძველ ქართულში, სადაც გაუფორმებელმა პრეპოზიციურმა პირდაპირმა დამატებამ გარდამავალ ზმნასთან ერთად კომპოზიტი წარმოქმნა [42, გვ. 270]. ამავე წარმოშობისაა შეურაცხყოფა, პატივისცემა და მისთ. (შეურაცხყო, პატივი სცა...).

თუმცა, ჩვეულებრივ, დამატების პრეპოზიცია შემასმენლის მიმართ დიდად სქარბობს პოსტპოზიციას, განსაკუთრებით, სინტაგმაში (ორწევრა წინადადებებში), მაგრამ ცალკე უნდა გამოიყოს ის შემთხვევები, რომლებშიც დამატების პრეპოზიცია სპეციფიკურია ზმნის სემანტიკიდან გამომდინარე. კერძოდ, კლიმატის ან ჩვეულებითობის გამომხატველ „იცის“ ზმნასთან დამატება თითქმის უგამონაკლისოდ პრეპოზიციურია. მაგ.: „ციმბირში ცივი ზამთარი იცის“. აქ ზმნის გარდამავლობა მოჩვენებითია, ვინაიდან სემანტიკურად იგი „არის“ ზმნას ენაცვლება (მაშასადამე, სიტყვათგანლაგებას აქ ზედპირული სტრუქტურა კი არ განსაზღვრავს, არამედ სიღრმისეული). სხვაგვარად იგივე აზრი ასე გამოიხატებოდა: „ციმბირში ზამთარი ცივია || ცივი ზამთარი“, სადაც „ყოფნა“ ზმნა მუდამ პოსტპოზიციური იქნება, სახელი კი ქვემდებარეს (ან სახელად ნაწილს) ემსგავსება. სხვა მაგალითები:

ერთობ ღვინო იციოთ (დ. კლდ., 476, 1); გრძელი
კაბები ვიცოდით, კუდიანი (დიალექტ., 515, 26);
შუღლი არ იცოდოიან (იქვე, 33, 18).

სპეციფიკურია აგრეთვე სამეცნიერო ლიტერატურის ენი:ათვის დამახასიათებელ I პირის მრავლობითი რიცხვის კავშირებითიან კონსტრუქციაში პირდაპირი ობიექტის პოსტპოზიცია. პრეპოზიციურ შემასმენელს აკისრია მსჯელობაში საგნის შემოყვანის ფუნქცია (მსგავსი მოვლენა შეინიშნება ქვემდებარე-შემასმენლის ურთიერთობაშიც. იხ. ზემოთ). მაგ.:

ავიღოთ უბრალო მაგალითი (გოგებ., VI, 161, 33—34); განვიხილოთ პირველი საკითხი (ბაქრ., 13, 29); გავარჩიოთ მსჯელობის ეს თეორია (იქვე, 293, 1).

მოყვანილ და ანალოგიურ შემთხვევებში ზმნა-შემასმენელი ასახელებს იმ ოპერაციებს, რომელთაც ეყრდნობა მეცნიერული მსჯელობის პროცესი (გავარჩიოთ, გავანალიზოთ, შევადაროთ, განვიხილოთ, მოვიყვანოთ, დავასახელოთ, დავამტკიცოთ...). ამგვარ ზმნებს ისეთი სახელები შეესაბემა, რომელთა მნიშვნელობა მომდევნო კონტექსტში განმარტებულია ან დაკონკრეტებული. ობიექტების პოსტპოზიცია ამ შემთხვევაში წინამავალი და მომდევნო კონტექსტების ერთგვარი დამაკავშირებელია.

ამავე ფუნქციისაა რიცხვითი სახელით განსაზღვრულ ობიექტთან შეწყობილი ზმნა-შემასმენლის III პირის მრავლობითი რიცხვის ფორმა, რომელიც სპეციფიკური სემანტიკისაა („განსხვავება-დიფერენცირება“). მაგ.:

განასხვავებენ დიღმის ორ სახეს (ბაქრ., 307, 29); ჩვეულებრივად განასხვავებენ სამ გვარს (ქიქ., 143, 36); განასხვავებენ თანხმობადი ცნებების სამ სახეს (ბაქრ., 97, 23).

პირდაპირი ობიექტის პოსტპოზიციას აქ იმდენად დიდი მნიშვნელობა არა აქვს, რამდენადაც შემასმენლის პრეპოზიციას: იგულისხმება, რომ სინტაქსური ტრანსფორმაციის შედეგად ობიექტი სუბიექტად გარდაიქმნება. შდრ.: „გამოყოფენ ორ ჭაფუფს“ (ჭაფუფი ობიექტია) და: „გამოიყოფა ორი ჭაფუფი“ (ჭაფუფი სუბიექტია). შესადარებელი წინადადებების ზმნები — გარდამავალიცა და გარდაუვალიც — პრეპოზიციურია თავისი ფუნქციურა დატვირთვის გამო: აკისრია თხრობაში იმ საგნის შემოყვანა, რომლის შესახებ მომდევნო კონტექსტში მსჯელობა ივარაუდება.

პირდაპირი ობიექტის პრეპოზიცია თითქმის ინვარიანტულია, როცა დამატება გამოიხატება „მართალ“- სიტყვით:

მართალს ვიტყვი, შევიქნები ტყუილისა მოამბე რად (დ. გურამ.); — მართალს მოგახსენებ (ილია, 308, 8);

— მართალი სიტყვა (ჯავახ., 492, 34); — მართალი მი-
თხარ, შვილო (ნ. ლორთქ., 538, 25).

დამატების პრეპოზიციას ამ სიტყვის სემანტიკიდან გამომდინარე
ლოგიკური მახვილი განსაზღვრავს (გამონათქვამები ემფატირებულია).
მაგრამ თუ წინადადებაში ლოგიკური მახვილის ქვეშ სხვა სიტყვა აღ-
მოჩნდება. პირდაპირი ობიექტი ზმნის მარჯვნივ მოექცევა (მაგ.: „მე
ვიტყვი სიმართლეს!“ — ფილმის სათაური).

„მეტყველება-წრის“ ზმნებთან ხმარებული ანალოგიური ობი-
ექტები (სწორო, ნამდვილი და მისთ.) ანალოგიურადვე პრეპოზიციას
გვიჩვენებენ (სწორს ამბობს, ნამდვილს მოგახსენებთ...). პირდაპირი
დამატების კონტაქტური პრეპოზიციის ასეთ სიქარბეს უნდა განსა-
ზღვრავდეს ფუნქციური სიახლოვე დამატებისა ვითარების გარემოე-
ბასთან (შდრ.: მართალს ამბობს და მართლა ამბობს, სწორს ამბობს და
სწორად ამბობს), ისევე როგორც გარემოების ფუნქციით იხმარება
ზოგიერთ ზმნასთან ბევრი, ცოტა და მისთ. (შდრ.: ბევრს ლაპარაკობს,
ცოტას ჭამს... შდრ. აგრეთვე: ქართულს ლაპარაკობს და ქართულად
ლაპარაკობს). ვითარების გარემოება კი შემასმენელთან ყველაზე მჭიდ-
როდ დაკავშირებული წევრია და მისი ადგილიც ფიქსირებულია ზმნის
წინ (იხ. ქვემოთ).

სხვა სემანტიკური ჯგუფებიდან, ისევე როგორც ქვემდებარე-შე-
მასმენლის შემთხვევაში, ყურადღებას იქცევს დაწვება-გათავების, ნა-
ხვა-სმენის, აგრეთვე ზოგი მოძრაობა-გადაადგილების გამომხატველი
ზმნები (მოტანა-მოყვანა), რომლებსაც თხრობაში შემოჰყავთ ახალი
საგანი (ან გაჰყავთ ძველი). მაგ.:

დაიწყეს ლაპარაკი (ილია, 359, 8); დაუწყეს
სინჯვა (ვაჟა, V, 112, 4—5); ვათავებ ამ წერილს (ყაზბ.,
II; 210, 28); ნახა ერთი ლამაზი თავი (გოგებ., V, 163,
8—9); დაუნახავს ეს ამბავი (ილია, 436, 25); გამოი-
ტანეს ვანშამი (ნინ., 346, 25).

აღსანიშნავია, რომ შემასმენლის პრეპოზიციის ხვედრი ძირითა-
დად სასაუბრო მეტყველებაზე მოდის. ამიტომ ბუნებრივია, რომ ეს
წყობა ხშირად დასტურდება დიალექტოლოგიურ ტექსტებში, აგრეთ-
ვე, მხატვრული ნაწარმოებების პერსონაჟთა მეტყველებაში, რომელიც
უპირატესად დიალოგებში გვხვდება. თვით მონოლოგიური ხასიათის
პასაჟებშიც კი, როცა ეპიკურ თხრობასთან გვაქვს საქმე, ინვერსიული
წყობა საკმაოდ ხშირია. ეს ფაქტი მხოლოდ ზეპირი მეტყველებისათვის
დამახასიათებელი იმპროვიზაციული მანერითა და მონათხრობისადმი
მთქმელის მხრივ კონტროლის გაუწევლობით როდი აიხსნება. ამ სახის
მეტყველებაში დიდ მნიშვნელობას იძენს მოქმედებათა მონაცვლეობა.

და ახალ-ახალი საგნებისა თუ პერსონაჟების შემოყვანა თხრობაში, რასაც ემსახურება ისეთი სინტაქსური საშუალება, როგორიც სიტყვათგანლაგებაა.

4. ირიბი დამატების პოზიციები

ირიბი დამატების პოზიციები სხვადასხვა სიგრძის წინადადებებში შემდეგნაირად ნაწილდება:

წინადადების სიგრძე	პოზიციები					
	I	II	III	IV	V	VI
ორწევრა	62%	38%	—	—	—	—
სამწევრა	37%	36%	27%	—	—	—
ოთხწევრა	19%	25%	18%	38%	—	—
ხუთწევრა	9%	19%	18%	15%	39%	—
ექვსწევრა	3%	8%	19%	21%	24%	25%

ირიბი დამატების ადგილი გაცილებით მერყევიან, ვიდრე პირდაპირი დამატებისა. იგი ძირითადად დისტანციურადაა განლაგებული შემასმენლის მიმართ და ამ შემთხვევაში დამატება პრეპოზიციას ამჯობინებს. მაგ.:

ამ დროს კოტეს სადილად დაუძახა მოსამსახურემ (გოგებ., V, 268, 12—13); შემოსვლისთანავე გოგონა მიცვალე ბულს გულში ჩაეკრა (ქიაჩ., 232, 32—33); ტუსაღმა რამდენჯერმე ნაზად შემოუსვა ხელი ბავშვის ყელს (ნ. ლორთქ., 20, 11—12).

პოსტპოზიციური ირიბი დამატება უმეტესწილად კონტაქტურად უკავშირდება შემასმენელს:

ელდაცემულმა თუშმა დაუძახა ამ ხანაგს (ილია, 472, 20). მოხუცი ყურს უგდებდა თემურყოს გაჩუმებული და ხმაგაკმენდილი (ყაზბ., II, 92, 24—25); ღამე გამოეთხოვა ქვეყანას (ილია, 439, 38).

მოკლე წინადადებებში ირიბი დამატება ცდილობს მოხვდეს წინადადების თავში ან შუაში:

იმას ველარ ულალატებს (ყაზბ., I, 81, 14—15); — ძიე-
ბის შედეგს ველოდით (ქიაჩ., 359, 20); მე მღვდელს
შეგზედე (ილია, 285, 22—23); კაცი კაცს ველარა ჰნდობია
(ილია, 435, 42).

გარეულ წინადადებებში დამატება მარჯვნივ მიიწევს:

გვამი დათვისა დიდის ამბით და დიდებით მიწას მია-
ბარეს (ვაჟა, VI, 270, 35—36); მისი უმკაცრესი სიტყვების
შემდეგ არავინ მოელოდა მისგან ლმობიერებას (ქიაჩ.,
76, 12—13); ამიტომ შუა საუკუნეებში სამურხაყანო... სა-
მეგრელოს ეკუთვნოდა (გოგებ., VI, 211, 12—13).

პირდაპირი დამატების თანხლებისას ირიბი დამატება, როგორც
წესი, გათიშულია შემასმენლისაგან; უფრო ხშირად პოსტპოზიციუ-
რია ორივეს მიმართ.

რაც შეეხება უკუწყობას, გარდა იმ საერთო მიზეზებისა, რომ-
ლებიც იწვევენ ინვერსიას (იხ. სპეციალური ქვეთავი ამ ფაქტორების
შესახებ), უნდა აღინიშნოს ზმნა-შემასმენლის სპეციფიკური სემან-
ტიკა. კერძოდ, მოძრაობა-გადაადგილების აღმნიშვნელი ზმნები პრე-
პოზიციას ამჟობინებენ:

აი მიუახლოვდა წყლის ნაპირს (ყაზბ., II, 47, 17); მიაღ-
წია ერთს უღრანს ტყეს (ვაჟა, V, 337, 9); გავყვეი ლობეს.
(ქიაჩ., 92, 5).

თითქმის უგამონაკლისოა „მიაღვა“, „გაუღვა“ ზმნების წინამავა-
ლი პოზიცია ირიბი დამატების მიმართ:

მიაღვნენ ერთ რუსა (გოგებ., V, 341, 6); გაუღვა გზას.
(ვაჟა, V, 338, 9); მივადექი ერთ ამბავს (ნ. ლორთქ., 166, 23).

დასახელებული ზმნების პრეპოზიცია ტრადიციითაა განმტკიცებუ-
ლი ისეთი უანრის ნაწარმოებებში, როგორცაა ზღაპრები, რომლებიც
გამოირჩევა განმეორებად მოქმედებათა გამომხატველი ფრაზების სტა-
ბილური სტრუქტურით — არა მარტო ლექსიკური, არამედ სინტაქსური
თვალსაზრისითაც.

5. უბრალო დამატების ადგილი

ირიბი დამატების მსგავსად, უბრალო დამატების ადგილიც განსა-
კუთრებული სტაბილობით არ გამოირჩევა. მისი პოზიციების თანაფარ-
ლობა ასეთია:

წინადადების სიგრძე	პოზიციები					
	I	II	III	IV	V	VI
ორწევრა	62%	38%	—	—	—	—
სამწევრა	39%	35%	26%	—	—	—
ოთხწევრა	23%	26%	22%	29%	—	—
ხუთწევრა	18%	19%	18%	19%	26%	—
ექვსწევრა	14%	15%	14%	18%	16%	23%

უბრალო დამატების პოზიციისათვის გარკვეული მნიშვნელობა აქვს წინადადების სიგრძეს. მოკლე წინადადებებში იგი თავკიდური პოზიციისაკენ მიისწრაფვის, გრძელ წინადადებებში კი ბოლოკიდურ პოზიციაში ინაცვლებს უმეტესწილად. მაგრამ ეს — ზოგადად, თანაბარ პირობებში. არსებითი მნიშვნელობა კი ენიჭება უბრალო დამატების ფორმასა და ფუნქციას. როგორც ცნობილია, სწორედ ფორმის მრავალფეროვნებით განსხვავდება ეს წევრი ყველა სხვა წევრისაგან. შესაბამისად მრავალფეროვანია მისი ადგილიც (ცხადია, ყველა შემთხვევაში მხოლოდ ტენდენციებზე შეიძლება ლაპარაკი, და არა აუცილებელ წესებზე).

ქვემოთ მოყვანილ მაგალითებში დამატების ფორმა და ფუნქცია გათვალისწინებულია არა იზოლირებულად, არამედ შემასმენლის სემანტიკასთან უშუალო კავშირში.

უთანდებულო მოქმედებით გამოხატული უბრალო დამატება ტრანსპორტისა და სხვა საშუალებების გამოხატვისას ორსავე პოზიციაში დასტურდება, მაგრამ გარჩევა-განსხვავება სემანტიკის ზმნებთან იგი პრეპოზიციურია (აღნიშნავს განმასხვავებელ ნიშანს თუ თვისებას), მაშინ როცა -გან თანდებულიანი სახელი შემასმენლის მიმართ პოსტ-პოზიციურია. მაგ.:

ამ თვისებებით განსხვავდება აზროვნება, მაგალითად, აღქმებისა და წარმოდგენებისა — გან (ბაქრ., 421, 17—18); ამით ის არ განსხვავდება პოპულარული ინდუქციისაგან (იქვე, 385, 25—26); ეს დაბოლოება ამჟამად არაფრით გამოირჩევა სხვა ბრუნვათა ჩვეულებრივ დაბოლოებათაგან (ჩიქობ., 84, 20—21).

უთანდებულო ვითარებით გამოხატული უბრალო დამატება სხვა ფორმებთან შედარებით მეტი სტაბილურობით გამოირჩევა: მისი

კონტაქტური პრეპოზიცია შემასმენლის მიმართ 80%-ს შეადგენს, რასაც ხელს უნდა უწყობდეს ამავე ფორმით წარმოდგენილი ვითარების გარემოების უპირატესი პრეპოზიცია. მაგ.:

გამარჯვება ჩვენთვის ახლა ჩვეულებრივ მოვლენად იქცა (შენგ., 32, 9); ჩვენ მდგომარეობაში მყოფისთვის ამგვარი საქციელი სირცხვილად ვერ ჩაითვლება (ყაზბ., 134, 6—8); ბაბო ცრემლად იღვრებოდა ამაზე (დ. კლდ., 349, 15); მუხის შტო გვირგვინად დაუდგამს შავ კუპრ თმაზე (ნ. ლორთქ., 440—441); შხამად ამოუვიდეს იმას ეელში ის ორი შაში (ვაჟა, V, 192, 24—5).

-ზე თანდებულიანი სახელი წინადადების დასაწყისისაკენ მიისწრაფვის, როცა ფუნქციით ადგილის გარემოებას უახლოვდება, კერძოდ, როცა სხეულის ნაწილთა აღმნიშვნელია:

მე გულზე მწუხარება ლოდად დამდებია (ნ. ლორთქ., 212, 8); მის სახეზე საშინელი ეჭვი და უალრესი გაკვირება ერთმანეთს ბასრი კლანჭებით შეებნენ (ქიაჩ., 286, 21—22); იმის გამხმარს ლოყებზედ ორ ნაკადულად ცრემლები ჩამოედინა (ყაზბ., II, 36, 32—33).

განსაკუთრებით ხშირია ამ სახელის თავკიდური პოზიცია, როცა ზმნა აღნიშნავს გარკვეულ რეაქციას წინამავალ კონტექსტში მინიშნებულ ნათქვამსა თუ მოვლენაზე:

ამ სიტყვებზედ მთელი ჯოჯოხეთი აინთო ჩემს გულში (ყაზბ., II, 244, 30); ამ კითხვაზე ბაბაღემ პასუხის მაგივრად ტირილი დაიწყო (ნინ., 574, 20—21); მის ტირილზე თამშულ დანელიამ შუბლში ხელი წაიშინა (შენგ., 322, 18).

-ში თანდებულიანი სახელი შემასმენლის მიმართ პრეპოზიციურიც არის და პოსტპოზიციურიც. ოღონდ იგი ამჟობინებს დისტანციურ პრეპოზიციას და კონტაქტურ პოსტპოზიციას. თუ მისი მნიშვნელობა უახლოვდება ადგილის გარემოებისას, ჩვეულებრივ, იგი იწყებს წინადადებას. ასეთ შემთხვევაში დამატება მთელი წინადადების მსაზღვრელად გვევლინება:

„შინაარსის ლოგიკაში“ ცნების შინაარსს თვლიან ძირითადად (ბაქრ., 173, 34—35); ამ გამოთქმაში ერთ ობიექტად არის წარმოდგენილი ეს კომპოზიტი (ჩიქობ., 189, 1—2); ლოგიკურ ლიტერატურაში ამ სა-

კითხზე ყოველნაირი პასუხი იყო გაცემული (ბაქრ., 438, 3—4); ნაწერში ის ყოველთვის გამოყოფილია სასვენო ნიშნებით (ჩიქობ., 135, 30).

სხვა შემთხვევებში ამ ფორმით გამოხატული დამატების ადგილი შედარებით თავისუფალია.

-თან თანდებულიანი სახელის პოზიცია შედარებით თავისუფალია, მაგრამ, თუ იგი წარმოდგენილია ცალკე მდგომ ერთად თანდებულთან ერთად და ასრულებს გარდა თანდებულის ფუნქციას, მაშინ ეს ფორმა თავკიდური იქნება, ან, ყოველ შემთხვევაში, წინადადების ერთ-ერთი დამწყებ წევრთაგანი:

ჩემთან ერთად ხალხიც მოითხოვს შენგან სასწაულს (ქიაჩ., 46, 29); ახლა ბაკულასთან ერთად მათზედაც გული ჭაერით ევსებოდა გალაქტიონსაც და ზენათისაც (დ. კლდ., 602, 38—39); შინდის ჯოხთან ერთად პორტფელიც ილღის ქვეშ მოიქცია (შენგ., 13, 18).

-გან თანდებულიანი სახელის ადგილი მკაცრად განსაზღვრული არ არის, მაგრამ ერთი ტენდენცია მაინც შეიმჩნევა: პრეპოზიციაში იგი დისტანციურად უკავშირდება შემასმენელს, პოსტპოზიციაში — კონტაქტურად, განსაკუთრებით, ზემოხსენებული გარჩევა-განსხვავება სემანტიკის მქონე ზმნებს. ამ შემთხვევაში -გან თანდებული ნათესაობითის ფორმას დაერთვის:

ერთი ქვეყნის კაპიტალიზმი მრავალი ნიშნით განსხვავდება მეორე ქვეყნის კაპიტალიზმისაგან (ბაქრ., 425, 17—18); ამით ის არ განსხვავდება... პოპულარული ინდუქციისაგან (ბაქრ., 385, 25—26).

იგივე შეიძლება ითქვას მოქმედებითში დასმული -გან თანდებულიანი (>დან) სახელის პოზიციის შესახებ:

ორთავეს ერთმანეთის შეხედვაზე ერთგვარი ბრწყინვალე ნაპერწკალი წამოსცვინდათ თვალებიდან (ნინ., 305, 10—11); შესაბამისად, უარყოფით მსჯელობაში სუბიექტის მოცულობა გამორიცხულია პრედიკატის მოცულობიდან (ბაქრ., 184, 9—11); ...არც პირველსა და არც მეორე მაგალითში დანასკვი არ გამომდინარეობს წანამძღვრებიდან (ბაქრ., 301, 28—29).

ცალკე მდგომი მიხედვით თანდებულიანი სახელი, ზემოგანხილული უბრალო დამატების მსგავსად, მთელ წინადადებას განეკუთვნება, და

არა ოღენ შემასმენელს, რაც განაპირობებს მის აბსოლუტურ პრეპოზიციას.

გ ა ვ რ ც ე ლ ე ბ უ ლ ო ბ ი ს მ ი ხ ე დ ვ ი თ ინგლისურის შემდეგ მეორე ადგილი უჭირავს ესპანურ ენას (ჩიქობ., 14, 27—28); თ ა ვ ი ს ი ყ ო ფ ი ე რ ე ბ ი ს მ ი ხ ე დ ვ ი თ ისინი მთლად გათიშულნი არიან ერთმანეთისაგან (ბაქრ., 130, 27—28); ო ბ ი ე ქ ტ უ რ ი მ ო მ ე ნ ტ ი ს მ ი ხ ე დ ვ ი თ მათ შორის სხვაობა არ არის (ჩიქობ., 181, 22—23).

იშვიათად საანალიზო სახელი შეიძლება თავიკიდური ქვემდებარის შემდეგაც შეგვხვდეს. ამ შემთხვევაში მისი ფუნქცია კიდევ უფრო უახლოვდება ჩართულისას, თუნდაც სასვენი ნიშნით არ გამოიყოს:

კ ა ნ ო წ ე ბ ი ა მ თ ე ო რ ი ე ბ ი ს მ ი ხ ე დ ვ ი თ ადამიანთა გონების თავისუფალი შემოქმედებაა თავისი საკუთარი მოხმარებისათვის (ბაქრ., 40, 38—39); კ ა ვ კ ა ს ი უ რ ი ე ნ ე ბ ი ფ ო ნ ე ტ ი კ უ რ ი პ რ ი ნ ც ი პ ი ს მ ი ხ ე დ ვ ი თ სამ ძირითად ჯგუფად დაიყო (ჩიქობ., 120, 1—2).

მაგვირად (შმაგიერ) თანდებულიანი სახელი უპირატესად წინადადების თავიკიდურ პოზიციაშია, მაგრამ ამის გამო იგი იზოლირებული არ არის წინადადების ცალკეული წევრებისაგან, კერძოდ, იგი იმ წყვილის ცალია, რომლის მეორე ცალი წინადადებაში ქვემდებარე ან დამატებაა და, როგორც წესი, შემასმენლის წინამავალია. ამრიგად, წყვილის ორივე ცალი ლოგიკურად გამოიყოფა სიტყვათგანლაგების საშუალებით: ერთი წინადადებას უძღვის წინ, მეორე — უშუალოდ შემასმენელს:

ბ რ ძ ა ნ ე ბ ი ს მ ა გ ი ე რ მ ის ხ მ ა შ ი თ ხ ო ვ ნ ა ის-
მოლა (ჯავახ., 300, 31—32); ჩ ე მ ს მ ა გ ი ე რ შ ე ნ იზრუნებ
ჩემი მოთხოვნილებების დაკმაყოფილებისათვისო (ქიქ., 225,
13—14); ... ხ მ ე ლ ე თ ი ს მ ა გ ი ე რ ა დ მაგალითად ზღვა
ავილოთ (გოგებ., VI. 134, 12); თ ქ ვ ე ნ მ ა გ ი ე რ მ თ ი ს
მმართველად მე დამნიშნეს (ყაზბ., I, 141, 23—24); ა მ ი ს
მ ა გ ი ე რ ა დ მოსე თავისი თავის შველაზე ფიქრობ-
და (ნინ., 571, 10).

გარდა თანდებულიან სახელში ბრუნვის ფორმა და თანდებულის წარმოდგენენ წყვილის ისეთ ცალებს, რომლებიც საპირობებისდა მიხედვით ადგილებს უცვლიან ერთმანეთს (მაგ., გარდა ამახა და ამახ გარდა) ბრუნვის შესაბამისი ცვალებით. საგანგებოდ აღსანიშნავია ამ

შეხამების ორაზროვანი ფუნქციაც — იგი წინადადების წვერსა და ჩართულს შორის გარდამავალ საფეხურს წარმოადგენს: ერთი მხრივ, წინადადებაში მას მოეპოვება მისამართი სიტყვა, მეორე მხრივ კი — სიტყვის მასალად იზმარება.

მისამართი სიტყვა თავისი მეწყვილისათვის „უღლის გასაწევად“ ლოგიკურად გამოიყოფა, რისთვისაც მას ორი საშუალება მოეპოვება: უშუალო პრეპოზიცია შემასმენლის მიმართ (თუ თანდებულებული პოსტპოზიციურია სახელის მიმართ) და თანდებულებიანი სახელის უშუალო მეზობლობა. ეს საშუალებები ზოგჯერ ცალ-ცალკე გამოიყენება, ზოგჯერ კი — ერთად. მაგ.:

ქალებს გარდა იქაურმა ჩიტებმაც კი ჩაადეს საგონებელში ჩემი მსახური (აკაკი, 67, 11—12); ამას გარდა, სხვაი ქალი მე ცოლად არ მინდა (ნინ., 217, 28—29); ხორცის გარდა ნაქოც შეიძლება ხინკლის გულადა, კომბოსტოცა (დიალექტ., 58, 30); ვაჟიშვილის დაქორწინებას გარდა, ხვალ... ქალიშვილის გათხოვებაზედაც უნდა ეზრუნა (ნინ., 393, 32—33).

თუ გარდა თანდებულებიან სახელს უარყოფითი ნაცვალსახელი ან ზმნისართი უკავშირდება, თანდებულებიანმა კონსტრუქციამ შეიძლება შემასმენლის მომღვენოდ, წინადადების ბოლოს გადაინაცვლოს:

მისგან მე არაფერი დამრჩენია გარდა მისი უერთგულესი სიყვარულის მოგონებისა (ქიაჩ., 295, 28—29).

ამრიგად, გაანალიზებული მასალის მიხედვით, უბრალო დამატების განლაგებისათვის მნიშვნელობა ენიჭება როგორც ზმნა-შემასმენლის, ასევე უთანდებულო და თანდებულებიანი სახელების ფორმობრივ და ფუნქციურ მხარეთა გათვალისწინებას.

6. ადგილის გარემოების ადგილი

ადგილის გარემოება, მსგავსად უბრალო დამატებისა; ფორმათა მრავალფეროვნებით გამოირჩევა და ამიტომ, სხვა გარემოებათაგან განსხვავებით, შედარებით თავისუფალი პოზიციით ხასიათდება (შდრ. [30] 221). მისი შეხვედრის სიხშირე სხვადასხვა პოზიციაში ასეთია:

წინადადებას სივრცე	პოზიციები					
	I	II	III	IV	V	VI
ორწევრა	63%	37%	—	—	—	—
სამწევრა	49%	32%	19%	—	—	—
ოთხწევრა	29%	30%	20%	21%	—	—
ხუთწევრა	21%	19%	19%	17%	24%	—
ექვსწევრა	7%	12%	20%	12%	20%	29%

ადგილის გარემოება უმეტესწილად დისტანციურადაა განლაგებული შემასმენლის მიმართ, რაც მათს სუსტ სინტაგმატურ კავშირზე მიუთითებს. მაგ.:

იქ ხალხი უფრო მაძლარია (ილია, 259, 4); დარბაზიდან ღარიკოს ხმა მკაფიოდ მოისმა (შენგ., 231, 19); არა ქვეყანა არ შეედრება ჩინეთის მცხოვრებლებს რიცხვით მთელს დედამიწის ზურგზედ (გოგებ., VI, 398, 32—33).

აღსანიშნავია, რომ შემასმენლის მიმართ პოსტპოზიციური ადგილის გარემოება ძირითადად თანდებულიანი სახელითაა გამოხატული, მაშინ როცა პრეპოზიციური გარემოებისათვის ფორმას მნიშვნელობა არა აქვს. ჩვეულებრივ კი უფორმო სიტყვა, მეტადრე ერთმარცვლიანი, თავიკლურ პოზიციას ამჯობინებს წინადადებაში:

იქ მიცდიან (დ. კლდ., 344, 38); შინ აღარ მიმესვლება (ჯავახ., 543, 21); წინ ვერ ავეფარები (ილია, 446, 9); აქ საქირო არა ხარ (ნ. ლორთქ., 458, 25); იქ ხელოვნება მორჩილ ყმა-მოსამსახურედ უდგება სინამდვილეს (ნ. ლორთქ., 213, 36—37).

წინადადებაში შეიძლება ორი ადგილის გარემოება შეგვხვდეს. აქედან, თუ ერთი დაწყებითი სემანტიკისაა, მეორე კი — მიწვევითისა, ისინი გაუთიშავად იქნებიან წარმოდგენილნი, ხოლო მათი თანამიმდევრობა ლოგიკურ თანამიმდევრობას მიჰყვება:

ეზოდან ოთახში დაბრუნდა (გოგებ., VI, 572, 12); მთიდან დაბლა ჩაეშვა (ვაჟა, VI, 135, 26); ციხიდან რუსეთში გადაასახლეს (ქიაჩ., 116, 27).

უარყოფითი ნაცვალსახელები და ზმნისართები მუდამ უშუალოდ უსწრებენ ზმნას. თუ ამ ზმნისართებს ახლავს კონკრეტული მსაზღვრელი, უარყოფითი ზმნისართი თავისკენ იზიდავს მას და, ამრიგად, ექცევა თავის მსაზღვრელსა (გარემობას) და საზღვრულს (ზმნას) შორის:

შენს ხელს იქით არ საღ წავა (ყავახ., II, 199, 1); შორს არ საღ არ წავიდოდა (ყავახ., 335, 14).

ამ რიგის მაგალითებში გარემობები ლავდება იმის მიხედვით, თუ რომელია უფრო კონკრეტული შინაარსისა. ასეთი გარემობა მარჯვნივ ექცევა. კერძოდ, ჩვენებითი და განუსაზღვრელობითი ზმნისართები თავიანთ ზმნა-შემასმენელთან დისტანციურად არიან დაკავშირებულინი, „დასახელებითი“, აღმნიშვნელი (და არა მითითებითი) ზმნისართები კი — კონტაქტურად:

იქვე ტყეში დაემალნა (ყავახ., 274, 11); საღ და ცუცნაურს ადგილას ვიყავი (ვაჟა, VI, 169, 35); საღ და ცბენელს არ დაფში ჩამაგდეს (ქიაჩ., 346, 24). იქვე უუქმიყენებულ ეტლში ვილაცა სამხედროები სხდებოდნენ (იქვე, 85, 24—25).

ორი ადგილის გარემობებიდან ერთ-ერთმა, გარდა ადგილის სემანტიკისა, შეიძლება რამდენადმე ვითარების გარემობის მნიშვნელობაც შეითავსოს. ასეთი გარემობა, როგორც წესი, უშუალოდ უძღვის შემასმენელს, „წმინდა“ ადგილის აღმნიშვნელი კი დაშორებულია მას. ამ გარემობებს შორის ისეთივე მიმართებაა, როგორც არსებობს „აბსოლუტურსა“ და „რელატიურს“ შორის. აბსოლუტური მიანიშნებს კონკრეტულად დასახელებულ ადგილზე, რელატიური კი — წინადადებაში მოხსენიებულ საგნების სივრცობრივ მიმართებაზე:

ესენი კი იქაც, იმ ცივს ქვეყანაში ერთმანეთს შორი-შორს უდგნენ (ნ. ლორთქ., 202, 32—33); გურიიში ყაძახის შვილი ჩემ შვილებს წინ ვერ დუუდგება (ნინ., 538, 9—10).

თუ ორივე გარემობა აღნიშნითი ხასიათისაა და ერთი აკონკრეტებს მეორეს, თანამიმდევრობაც შესაბამისია — ზოგადიდან კერძოსკენ:

მისახვევ-მოსახვევიანი სორო მელია-კუდიგრძელიან ტყეში ჰქონდა ბექობ ადგილას (ვაჟა, V, 186, 7—8); გუბერნატორის ფალავანდიშვილის სახლი ქაშოეთის გასწვრივ იდგა კუთხეში (ყავახ., 529, 35—36); ერ-

თი იმ დროის კაცი... ზღვის პირად სცხოვრებდა გა-
მოქვაბულში... (ვაჟა, V, 37, 25—26).

დანარჩენ წინადადებებში, რომლებიც ორ-ორ ადგილის გარემოე-
ბას შეიცავს, ერთ-ერთი მათგანი მთელ წინადადებას განსაზღვრავს
(მას „წინადადების მსაზღვრელსაც“ კი უწოდებენ [99, გვ. 147]) და
იგი თავიდანვე პოზიციაში ინაცვლებს³ — შემასმენლისგან დის-
ტანციურად, ან — იშვიათად — ბოლოში, ხოლო მეორე — შემასმენ-
ლის მსაზღვრელია და უშუალოდ უსწრებს ან მოსდევს მას:

მხოლოდ სამხრეთით კახეთის ველი ვიწრო აღ-
ვილას გაშლილია (გოგებ., VI, 164, 33—34); აღმოსავ-
ლეთის მხარეს განთიადის წინამორბედი ნისლისფერი
ღრუბლები ირეოდნენ ცაზე (ქიაჩ., 158, 18—19); თვითონ
შუაგულ სოფელში რამდენიმე ვეებერთელა წყარო
ამოიუხჩუხებდა მიწიდან (გოგებ., VI, 506, 29—30).

ზოგადი⁴ და კერძოს პოზიციურ მიმართებათა დიფერენციაციის
ერთგვარ გაგრძელებად უნდა ჩაითვალოს დანართისა და განკერძოე-
ბული გარემოების პოსტპოზიცია, რამდენადაც ისინი წარმოადგენენ
დამატებითსა და უფრო კონკრეტულ მონაცემებს საუბრის საგნის შე-
სახებ. მაგ.:

რკინიგზაზე ორი ლიანდაგია — მარჯვნივ და
მარცხნივ (იოს., 33—34); ხვდაბუნებში, ყვი-
რილის პირად მოსწვდენ (აკაკი, 31, 14); გზის ბო-
ლოში, სულ ბოლოში, ქაცვის მაღალი ხეებია (იოს.,
14, 20—21).

7. დროის გარემოების ადგილი

დროის გარემოება მეტად სტაბილურ პოზიციას გვიჩვენებს (შდრ.
[56] 147, 149). მაგალითების აბსოლუტურ უმრავლესობაში იგი თავ-
კიდურია (მისი შეხვედრის სიხშირის კლება მიმართულია მარცხნიდან
მარჯვნივ), რაც მიუთითებს სუსტ სინტაგმატურ კავშირზე შემასმე-
ნელთან. ამასვე მოწმობს ის პაუზა, რომელიც ახლავს მის წარმოქმნას

³ გარემოების თავიკიდურობა იმის მაჩვენებლად მიაჩნიათ, რომ იგი მთელ
წინადადებას განეკუთვნება [75, გვ. 173]; უფრო ზუსტი იქნებოდა: თავიკიდური გარე-
შობა ასეთი მხოლოდ მაშინ არის, როცა უშუალოდ შემასმენელი არ მოსდევს.

წინადადებებში (ორწევრა წინადადებების გამოკლებით, რადგან ამ შემთხვევაში წინადადება და სინტაგმა ფარავენ ერთმანეთს):
 დროის გარემოების პოზიციათა განაწილება ასეთია:

წინადადების სიგრძე	პოზიციები					
	I	II	III	IV	V	VI
ორწევრა	89%	11%	—	—	—	—
სამწევრა	67%	25%	8%	—	—	—
ოთხწევრა	52%	34%	9%	5%	—	—
ხუთწევრა	54%	25%	14%	4%	3%	—
ექვსწევრა	49%	18%	16%	5%	5%	7%

დროის გარემოება სხვა წევრებს შორის ყველაზე „ავტონომიურია“: იგი უფრო წინადადების დროითი მსაზღვრელია, ვიდრე შემასმენლისა. ამიტომაც ირჩევს იგი იზოლირებულ პოზიციას:

ოდესღაც ამგვარ ნაღიშზე ეს მანძილი ერთ გოჯსაც არ უდრიდა (ჯავახ., 98, 11); ერთხელ საჩხერეშიც ამგვარად მოვიდა (აკაკი, 24, 19); მალე მოვიდა ოთარაანთ ქვრივი (ილია, 460, 23); ერთ დღეს მარინემ უცნაურად დაიჯინა სახლში დედამთილთან წასვლა იქ დასაწოლად (დ. კლდ., 288, 1—2).

სხვა გარემოებებთან შედარებით დროის გარემოებას ის თავისებურება ახასიათებს, რომ მას ორგვარი მნიშვნელობა შეიძლება ჰქონდეს: ერთი — დააახლოს დრო (სხვანაირად — დაათარილოს მოქმედება), მეორე — აჩვენოს ასპექტი — დაახასიათოს მოქმედება მისი გრძლიობის, პერიოდულობის, ინტენსივობის მიხედვით. მრავალწევრა წინადადებებში, თუ დროის გარემოება პირველი მნიშვნელობით იხმარება, იგი იწყებს წინადადებას, რამდენადაც მთელ წინადადებას განსაზღვრავს. ვინაიდან ამ სახის წინადადებებში შემასმენელს ბოლოკიდური ან ბოლოსწინა პოზიცია უჭირავს, ამგვარი დროის გარემოება მის მიმართ დისტანციურ პრეპოზიციასაა.

თუ დროის გარემოება მეორე მნიშვნელობით იხმარება, იგი უახლოვდება ვითარების გარემოებას, ეს უკანასკნელი კი თითქმის ყოველთვის კონტაქტურ პრეპოზიციასაა შემასმენლის მიმართ.

ორწევრა წინადადებებში ორივე მნიშვნელობით ნახმარი დროის

გარემოებები სავსებით თანაბარია — ორივე წინ უძღვის შემასმენელს. თუკი წინადადებაში ორი დროის გარემოებაა, ისინი გაუთიშავია და მნიშვნელობა იმასდა ენიჭება, რომელი მათგანი დაუკავშირდება უშუალოდ შემასმენელს. მაგ.:

ბოლოს ისევ მოვავონდი (ილია, 284, 9); მაშ ხვალ დილითვე წადი (ყაზბ., II, 326, 5); წუხელის გვიან დაბრუნდნენ (ჯავახ., 171, 24); ამ დღეებში სულ წვიმდა (ქიან., 102, 12).

ზემოთ მოყვანილ მაგალითებში შედარებით ფართო სემანტიკის მქონე გარემოება უწრებს უფრო ვიწრო მნიშვნელობის მქონე გარემოებას. გარეგულად მათ შორის ის განსხვავებაა, რომ პირველს თითქოს შეიძლება დაესვას კითხვა „როდის?“, ხოლო მეორეს — „როგორ?“ სწორედ აქ იჩენს თავს ზემოხსენებული დიფერენციაცია: „დროითი“ მსაზღვრელის დისტანციური პრეპოზიცია შემასმენლის მიმართ, ხოლო „ასპექტობრივისა“ — კონტაქტური.

დროის გარემოების შუა და, მით უმეტეს, ბოლოკიდური პოზიციის შემთხვევები ძალზე იშვიათია.

თვით ასპექტობრივი გაგება დროის გარემოებით გამოხატული მოქმედებისა ორ მხარეს გულისხმობს: „მომენტობრივისა“ და „დიურატიულს“. „დიურატიულ“ ასპექტში ნავარაუდევია როგორც მოქმედების გრძლიობის, ისე პერიოდულობის, არაქთაზისობის ჩვენება. ამ ფუნქციით დროის გარემოება გამოიხატება შემდეგი ზმნისართებით: ყოველთვის, მუდამ, სულ. ხშირად, იშვიათად ... ჭერ კიდევ, განუწყვეტლივ, გაბმით ... ხანდახან, ზოგჯერ, დროგამოშვებით და მისთ. მათი სემანტიკა თითქოს ერთდროულად მოიცავს დროისა და ვითარების გარემოებათა მნიშვნელობებს. რადგან ვითარების გარემოება მუდამ პრეპოზიციურია შემასმენლის მიმართ (იხ. ქვემოთ), გასაგები ხდება მასთან სემანტიკურად დაახლოებული დროის გარემოების ანალოგიური კონტაქტური პრეპოზიცია ზმნასთან მიმართებით:

პატარაობისას ხშირად მინახავს პაპა (ვაჟა, V, 24, 4); ბოლოს ხანდახან ამ პირქუშ უდაბნოში განმარტოებული ფიგურა გამოჩნდებოდა (ქიქ., 121, 7—8); ნასადილევის ორივემ ცოტა ხანს მოისვენეს (დ. კლდ., 474, 14); ერთ საღამოს ლევანმა დიდხანს უმზირა სოფიოს (ნინ., 346, 22); წარსულს ღამეს მე და მამაჩემი გათენებამდისინ ვისხედით (ყაზბ., I, 367, 1—2).

თუ საკუთრივ „დიურატიულ“ გარემოებათა შორის ერთი გრძლი-

ობის აღმნიშვნელია, მეორე კი — პერიოდულობისა, ეს უკანასკნელი წინ უსწრებს პირველს:

ასენა დროგამოწვეებით რამდენიმე დღით იკარგებოდა (ჯავახ., 412, 33); ხანდახან გრაფის მეუღლის მდიდრული სადილი ორ დღეს მაძლებინებდა (ქიქ., 174, 29—30).

ზოგჯერ დროს გარემოებათა სემანტიკური შეფარდება ისეთია, რომ დაყოფა „მომენტობრივ“ და „დიურატიულ“ ჯგუფებად არც საკმარისი არ არის, არც ზუსტი. საჭირო ხდება დამატებითი კლასიფიკაცია, რომლის შედეგად პირობითად გამოიყოფა „აბსოლუტური“ და „რელატიური“ სემანტიკის მქონე გარემოებები. „აბსოლუტური“ გარემოება დამოუკიდებლად მოქმედების მომენტს ასახელებს, „რელატიური“ კი დროითი მიმართების, ამსახველია და მოსდევს „აბსოლუტურს“:

საღამო უამს ბანაკი ხელახლა ცოცხლდება (ჯავახ., 181, 7); ნავახშმევს კიდევ გეტყვი რაღაცას (ქიაჩ., 57, 15—16); მეორე წელიწადს კიდევ ნახა მაგნაირი სიზმარი (დიალექტ., 290, 40); მეორე დღეს ადრე გამოეღვიძა ბეკოს (ქიაჩ., 41, 16).

შედგენილ შემასმენელთან „რელატიური“ დროის გარემოება პრეპოზიციური სახელადი ნაწილის წინ დგას და გახზავს ამ უკანასკნელს:

იმ დროს სვიმონ წერეთელი, სახუცის შვილი, მეფის სიძე, ღრმა მოხუცებული კიდევ ცოცხალი იყო (აკაკი, 31, 6—8); მალე ლექსო უკვე გომურში იყო (ვუკა, VI, 108, 1).

როცა ორივე გარემოება შემასმენლის მიმართ პრეპოზიციურია, „რელატიური“ გარემოება ზმნასთან კონტაქტურადაა დაკავშირებული, „აბსოლუტური“ კი — დისტანციურად. როცა შემასმენელი თიშავს მათ, შემასმენლის მიმართ პრეპოზიციაში იქნება „რელატიური“ გარემოება, ხოლო პოსტპოზიციაში — „აბსოლუტური“. ვინაიდან დამოკიდებული წევრის პრეპოზიცია შეხამების წევრთა უფრო მჭიდრო კავშირზე მეტყველებს, ვიდრე პოსტპოზიცია, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ „რელატიური“ გარემოება სინტაგმატური კავშირის მეტი უნარით ხასიათდება, ვიდრე „აბსოლუტური“.

მაშინაც კი, როცა გვხვდება პირუკუ პოზიციები — „მომენტობრივი“ (ან „აბსოლუტური“) გარემოება უსწრებს შემასმენელს, ხო-

ლო „რელატიური“ (ან „დიურატიული“) — მოსდევს, მეორე კონტაქტურად უკავშირდება ზმნას, პირველი კი — დისტანციურად:

ერთხელ კალოობის დროს მე წავასხი დი-
ლა-ადრიან ჩემი პატარა და-ძმა ვენახში (გოგებ., VI,
318, 34—35); ერთხელ დილით შემთხვევით ლოგინ-
ში დარჩა შუადღემდე (ქიქ., 308, 13); ამ დროის
შემდეგ სამურზაყანო ცალკე სამფლობელო იყო რუსეთ-
თან შეერთებამდის (გოგებ., VI, 211, 22—23).

8. ვითარების გარემოების ადგილი

სხვა გარემოებათაგან ვითარების გარემოება შემასმენელთან აზრობრივად ყველაზე მკიდროდ დაკავშირებული წევრია და ისე შეეფარდება შემასმენელს, როგორც მსაზღვრელი საზღვრულს (შდრ. მსაზღვრულ-საზღვრული: კარგი ბავშვი და ვით. გარემოება+შემასმენელი: კარგად წერს). ეს მკიდრო კავშირი ამ წევრთა განლაგებითაც გამოიხატება⁴: მაგალითების აბსოლუტურ უმრავლესობაში ვითარების გარემოება უშუალოდ უსწრებს შემასმენელს. შეიძლება ითქვას, რომ პოზიციის სიმყარის მხრივ არც ერთი წევრი არ შეედრება აღნიშნულ გარემოებას. წინადადების სიგრძეს და შედგენილობას არავითარი მნიშვნელობა არა აქვს. პოზიციების პროცენტული შეფარდება ასეთია:

წინადადების სიგრძე	პოზიციები					
	I	II	III	IV	V	VI
ორწევრა	76%	24%	—	—	—	—
სამწევრა	26%	65%	9%	—	—	—
ოთხწევრა	11%	45%	37%	7%	—	—
ხუთწევრა	6%	27%	35%	26%	6%	—
ექვსწევრა	6%	18%	26%	29%	14%	7%

განსაკუთრებით ხშირია ვითარების გარემოების პრეპოზიციის შემთხვევები, თუ იგი ზარისხის, ინტენსივობის, სისრულის და ა. შ. გა-

⁴ ლიტერატურაში საგანგებოდ მიუთითებენ იმ შემთხვევაზე, როცა პოზიცია ასხევეებს წინადადების წევრებს. მაგ., შდრ: „ტარიელი ქარივით მიაქროლებდა ცხენს“, და: „მიაქროლებდა ქარივით ცხენს“ [56, გვ. 151].

შომხატველი უფორმო სიტყვებით — ზმნისართებით არის გამოხატული. ეს ზმნისართებია: ძალიან, ძლიერ, მეტად, სულ, ერთიანად, საკმაოდ, სრულიად და მისთ.

ხარისხის აღმნიშვნელი ეს ზმნისართები დაერთვიან არა მარტო შემასმენელს, არამედ განსაზღვრებასა და ვითარების გარემოებასაც. უძრ.:

ერთობ გულმოდგინედ მუშაობდი (დ. კლდ., 446, 6); ძალიან უცნაურად იცქირება (ქიაჩ., 239, 36); სულ ხელზე გოგმანით დაზარდა (ვაჟა, VI, 106, 22—23).

და:

საკმაოდ ციოდა (ნინ., 489, 10); კარგა მოსალა-
მოვდა (იქვე, 402, 18); საშინლად ცხლოდა (ვაჟა, V,
17, 9); ძალიანა ციოდა (ილია, 471, 38).

მაგალითების მეორე წყებაში ზმნის სემანტიკა გრძნობა-შეგრძნებებისა და ბუნების მოვლენების ამსახველია.

პრეპოზიციური ტრადიციული შედარების გამომხატველი ვითარების გარემოება:

დევივით სძინავს (შენგ., 71, 26—27); ცეცხლი-
ვით ეშინია (დ. კლდ., 595, 34); კოკისპირულად
დაუშვა (ნ. ლორთქ., 453, 9).

პრეპოზიციური ვითარების გარემოება ხშირად გამოიხატება მსაზღვრელ-საზღვრულის სინტაგმით, რომელშიც საზღვრული სხეულის ნაწილს ან ორგანოს აღნიშნავს. ეს სახელი მოქმედებით ბრუნვაში დგას და მსაზღვრელის გარეშე უბრალო დამატების ფუნქციას შეასრულებდა, მაგრამ ატრიბუტთან შერწყმის შედეგად იგი ვითარების გარემოებად იქცევა და სემანტიკის მთლიანობით ფრაზეოლოგიზმს უახლოვდება. ეს კი მის პოზიციასაც სტაბილურს ხდის: შემასმენლის მიმართ პრეპოზიციური ადგილი ლოგიკური მახვილის ქვეშ აქცევს გარემოებას და ექსპრესიულობას სძენს. მაგ.:

აი, ძმაო, შენივე თვალით ნახე (ჯავახ., 265, 1);
ჩემის ყურით გავიგონე (ყაზბ., II, 313, 3); ორივე
თვალით შეხედე და გაიხარე (ქიაჩ., 181, 1—2); ჩვე-
ნი თვალით დავინახეთ (იქვე, 274, 305).

ასევე ინვარიანტულია „ტყუილად“ ზმნისართის შემცველი სინტაგმა და ზოგი ნაწილაკოვანი კონსტრუქცია „ძალიან“ ზმნისართის მონაწილეობით:

ტყუილად გაირჯები, ჩემო კაცია (დ. კლდ., 250, 39);
ტყვილა მიდინხარ (იქვე, 582, 26); აბა, ძალიან დაგი-
ჯერებ, აი (ილია, 310, 16); ძალიან კი მიგიშვებენ (ილია,
334, 41).

ზმნისართი ძალიან მყარ შესიტყვებას ქმნის კი ნაწილაკთან ერთად
და ზმნასთან შეხამებისას მას წინ უძღვის; ამასთანავე, ამ ზმნისართს
არ შეენაცვლება რომელიმე სინონიმი — მეტად, ძლიერ და სხვ.

მსგავსი ინვარიანტული კონსტრუქციებია: ერთბაშად+არ+ზმნა
(II კავშირებითში), უცბად (||უცებ)+არ+ზმნა და ა. შ. დიალოგებში
ზმნა და უარყოფითი ნაწილაკი გამოტოვებულია და ზმნისართით გამო-
ხატული ვითარების გარემოება იზოლირებული სახით, ელიპტირებუ-
ლად წარმოდგება: ერთბაშად! უცები (||ერთი სიტყვით!). სკეპტიკური
რეაქციის გამოხატველ ამ კონსტრუქციებში შემავალი ზმნისართები
წართქმით ფრაზაში ნამყო სრულს ეხამებიან (აი ნაწილაკის დართვით),
უკუთქმითში კი — II კავშირებითს (შდრ.: უცებ/ერთბაშად დაგიჯერე,
აი! და: ერთბაშად/უცებ არ დაგიჯერო!). წყობა ამ კონსტრუქციებს
ერთადერთი აქვთ. მზა ფორმულასვე იძლევა ეს შეხამებაც: ტყუილად
კი არ უთქვამთ/არის ნათქვამი. მაგ.:

ტყუილა კი არ არის ნათქვამი (აკაკი, 45,
29; ილია, 274, 4).

ეს კონსტრუქცია ასეა დამკვიდრებული იმისდა მიუხედავად, სხვი-
ლი ნათქვამი მოსდევს მას თუ უსწრებს.

* * *

ერთ წინადადებაში ორი ვითარების გარემოება სხვადასხვაგა-
რადაა განლაგებული იმის მიხედვით, თუ რომელ სემანტიკურ ერთე-
ულთან ამყარებს იგი კავშირს: მთელ წინადადებასთან თუ მხოლოდ
შემასმენელთან. წინადადების მსაზღვრელი. თავკიდურ პოზიციას იკა-
ვებს წინადადებაში, შემასმენლისა კი — მის წინამავალს (სპეციალურ
ლიტერატურაში ზმნისართების განსაზღვრებითი ლექსიკური მნიშვნე-
ლობების რეალიზაცია სინტაქსურ პირობებს მიეწერება და ამ შემთხვე-
ვაში ამ ზმნისართების პოლიხემიის შესახებ ლაპარაკობენ [67, გვ-
134—135]; სხვა ტერმინოლოგიით — „სიტყვათა ლექსიკურ-სინტაქ-
სური ვარიანტები“ [73]). მაგ.:

ახლა შესახედავად ყველა ტკბილად ცხოვ-
რობდა (ნ. ლორთქ., 381, 28); ამ სახით უმეცრება.

ყოველის მხრით აუბედურებს ჩვენ გლახკაცსა (გოგებ., VI, 162, 15—16).

ვითარების გარემოებათა ამგვარი დაყოფა-დიფერენცირება იძლევა გასაღებს ჩართულის მოვლენის გაგებაშიც: ჩართული ხშირად ვითარების გარემოებად რეალიზდება, თუ მას უშუალოდ დაუკავშირდება ზმნა-შემასმენელი და პაუზის გარეშე ჩაერთვება წინადადებაში (ამასთან დაკავშირებით ნიშანდობლივია განმარტებითი ლექსიკონების პრაქტიკა ჩართულისათვის ისეთი ილუსტრაციების შერჩევისა, რომლებშიც იგი დისტანციურ პრეპოზიციასა შემასმენლის მიმართ, რათა გამოირიცხოს მისი გაგება გარემოებად [80, გვ. 85]; ფუნქციური დანიშნულების მიხედვით ჩართულის ადგილის შესახებ ძველ ქართულში იხ. [33, გვ. 179—80]). შდრ., მაგალითად, ზმნისართები ჩვეულებრივ, საერთოდ სხვადასხვა პოზიციაში: „ჩვეულებრივ (=საერთოდ) შე ამ თემაზე ვსაუბრობ ხოლმე“, და: „შე ამ თემაზე ჩვეულებრივ ვსაუბრობ ხოლმე“; „საერთოდ (=საზოგადოდ) თეატრში არ დავდივარ“, და: „თეატრში საერთოდ (=სულ) არ დავდივარ“⁵.

საინტერესოა მითითებითი ზმნისართებით გამოხატულ ვითარების გარემოებათა ქცევა: თუ მოცემულ წინადადებაში შეჭამებულია წინაშავალ კონტექსტში წარმოდგენილი მსჯელობა, ადეიქტურნაწილაკიანი ზმნისართი თავკიდურია, ხოლო თუ მოცემულ წინადადებაში ამავე ზმნისართით გამოხატული (უკეთ, მითითებული) ვითარება მომდევნო წინადადებაში განიმარტება, ეგვე ვითარების გარემოება წინადადების ბოლოში ან ბოლოკიდური შემასმენლის წინ ინაცვლებს. შდრ.:

ასე გავატარებ გაძალღებულად ჩემს წუთისოფელს (დ. კლდ., 411, 36—37); ასე განახევრდა თანდაზთან საჭინბო (ჭავჭავ., 190, 29).

და:

რაციონალური გრამატიკის პრინციპული საფუძვლები სქემატურად ასე გადმოიცემა (ჩიქობ., 3, 33—34); სქემატურად მსჯელობას ასე გამოხატავენ (ბაქრ., 145, 29—30).

⁵ პოზიციების როლს ამ სიტყვის მნიშვნელობათა გამიჯვნაში მკაფიოდ წარმოაჩენს მათი შედარება რუსულ ეკვივალენტებთან: ჩართულს რუსულში შეესაბამება *вобщем*, საკუთრივ ვითარების გარემოებას კი — *вообще*. ე. ვინოგრადოვის აზრით, ჩართულს ახასიათებს უნარი წინადადების სიტყვიერ სივრცეში სინტაქსური მოძრაობისა [72, გვ. 55].

რაც შეეხება ი- დეიქტურნაწილაკიანი ზმნისართით გამოხატულ გარემოებას, იგი უპირატესად სხვა — „აღმნიშვნელ“ ზმნისართს უძღვის წინ და მისითვე განიმარტება (მაგ., ისე ღრმად, ისე ტკბილად და მისთ.). ამ შემთხვევაში ორივე გარემოება შემასმენლის წინამავალია. მაგრამ შემასმენლით მათი გათიშვისას, რაც არაიშვიათია, ზმნის წინ „მითითებითი“ ზმნისართი დგება, „აღმნიშვნელი“ ზმნისართი კი ზმნის მომდევნოდ ინაცვლებს:

ბავშვს ისევ ისე ეძინა მშვიდად, წყნარად
(ნ. ლორთქ., 449, 23).

ასეთ შემთხვევაში პოსტპოზიციური ვითარების გარემოება წარმოადგენს ერთგვარ გარდამავალ საფეხურს განკერძობებული გარემოებისაკენ. მხატვრულ გამოცემებში ამგვარ გათიშულ გარემოებებს ზოგჯერ მძიმითაც კი გამოყოფენ (მაგ.: ამგვარად მიდიოდნენ ისინი, ჩუმიად, ხმაგაკმენდილები“. — ყაზბ., I, 12, 9).

9. ზომა-ოდენობის გარემოების აღვილი

ზომა-ოდენობის გარემოება თითქმის იმეორებს ვითარების გარემოების პოზიციებს. ამდენად, მასზე სპეციალურად აღარ შევჩერდებით. უნდა აღინიშნოს კი, რომ პოლისემიური ზმნისართები, რომლებითაც ეს გარემოება გამოიხატება, სხვადასხვა პოზიციაშია იმისდა მიხედვით, მთელი წინადადების მსაზღვრელია თუ მხოლოდ შემასმენლისა, დროზე მიუთითებს თუ ჯერობაზე (შდრ. „ერთხელ მეფემ თავის ვაჟებს დაუძახა“ და: „მეფემ თავის ვაჟებს ერთხელ დაუძახა“). წინადადების მსაზღვრელი თავიკიდურ პოზიციაში ექცევა, შემასმენლისა კი — მის წინ ინაცვლებს.

აღსანიშნავია აგრეთვე სტილისტიკური დიფერენცირებულობა ჯერობის გამოხატვისას პრეპოზიციისა და პოსტპოზიციის მეშვეობით: ერთგვაროვანი გარემოებები პრეპოზიციაში ნეიტრალურ ჯერობას აღნიშნავენ (მაგ.: „ერთხელ, ორჯერ მივიდა“), პოსტპოზიციისას კი ფაქტის კონსტატაციასთან ერთად მინიშნებულია, რომ რაოდენობა საგრძნობი და მნიშვნელოვანია („მივიდა ერთხელ, ორჯერ“).

ძველი ქართულის მასალის მიხედვით ისეთი შთაბეჭდილება რჩება, თითქოს ფუნქციურად ვითარების გარემოებასთან დაახლოებული ზომა-ოდენობის გარემოება შემასმენელთან უშუალო მეზობლობაშია.

დროის გარემოებასთან დაახლოებული კი დისტანციურად უკავშირდება მას⁶.

10. მიზეზის გარემოების ადგილი

ახალ ქართულში მიზეზის გარემოება თითქმის სრული დამოუკიდებლობით გამოირჩევა: მთელი წინადადების განმსაზღვრელად გვევლინება და ირჩევს თავიკიდურ პოზიციას (უპირატესად) ან ბოლოკიდურს. თავისი ამ სპეციფიკური შეხამებითი უნარის გამო ორწევრა წინადადებებში იგი თითქმის არ დასტურდება. სხვა სიგრძის წინადადებებში მისი შესაძლო პოზიციების შეფარდებითი სიხშირე ასეთია:

წინადადების სიგრძე	პოზიციები				
	I	II	III	IV	V
სამწევრა	71%	17%	12%	—	—
ოთხწევრა	73%	10,5%	1,5%	15%	—
ხუთწევრა	72%	11%	1,5%	3%	12,5%

ექვსწევრა და შვიდწევრა წინადადებები მეტისმეტი სიმცირის გამო მხედველობაში არ არის მიღებული.

მიზეზის გარემოების სტაბილური პრეპოზიცია წინადადების დასაწყისში შემასმენელთან სუსტ სინტაგმატურ კავშირზე მიაწინებს:

ამისათვის აჩვენებდნენ იმ საწყალს კუთხეში კლასების გათავებამდე (აკაკი, 53, 2—3); ამიტომ ზღვიდგან მთელს დღეს ხმელეთისკენ ახალ ახალი გრილი ჰაერი მოჰქრის (გოგებ., VI, 119, 5—6); რაღაც მიზეზის გამო ხშირად [ჰქონდათ] უმიზეზოდ ერთმანეთში კინკლაობა, ჩხუბი (ნ. ლორთქ., 401, 8—9).

მიზეზის გარემოების თანამედროვე პოზიცია ერთგვარი ანარეკლია ამ წევრის პოზიციისა ძველ ქართულში, ოღონდ იქ მისი ადგი-

⁶ შლრ., ერთი მხრივ: „ორად განუპო ვიღრე მკერდამდე“ (ციმ., I, 39, 24); განაყვეს ოთხად ნაწილად“ (ი., 19, 23) და, მეორე მხრივ:

„მოუწოდეს კაცსა მას მეორედ“ (ი., DE, 9, 24); მეყსეულად მეორედ ქათამან კმაყო“ (მრ., 14, 72).

ლისათვის მნიშვნელობა უნდა ჰქონოდა ფორმოზრივ მხარეს. კერძოდ, თუ გარემოება ჩვენებითი ნაცვალსახელით იყო გამოხატული, იგი თავ-კიდურ პოზიციაში დგებოდა მაგ.: „ამისთვის ემსგავსა სასუფეველი ცათაჲ კაცსა შეუფესა“; „ამისთვის ეწოდა სახელი ქალაქისაჲ მის სეგორ“ [31, 222]. თუკი გარემოება აღმნიშვნელი (და არა მითითებითი) მეტყველების ნაწილებით — აბსტრაქტული სახელებითა და მასდარებით იყო გამოხატული, იგი ინაცვლებდა წინადადების როგორც მარცხენა, ისე მარჯვენა კიდისაკენ.

11. მიზნის გარემოების ადგილი

მიზნის გარემოება ერთადერთი წევრია, რომლის პოზიცია შედარებით სტაბილურია შემასმენლის მომდევნოდ. მისი განლაგება სხვადასხვა სიგრძის წინადადებებში ასეთია:

წინადადების სიგრძე	პოზიციები					
	I	II	III	IV	V	VI
ორწევრა	57%	43%	—	—	—	—
სამწევრა	29%	29%	42%	—	—	—
ოთხწევრა	14%	14%	18%	54%	—	—
ხუთწევრა	8%	8%	12%	22%	50%	—
ექვსწევრა	—	—	12%	12%	12%	64%

მხოლოდ ორწევრა წინადადებებში ირღვევა კანონზომიერი სურათი მიზნის გარემოების პოსტპოზიციისა. მაგრამ, თუ შევადარებთ სხვა მანქნებლებს ორწევრა წინადადებაში დანარჩენი წევრების პრეპოზიცია-პოსტპოზიციის შეფარდებისას, ყველაზე მცირე სხვაობა პოზიციათა შორის სწორედ ამ შემთხვევაში დასტურდება. შესაძლოა, ეს გარემოება ამ წევრის საკომუნიკაციო ფუნქციით იყოს შეპირობებული, რომელიც შეესაბამება ლოგიკურ კონსტრუქციას: მოქმედი + მოქმედება + მიზანი (სხვათა შორის, სწორედ ამავე ლოგიკური კონსტრუქციის ანარეკლს ხედავენ შემდეგ თანამიმდევრობაში: სუბიექტი + პრედიატი + ობიექტი, რადგან ეს უკანასკნელი სწორედ მოქმედების მიზნად გაიაზრება [100, გვ. 199]). ანალოგიური ფუნქციური დატვირთვა განსაზღვრავს ერთი შეხედვით სრულიად განსხვავებული წევ-

რების — პირდაპირი დამატებისა და მიზნის გარემოების — იდენტურ პოზიციას.

მაგრამ მხოლოდ ექსტრალინგვისტური ფაქტორი როდი განსაზღვრავს აღნიშნული გარემოების ფიქსირებულ პოზიციას შემასმენლის შემდეგ: დიდ როლს ასრულებს აგრეთვე ტრადიცია, რომელიც ამა თუ იმ ენობრივი მოვლენის ნორმალიზაციის პროცესში ჩამოყალიბდა. ასეთად შეიძლება მივიჩნიოთ ანტონ I-ის გრამატიკაში გამოყოფილი ტიპი: ზმნა+მოქმედებით ან ვითარებით ბრუნვაში დასმული სახელი. ეს უკანასკნელი კი მიზნის გარემოების ფუნქციას ასრულებდა, როცა მართულ სიტყვად სახელზმნა იყო გამოყენებული [2, გვ. 241]. მართლაც. ჯერ კიდევ ძველ ქართულში ზმნის მიერ ვითარებითი მართული სახელზმნა (მიზნის გარემოებად გამოყენებული) პოსტპოზიციურია შემასმენლის მიმართ (მაგ.: „დასხდეს ივინი ჭამად პურისა“, დაბ., 37, 25; „მოართუა მას წყალი ფერჯთა საბანელად“, დაბ., 24, 32).

ახალ ქართულში სახელზმნასთან მხოლოდ მყოფადის მიმღობა გამოიყენება მიზნის გარემოების საწარმოებლად (მასდარი ამ ფუნქციით უკვე აღარ იხმარება). მაგ.:

ერთხელ არაგვზე წავედით სათევზაოდ (ვაჟა, VI, 149, 37); მაშინვე კაცი აფრინა მკურნალის მოსაყვანად მახლობელ ქალაქიდან (ილია, 459, 7); საბედნიეროდ — ჩემი თანხა საკმაო აღმოჩნდა მეეტლის გასასტუმრებლად (ქიქ., 171, 24—25); გავაქიე მოსატანად (დ. კლდ., 567, 2—3).

მაშასადამე, მოკლე წინადადებებში მიზნის გარემოების პოზიციის მერყეობა გამოწვეულია შიდაენობრივი ტრადიციისა და ექსტრალინგვისტური ფაქტორის ერთდროული მოქმედებით, ხოლო კონკრეტულ შემთხვევაში რომელი წყობა სძლევს, ეს დამოკიდებულია თითოეული ამ ფაქტორის შეფარდებითს ძალაზე მოცემული საკომუნიკაციო-სტილისტიკური ამოცანის შესრულებისას.

12. ე. წ. „პრედიკატული განსაზღვრების“ ადგილი

„პრედიკატული განსაზღვრება“ თავისებური ცინტაქსური ნიშნების გამო დავის საგნადაა ქცეული სპეციალურ ლიტერატურაში. მას ხან შედგენილი შემასმენლის სახელად ნაწილად მიიჩნევენ [52, გვ. 255—256], ხან დამოუკიდებელ წევრად — ვითარების გარემოებად [25, გვ. 678], ხან კი — ევროპული ენების კვალბაზე — პრედიკატულ ანუ შემასმენლურ განსაზღვრებას უწოდებენ [30, გვ. 187].

მაგრამ ამჟერად საინტერესოა არა საანალიზო ერთეულის სახელწოდების დაზუსტება ან თუნდაც მისი სემანტიკური კვალიფიკაცია, არამედ მისი სინტაქსური ბუნების საფუძველზე ამ ერთეულის ადგილის განსაზღვრა წინადადებაში.

„პრედიატული განსაზღვრება“, ჩვეულებრივ, ზედსართავით ან მიმღობით გამოიხატება. მეორე მხრივ, მას ვითარების გარემოების კითხვა (როგორ?) დაესმის. ამდენად ბუნებრივია მისი კავშირი როგორც განსაზღვრებასთან, ისე ვითარების გარემოებასთან. მაგრამ, ამ წევრებისაგან განსხვავებით, „პრედიატული განსაზღვრების“ პოზიცია ასე მკაცრად ფიქსირებული არ არის.

ცნობილია, რომ პირის ნაცვალსახელი არ ქმნის მსაზღვრელთან სინტაგმას. ასე რომ, ამგვარ საზღვრულს ვერც „პრედიატული განსაზღვრება“ შეეხამება, მიუხედავად იმისა, რომ განსაზღვრება ამ ნაცვალსახელის ფორმას — ბრუნვასა და რიცხვს — იმეორებს. მაგ.:

გონწასული ისიც ლაფში გაიშლართა (ვაჟა, V, 238, 7); სოფლად მოსიარულე იგი არავის უნახავს (დ. კლდ., 273, 29—30); სისხლისგან დაცლილი — იგი უსიტყვოდ ეგდო (ნ. ლორთქ., 197, 27—28).

ასევე სრულად ეთანხმება არსებით სახელს პრეპოზიციური „პრედიატული განსაზღვრება“ — მსგავსად ინვერსიული ან გათიშული მსაზღვრელებისა:

თითონ გულადნი და ვაჟკაცნი ჩეჩნები სტუმრების გულადობას და ვაჟკაცობას აფასებდნენ (ყაზბ., I, 326, 30—31); რაღაც კმაყოფილებით გატაცებულთ, იმ ღორებს ერთმანეთისათვის ბევრჯერ წაუთავაზებიათ დინგი (ილია, 325, 24—25).

მაგრამ „პრედიატული განსაზღვრება“ რამდენადმე დამოუკიდებელია: განსხვავებით -ებ-იან მრავლობითში დასმული საზღვრულისაგან, იგი ნარ-თანთან მრავლობითში დგას. სწორედ ამგვარი დამოუკიდებლობაა სპეციფიკური „პრედიატული განსაზღვრებისათვის“. მართალია, იგი ეთანხმება საზღვრულს, მაგრამ არა ისე, როგორც პრეპოზიციური მსაზღვრელი (რომელსაც ტენდენცია აქვს ცვეთისადმი). არამედ ინვერსიული ან გათიშული მსაზღვრელის მსგავსად, რომლებიც სა-

7 მიიჩნიათ, რომ „პრედიატული განსაზღვრება“ სიტყვათგანლაგების ცვლებს შედეგადაა მიღებული. იგი ექვემდებარება არსებითი სახელით გამოხატულ წევრს, მაგრამ სემანტიკურ კავშირს ამყარებს ზმნასთან და პოზიციურად მასთან დგას ახლოს [15, გვ. 12].

ზღერულისაგან იხოლაციის გამო მთლიანად და 'არაღრუ ვაგანა' არ
საზღერულის ბრუნეაში. მაგ.:

ა. კონტაქტური პოსტოზიცია სახელის მიმართ და დისტანციური
პოზიცია 'შემასმენლის მიმართ:

წის ეღვა ერთი ბიქი თავჩადუნული (ილია, 274,
21-22); პლატონის წარბებშეკრული აქეთ-იქით და-
დიოდა (თ. კლდ., 386, 5-6); ისინი დამწკრივებულ-
ნი ერთმანეთს მოსდევდნენ (ყაზბ., I, 314, 2-3).

ბ. დისტანციური პრეპოზიცია სახელის მიმართ:

ამ ფიქრებში გართული მიბარბაცებდა ჩვენი
პეტრე ავლაბრის ბაეებისაკენ (ილია, 413, 31-32); ამ დე-
ნი ხნის გაუცინარს ეხლა ძლივს გაეცინა გიგოლას.
(ვაჟა, V, 124, 36); ამ დენი წოლით გაბეზრებუ-
ლი მოუთმენლობას ყველაზე მეტად მე ვიჩენდი (შენგ.,
46, 20-21).

გ. დისტანციური პოსტოზიცია სახელის მიმართ:

ახლა მე დავედევნე გაგულადებული (აკაკი, 40,
6-7); ლეუანი აივანზე დადიოდა გაშმაგებული (ნ.
ლორთქ., 253, 21). ზალიკა გვერდში ამოუდგას ულგანა-
ბული (ქიაჩ., 248, 31).

დ. კონტაქტური პრეპოზიცია შემასმენლის მიმართ:

უფრო გამალებული წავიდა პეტრე ავლაბრის ბა-
ეებისაკენ (ილია, 414, 31); მონადირენი განცვიფრებით-
ბრაზმორეულნი შესცქეროდნენ მელას (ვაჟა, V, 122,
32-33); ყმაწვილი თავდახრილი, სევდიანი დას-
ცქეროდა გვამს, ჯარს, იმ არემარეს (ნ. ლორთქ., 457, 24-
25); თანაშემწე გაკვირვებული უყურებდა ტრაქტო-
რისტს (იოს., 55, 11).

ე. კონტაქტური პოსტოზიცია შემასმენლის მიმართ:

ყვირილზე მარიამი შემოვარდა და ფეთებული (აკა-
კი, 226, 32); სოფიოც შორიახლოს იდგა გულხელდაკ-

რეფილი და პირმოკუმული (ვაჟა, VI, 178, 29—30); გიგონელი ნაბიჯით ნოხებზე აქეთ-იქით დადიოდა გახუმებული (დ. კლდ., 340, 23).

ვ. დისტანციური პრეპოზიცია შემასმენლის მიმართ:

ერთი. შვილი სისხლისაგან დაკლილი სადღაც აგდია ცივ სამარეში (ნ. ლორთქ., 31, 30—31); ზოგნი მასალით დატვირთულნი მინდვრიდგან მოდიან (გოგებ., VI, 394, 9—10); ქვეშაგებიდანვე ის გულგადაღელელი ტახტზედ გადაგორდებოდა ერთის ქშენით, ვაივავალახით და კიდევ რაღაცეებით (ილია, 328, 12—14).

ზ. დისტანციური პოსტპოზიცია შემასმენლის მიმართ:

ისინი გავიდნენ მინდორზედ სურსათ-შემოკლებულნი, ნახევარ ბარგ-დაქარგულნი (ყაზბ., I, 341, 28—29); დათა დაბრუნდა შინ ხელცარიელი (ნინ., 368, 25); ეფროსინე მისჩერებოდა ქმარს თვალებაცრემლებული (დ. კლდ., 500, 16).

„პრედიკატული განსაზღვრების“ დამოუკიდებლობას ისიც ადასტურებს, რომ წინადადებაში იგი საზღვრულის გარეშეც შეიძლება იყოს. მის ბრუნვასაც უშუალოდ მართავს შემასმენელი. აქაც იგი ყოველგვარ პოზიციაში შეიძლება შეგვხვდეს: თავკიდურსა და ბოლოკიდურ პოზიციებში, ზმნის წინ და მომდევნოდ, კონტაქტურად თუ დისტანციურად დეასახელებთ თითო მაგალითს:

ა. თავკიდური პოზიცია: ძილმორეული ლოგინგაუშლელ ტახტამდე ძლივს მილასლასდა (შენგ., 601, 31—32).

ბ. ბოლოკიდური პოზიცია: წელან ველის პირად გავედი დაღონებული (ვაჟა, V, 13, 15).

გ. კონტაქტური პრეპოზიცია შემასმენლის მიმართ: გამოღვიძების შემდეგ დიდხანს თვალ-გაშტერებული იწვა (ნინ., 364, 20—21).

დ. კონტაქტური პოსტპოზიცია შემასმენლის მიმართ: გული ხელთ აღარა მაქვს იმის მაყურებელსა (ილია, 285, 19—20).

ე. დისტანციური პრეპოზიცია შემასმენლის მიმართ: ერთხელ გატაცებული და გაცხარებული არწივსაც კი გადაახტა თავზე (ვაჟა, V, 250, 36—37).

ვ. დისტანციური პოსტპოზიცია შემასმენლის მიმართ: ხმაამოუ-

ლებლად მიაჩქარებდნენ ცხენებს სხვადასხვა ფიქრებით მოცულნი (აკაკი, 274, 22—23).

საზღვრულის გარეშე წარმოდგენილი პრედიკატული განსაზღვრების პოზიციებს შორის ყველაზე ხშირად დასტურდება თავკიდური პოზიცია. ამ პოზიციაში (ზოგჯერ — ბოლოკიდურშიც) იგი წინადადების მსაზღვრელ წევრს ემსგავსება და ინტონაციურადაც სათანადო პაუზით გამოიყოფა, რაც წერისას ზოგჯერ მძიმითაც კი აღინიშნება:

ყ უ რ გა ფ ა ც ი ც ე ბ უ ლ ი, მოუთმენლად მოელის ირმის ყვირილს (ვაჟა, VI, 194, 35—36); ბო ლ შ ი გა ხ ვ ე უ ლ ს, ფერფლი და ნაცარი მხრებსა და ბერეტზე აცვივოდა (შენგ., 96, 8—9).

შედარებით იშვიათად „პრედიკატული განსაზღვრება“ წინადადების შუაშიც და ბოლოშიც მძიმეებით გამოიყოფა. ასეთ შემთხვევაში წინადადებაში უმეტესად საზღვრულიც გვაქვს:

მოხუცებული მშობელი, იმედით შემოსილი, გამხნევებული, კვლავ დაუბრუნდა ამ ქვეყანას (დ. კლდ., 587, 21—22); — შენ წინათაც ბევრჯელ მინახივხარ მუდამ გახარებული და გალადებული (ვაჟა, VI, 32, 24—25).

თუ ასეთი განსაზღვრება უშუალოდ შემასმენელს არ უძღვის წინ, იგი უფრო განკერძოებული განსაზღვრებაა, ვიდრე წინადადებაში უშუალოდ მონაწილე წევრი (შდრ. [20, გვ. 334; 30, გვ. 269]). როგორც შენიშნავენ, რაც უფრო დიდია ჯგუფი, მით უფრო რთულია იგი სინტაქსურად და მით უფრო ძნელია მისი დაქვემდებარება. ამიტომ ეს რთული ჯგუფი პაუზით გამოეყოფა წინადადების დანარჩენ ნაწილებს. რაც უფრო მეტი სიტყვა შედის ამ ჯგუფში, მით უფრო იზრდება განკერძოების შესაძლებლობა [89, გვ. 375].

13. წინადადების წევრთა პრეპოზიცია-პოსტპოზიციის ხელშემწყობი ფაქტორები

ზემოთ განხილული იყო თითოეული წევრის პოზიცია წინადადებაში ცალკე და შემასმენელთან მიმართებით, მაგრამ, ამასთანავე, იძებნება რამდენიმე ზოგადი კანონზომიერება, რომლებიც საერთოა ყველა წევრისათვის სიტყვათგანლაგების თვალსაზრისით.

ქვემოთ ჩამოთვლილია ის ფაქტორები, რომლებიც ხელს უწყობენ (ან უშლიან) ამა თუ იმ წყობას სპეციფიკური ფაქტორების ნეიტ-

რალზაციის დროს. ცხადია, ისინი აბსოლუტური ხასიათისად ვერ მიიჩნევა, მაგრამ ტენდენციების დასახასიათებლად კი გამოდგება.

1) პირდაპირი წყობის (შემასმენლის პოსტპოზიციის) ხელშემწყობი ფაქტორები:

ა. შემასმენელთან სინტაგმაში შემავალი წევრი ერთმარცვლიანია (ასეთ შემთხვევაში შემასმენლის მახვილი წინამავალ სიტყვას გადაეცემა ენკლიტიკის წესით, რაც სინტაგმის ერთიანად წარმოქმნას უწყობს ხელს):

მე უნდა მიმეცა ატესტაცია ჩვენი ნაწილის ოფიცრებისათვის (დ. კლდ., 208,7); ქალს ვერ ნახავთ (ყაზბ., II, 28, 27); მის ქმარს არ მოვსწრებივარ (ქიაჩ., 88, 28); წინ ვერ ავეფარები (ილია, 446, 9); ფიქრს ნუ აყევი (შენგ., 488, 19);

ბ. შემასმენელთან შეხამებული წევრი გამაძლიერებელ ნაწილას დაირთავს:

ფიქრიას ბაინც მიეშველე (ჯავახ., 66, 34—35); თვითონ ივანეს ვკითხვით (ნ. ლორთქ., 403, 12); იქაც საკირო საქმეა (ყაზბ., I, 434, 1); ხვალვე უნდა წავიდეთ (დ. კლდ., 376, 23); მხოლოდ მაშინ ავიხედე (ვაჟა, VI, 81, 8); სწორედ ამ დროს გამოვღვიძა (ქიაჩ., 225, 16).

გ. შემასმენელთან შეხამებული წევრი კითხვითი სიტყვა-წევრის დადებითი პარადიგმაა:

[— ვინ გადმოგცა?] — კოჭი-ბროლამ გადმომცა (აკაკი, 259, 39); [— ვინ გამოგზავნა?] — აბდიამ გამოგზავნა (ყაზბ., I, 129, 3); — ზალაში წევს (ნინ., 310, 27); — არა, ჟერარ წამიკითხავს (დ. კლდ., 333, 32—33).

დ. შემასმენელთან შეხამებული წევრი გამოხატულია (ან ახლავს) პირის ან ჩვენებითი ნაცვალსახელითა თუ ზმნისართით:

ამნაირი ურთიერთობაა მოძღვარსა და სამწყსოს შორის (დ. კლდ., 431, 28—29); არა, ამას ვერ დავიჭერებ (ნინ., 235, 25—26); იმას ველარ უღალატებს (ყაზბ.,

I, 81, 14—15); ამითაც ვეღარ გადარჩა (აკაკი, 46, 9); ამ აზრმა მოინელა (ქიქ., 110, 3); მას აქეთ დაიგდო ნალველმა (ილია, 439, 25—6).

ე. შემასმენელთან შეხამებული წევრი უარყოფითი ნაცვალსახელით ან უარყოფითი ზმნისართითაა გამოხატული:

ვერავინ გაიგო (ნ. ლორთქ., 454, 14); აღარაფრის რცხვენიათ (დ. კლდ., 264, 34); შენს ხელს იქით არსად წავა (ყაზბ., V, 199, 1); სახელდობრ არაფერზე არ ფიქრობდა (იოს., 91, 23); შორს არსად არ წავიდოდა (ჯავახ., 335, 14).

ორმაგი უარყოფისას ეს წესი სავალდებულო აღარ არის: უარყოფითი ნაცვალსახელი თუ ზმნისართი შეიძლება გადაადგილდეს შემასმენლის შემდეგ.

ვ. შემასმენელთან შეხამებული წევრი განსაზღვრებითი ნაცვალსახელითაა გამოხატული:

ყველაფერი მოგეწერეთ (შენგ., 23, 35); სულ ყველაფერი დავინახე (ვაჟა, VI, 276, 1); კარგი, ყველას გეტყვი (ყაზბ., 87, 21); მაინც ყველაფერს მივალწევ (ქიქ., 132, 22); ყველას ეხვეოდა (ილია, 348, 4).

ზ. წინადადებაში ერთგვაროვანი შემასმენლებია (სხვანაირად, წინადადება შერწყმულია შემასმენელთა მიხედვით):

ჩუბინაშვილის ლექსიკონი გადაეშალა და სინჯავდა (აკაკი, 69, 26—27); ყველას იქერდნენ, ლუპავდნენ. ეწეოდნენ და აციმბირებდნენ (ჯავახ., 225, 19—20); ფარას გაჰყურებს და ოცნებობს (ნ. ლორთქ., 44, 17—18); რკინიგზის სახლს უყურებდა და მირბოდა (იოს., 107, 23); ამ კაცის შეხედვა მწვავეს და მხიბლავს (ქიქ., 302, 26—27).

2) უკუწყობის (შემასმენლის პრეპოზიციის) ხელშემწყობი ფაქტორები:

ა. ზმნა-შემასმენელი ბრძანებითის ფორმითაა წარმოდგენილი:

დაიფიცე ვაჟაკის სიტყვა (აკაკი, 264, 23—24); — აბა, ინებეთ ხელის მოწერა (ნინ., 559, 15); მამატივეს სიგეფე (ქიქ., 276, 6); მამატივე ჩვენს სიღარიბეს (ნ. ლორთ., 529, 5); ღმერთო, დამიხსენ ქვეყნის ცოდვისაგან

(ილია, 344, 2—3); დამტოვე შენს გეშზე (ქიაჩ., 317, 20); მაზრარე. შენი ქირიმე, შენის მადლიანის ხელით (ილია, 321, 38—39).

ბ. შემასმენელს ერთგვაროვანი წევრები ან მსაზღვრელებით გართულებული წევრები შეეხამება:

დაიწყო საერთო მხიარულება, სმა, სიმღერა და „სმურები“ (ყაზბ., II, 264, 25); გაისმოდა მხოლოდ დამრიგებლის მოკლე და მოკვეთილი წამოხილი (ქიაჩ., 282, 25—26); დადის ამაყად, დარბაისლურად, თავმოწონებით (ვაჟა, V, 114, 27—28); გაიყარნენ სიყვარულით, მშვიდობიანად (აკაკი, 64, 13—14).

გ. შერწყმული წინადადების ცალი თავკიდური ზმნა იზიდავს მომდევნო სინტაგმის ზმნა-შემასმენელს:

წავიდა, დაიკარგა ის ჩვენი ოქროს ბეკეკა (შენგ., 449, 13); მოკვდა, დადუმდა ბუნება (ნ. ლორთქ., 208, 18); გაქრა, დაიკარგა ჩემი „თვალმაზი“ (ვაჟა, VI, 132, 6).

დ. ერთგვარი შემადგენლობის წინადადებათა უშუალო მეზობლობა ხშირად იწვევს სინტაქსურ პარალელიზმებს:

მოიწყინა ყვავილმა. დაჰკნა ყვავილი. გახმა ყვავილი (ნ. ლორთქ., 364, 33—35); ეიოდნენ დაწიოკებული ბავშვები. კრიახებდნენ გულგახეთქილი ქათამ-ინდაურები (შენგ., 401, 27).

ე. ზმნა-შემასმენელს ნაწილაკი დაერთვის:

აი შევიდნენ ქალაქში (გოგებ., V, 250, 12); მაშ დაგაბეზლებ აფიცერთან (ყაზბ., I, 170, 27); პირიქით, თითქოს ერთდებოდა კიდევ მათთან ურთიერთობას (შენგ., 609, 3); დეე წაიყვანოს ის ქალშავი (ყაზბ., I, 205, 38—39); მაინც წამოვიდა სოფელში (დიალექტ., 547, 26).

§ 2. სიტყვათა თანამომდევრობის შესახებ

ზემოთ განხილული იყო წინადადების ცალკეულ წევრთა პოზიციების საკითხი. რაც შეეხება წინადადებაში სიტყვათა კომბინაციებს, 56

მათზე ნაწილობრივ ზემოთაც იყო საუბარი, განსაკუთრებით, სინტაგმის ფარგლებში. ქვემოთ კი ნაჩვენებია წინადადებათა სხვადასხვა შემადგენლობისა და სიტყვათა არანეირების სხვადასხვა ვარიანტის სიხშირული შეფარდებანი (იხ. აგრეთვე [30] 218—225). წარმოდგენილია ყველაზე ხშირი სიგრძის — სამწევრა და ოთხწევრა წინადადებათა სტატისტიკური ანალიზის შედეგები.

1. სამწევრა წინადადებები. გაანალიზებული 30.000-ზე მეტი მარტივი თხრობითი წინადადებიდან თითქმის ნახევარი (13.352) სამწევრა წინადადებაა. ყველაზე ხშირ წევრებად (შემასამენელთა შემდეგ, რომელთა რაოდენობა ემთხვევა წინადადებათა რაოდენობას) დადასტურდა:

S — ქვემდებარე (9.936), O(პ) — პირდაპირი დამატება (3.974), A(ა) — ადგილის გარემოება (2.802); O(უ) — უბრალო დამატება (2.642), A(დ) — დროის გარემოება (2.088), S(გ) — ინვერსიული ზმნის გრამატიკული სუბიექტი (1.869), A(ვ) — ვითარების გარემოება (1.654) და O(ი) — ირიბი დამატება (1.466). ყველაზე იშვიათია A(მიზნ) — მიზნის, A(ზ/ოდ) — ზომა-ოდენობისა და A(მიზ) — მიზეზის გარემოებები (შესაბამისად: 127, 76, 67).

წინადადებათა შემადგენლობები და სიტყვათა თანამიმდევრობის ვარიანტები დალაგებულია კლებადი სიხშირის მიხედვით.

I. P, S, O(პ)—2.189

1. S O(პ) P—1.010
2. S P O(პ)— 626
3. O(პ) S P— 277
4. O(პ) P S— 184
5. P O(პ) S— 52
6. P S O(პ)— 20

II. P, S, A(ა)—1.974

1. A(ა) S P—660
2. S A(ა) P—605
3. A(ა) P S—341
4. S P A(ა)—284
5. P S A(ა)— 45
6. P A(ა) S— 39

III. P, S, O(უ)—1.088

1. S O(უ) P—607
2. S P O(უ)—426
3. O(უ) S P—306
4. O(უ) P S—263
5. P S O(უ)— 51
6. P O(უ) S— 30

IV. P, O(გ), S(გ)—1.172

1. O(გ) S(გ) P—652
2. O(გ) P S(გ)—306
3. S(გ) P O(გ)— 99
4. S(გ) O(გ) P— 81
5. P O(გ) S(გ)— 27
6. P S(გ) O(გ)— 8

V. P, S, A (၉)—1.038

1. A (၉) S P—414
2. S A (၉) P—342
3. A (၉) P S—172
4. S P A (၉)— 66
5. P A (၉) S— 31
6. P S A (၉)— 13

VII. P, S, O (၈)—801

1. S O (၈) P—346
2. S P O (၈)—182
3. O (၈) S P—158
4. O (၈) P S— 93
5. P O (၈) S— 12
6. P S O (၈)— 10

IX. P, O (ဒ), A (၉)—400

1. A (၉) O (ဒ) P—194
2. A (၉) P O (ဒ)—119
3. O (ဒ) A (၉) P— 58
4. O (ဒ) P A (၉)— 23
5. P A (၉) O (ဒ)— 8
6. P O (ဒ) A (၉)— 4

XI. P, O (၈), A (၁)—318

1. O (၈) A (၁) P—92
2. A (၁) O (၈) P—92
3. A (၁) P O (၈)—64
4. O (၈) P A (၁)—40
5. P O (၈) A (၁)—17
6. P A (၁) O (၈)—13

XIII. P, O (ဒ), A (၅)—241

1. O (ဒ) A (၅) P—117
2. A (၅) P O (ဒ)— 76
3. O (ဒ) P A (၅)— 16

VI. P, S, A (၅)—900

1. S A (၅) P—662
2. A (၅) P S—151
3. S P A (၅)— 77
4. A (၅) S P— 35
5. P S A (၅)— 23
6. P A (၅) S— 12

VIII. P, O (ဒ), O (၅)—419

1. O (၅) O (ဒ) P—116
2. O (ဒ) O (၅) P— 96
3. O (၅) P O (ဒ)— 83
4. O (ဒ) P O (၅)— 76
5. P O (ဒ) O (၅)— 29
6. P O (၅) O (ဒ)— 19

X. P, O (ဒ), O (၈)—864

1. O (၈) O (ဒ) P—150
2. O (၈) P O (ဒ)— 71
3. O (ဒ) P O (၈)— 56
4. O (ဒ) O (၈) P— 43
5. P O (ဒ) O (၈)— 23
6. P O (၈) O (ဒ)— 21

XII. P, O (၅), S (၅)—288

1. O (၅) S (၅) P—113
2. S (၅) O (၅) P— 70
3. O (၅) PS (၅) — 40
4. S (၅) P O (၅)— 37
5. P O (၅) S (၅)— 4
6. P S (၅) O (၅)— 4

XIV. P, A (၁), A (၉)—178

1. A (၉) A (၁) P—90
2. A (၉) P A (၁)—50
3. A (၁) A (၉) P—21

4. A (3) O (3) P— 16
5. P A (3) O (3)— 9
6. P O (3) A (3)— 7

4. P A (e) A (s)—11
5. A (s) P A (e)— 5
6. P A (s) A (e)— 1

XV. P, S (3), A (s)—150

1. A (s) S (3) P—67
2. S (3) A (s) P—34
3. S (3) P A (s)—23
4. A (s) P S (3)—20
5. P S (3) A (s)— 5
6. P A (s) S (3)— 1

XVI. P, S (3), A (e)—141

1. A (e) S (3) P—81
2. A (e) P S (3)—29
3. S (3) A (e) P—19
4. S (3) P A (e)— 6
5. P A (e) S (3)— 5
6. P S (3) A (e)— 1

XVII. P, O (n), A (e)—111

1. A (e) O (n) P—61
2. A (e) P O (n)—39
3. O (n) A (e) P— 5
4. P A (e) O (n)— 5
5. O (n) P A (e)— 1
6. P O (n) A (e)— 0

XVIII. P, S (3), A (3)—107

1. S (3) A (3) P—76
2. A (3) P S (3)—19
3. A (3) S (3) P— 8
4. P A (3) S (3)— 2
5. S (3) P A (3)— 1
6. P S (3) A (3)— 1

XIX. P, A (e), A (3)—106

1. A (e) A (3) P—65
2. A (3) P A (e)—20
3. A (e) P A (3)—15
4. A (3) A (e) P— 2
5. P A (e) A (3)— 2
6. P A (3) A (e)— 2

XX. P, O (n), A (e)—92

1. A (e) O (n) P—50
2. A (e) P O (n)—20
3. O (n) A (e) P— 9
4. P A (e) O (n)— 8
5. O (n) P A (e)— 4
6. P O (n) A (e)— 1

XXI. P, O (n), A (3)—85

1. A (3) P O (n)—42
2. O (n) A (3) P—35
3. A (3) O (n) P— 3
4. P A (3) O (n)— 3
5. O (n) P A (3)— 2
6. P O (n) A (3)— 0

XXII. P, A (s), A (3)—85

1. A (s) A (3) P—44
2. A (3) P A (s)—23
3. A (s) P A (3)— 6
4. A (3) A (s) P— 6
5. P A (3) A (s)— 5
6. P A (s) A (3)— 1

XXIII. P, S, A (შობს) — 65

1. S A (შობს) P—22
2. S P A (შობს)—20
3. A (შობს) S P—11
4. P S A (შობს)— 8
5. A (შობს) P S— 4
6. P A (შობს) S— 0

XXV. P, O (ო), O (უ) — 54

1. O (უ) O (ო) P—21
2. O (ო) O (უ) P—13
3. O (უ) P O (ო)—13
4. O (ო) P O (უ)— 4
5. P O (უ) O (ო)— 2
6. P O (ო) O (უ)— 1

XXVII. P, S, A (შობს) — 41

1. A (შობს) S P—22
2. S A (შობს) P— 8
3. A (შობს) P S— 7
4. S P A (შობს)— 3
5. P S A (შობს)— 1

XXIX. P, O (ო), A (ა) — 31

1. A (ა) O (ო) P—11
2. O (ო) A (ა) P— 7
3. O (ო) P A (ა)— 5
4. A (ა) P O (ო)— 3
5. P A (ა) O (ო)— 3
6. P O (ო) A (ა)— 2

XXXI. P, O (ბ), A (ზ/ოდ) — 20

1. A (ზ/ოდ) P O (ბ)—10
2. O (ბ) A (ზ/ოდ) P— 8
3. A (ზ/ოდ) O (ბ) P— 1
4. P A (ზ/ოდ) O (ბ)— 1

XXIV. P, O (უ), A (ვ) — 63

1. O (უ) A (ვ) P—35
2. A (ვ) P O (უ)—19
3. O (უ) P A (ვ)— 3
4. A (ვ) O (უ) P— 3
5. P A (ვ) O (უ)— 2
6. P O (უ) A (ვ)— 1

XXVI. P, O (უ), A (ა) — 50

1. A (ა) O (უ) P—16
2. O (უ) P A (ა)—12
3. A (ა) P O (უ)— 9
4. O (უ) A (ა) P— 8
5. P A (ა) O (უ)— 4
6. P O (უ) A (ა)— 1

XXVIII. P, S, A (ზ/ოდ) — 32

1. S A (ზ/ოდ) P—21
2. A (ზ/ოდ) P S— 5
3. A (ზ/ოდ) S P— 3
4. S P A (ზ/ოდ)— 2
5. P S A (ზ/ოდ)— 1

XXX. P, O (ბ), A (შობს) — 27

1. O (ბ) P A (შობს)—9
2. A (შობს) O (ბ) P—7
3. A (შობს) P O (ბ)—6
4. O (ბ) A (შობს) P—5
5. P O (ბ) A (შობს)—0
6. P A (შობს) O (ბ)—0

სხვა შემადგენლობები ან საერთოდ არა გვხვდება, ან იმდენად იშვიათია, რომ კანონზომიერებათა გამოსავლენად არ გამოდგება.

2. ოთხწევრა წინადადებები. გაანალიზებულ მასალაში ოთხწევრა წინადადება დადასტურდა სულ 6.810 ერთეული. უხშირესი წევრებია: ქვემდებარე (5.166), პირდაპირი დამატება (2.796), უბრალო დამატება (2.347), დროის გარემოება (2.262), ადგილის გარემოება (2.072), ვითარების გარემოება (2.035), ირიბი დამატება (1.459), მორფოლოგიური სუბიექტი (973), მორფოლოგიური ობიექტი (785). ყველაზე იშვიათი წევრებია: მიზნის გარემოება (175), მიზეზის გარემოება (110) და ზომა-ოდენობის გარემოება (74).

შემადგენლობათა და ვარიანტთა სიხშირული შეფარდებები ასეთია:

I. P, S, O (პ), O (უ)—588

- | | | |
|-----------------------|------------------------|------------------------|
| 1. S O (პ) P O (უ)—85 | 7. S P O (უ) O (პ)—33 | 13. O (პ) O (უ) P S—12 |
| 2. S O (უ) O (პ) P—73 | 8. O (უ) S P O (პ)—29 | 14. O (პ) O (უ) S P—10 |
| 3. S O (პ) O (უ) P—67 | 9. O (პ) S O (უ) P—18 | 15. O (პ) S P O (უ)—10 |
| 4. S O (უ) P O (პ)—65 | 10. O (უ) O (პ) S P—17 | 16. O (უ) O (პ) P S—8 |
| 5. S P O (პ) O (უ)—59 | 11. O (უ) P S O (პ)—12 | 17. O (უ) P O (პ) S—5 |
| 6. O (უ) S O (პ) P—47 | 12. O (პ) P S O (უ)—12 | 18. O (პ) P O (უ) S—4 |

24 შესაძლო ვარიანტიდან დადასტურებულია 18. ნაკლები 6 ვარიანტი შემასმენლით იწყება. მაშასადამე, მოცემულ შემადგენლობაში შემასმენლით დაწყებული წინადადება არ გვხვდება.

II. P, S, A (ა), A (დ)—489

- | | | |
|-----------------------|------------------------|-----------------------|
| 1. A (დ) A (ა) S P—90 | 7. S A (დ) P A (ა)—30 | 13. S A (ა) P A (დ)—7 |
| 2. S A (დ) A (ა) P—65 | 8. A (ა) A (დ) P S—24 | 14. S P A (ა) A (დ)—5 |
| 3. A (დ) S P A (ა)—63 | 9. S A (ა) A (დ) P—18 | 15. S P A (დ) A (ა)—5 |
| 4. A (დ) S A (ა) P—57 | 10. A (ა) S A (დ) P—15 | 16. A (ა) S P A (დ)—4 |
| 5. A (დ) A (ა) P S—45 | 11. A (დ) P S A (ა)—13 | 17. P S A (დ) A (ა)—3 |
| 6. A (ა) A (დ) S P—32 | 12. A (დ) P A (ა) S—9 | 18. A (ა) P A (დ) S—3 |
| | | 19. P A (დ) S A (ა)—1 |

ნაკლები 5 ვარიანტიდან 4 შემასმენლით იწყება, 1 — ადგილის გარემოებით; ამ უკანასკნელ ვარიანტში შემასმენელი მეორე ადგილზე იქნებოდა.

III. P, S, O(პ), A(ლ)—478

- | | | |
|---------------------|----------------------|---------------------|
| 1. S A(ლ) O(პ) P—79 | 8. O(პ) A(ლ) P S—18 | 15. S P O(პ) A(ლ)—4 |
| 2. S A(ლ) P O(პ)—78 | 9. A(ლ) O(პ) S P—18 | 16. O(პ) S P A(ლ)—3 |
| 3. A(ლ) S O(პ) P—74 | 10. O(პ) A(ლ) P S—14 | 17. O(პ) P S A(ლ)—3 |
| 4. A(ლ) S P O(პ)—69 | 11. S P A(ლ) O(პ)—12 | 18. O(პ) P A (ლ)S—2 |
| 5. S O(პ) A(ლ) P—26 | 12. O(პ) S A(ლ) P—11 | 19. P O(პ) S A(ლ)—1 |
| 6. A(ლ) O(პ) P S—23 | 13. A(ლ) P O(პ) S— 7 | 20. P A(ლ) S O(პ)—1 |
| 7. A(ლ) P S O(პ)—22 | 14. S O(პ) P A(ლ)— 7 | 21. P A(ლ) O(პ) S—1 |

აკლია შემასმენლით დაწყებული სამი ვარიანტი.

IV. P, S, O(პ), O(ო)—488

- | | | |
|----------------------|----------------------|----------------------|
| 1. S O(პ) P O(ო)—112 | 8. O(ო) O(პ) P S—17 | 15. O(ო) P S O(პ)—4 |
| 2. S O(ო) O(პ) P—110 | 9. O(პ) P S O(ო)—10 | 16. O(პ) O(ო) S P—3. |
| 3. S O(ო) P O(პ)— 38 | 10. O(პ) S P O(ო)— 9 | 17. O(ო) O(პ) S P—3 |
| 4. S P O(ო) O(პ)— 35 | 11. O(ო) S P O(პ)— 9 | 18. O(პ) O(ო) P S—2 |
| 5. O(ო) S O(პ) P— 34 | 12. O(პ) S O(ო) P— 8 | 19. P O(პ) O(ო) S—1 |
| 6. S O(პ) O(ო) P— 22 | 13. O(პ) P O(ო) S— 5 | 20. P S O(პ) O(ო)—1 |
| 7. S P O(პ) O(ო)— 20 | 14. P S O(ო) O(პ)— 4 | 21. O(ო) P O(პ) S—1 |

ნაკლული 3 ვარიანტი შემასმენლით იწყება.

V. P, S, O(პ), A(ვ)—433

- | | | |
|----------------------|---------------------|---------------------|
| 1. S A(ვ) P O(პ)—174 | 8. S P A(ვ) O(პ)—9 | 15. P O(პ) S A(ვ)—2 |
| 2. S O(პ) A(ვ) P— 93 | 9. S O(პ) P A(ვ)—9 | 16. O(პ) P S A(ვ)—2 |
| 3. S A(ვ) O(პ) P— 35 | 10. A(ვ) P O(პ) S—6 | 17. O(პ) S P A(ვ)—2 |
| 4. O(პ) A(ვ) P S— 27 | 11. S P O(პ) A(ვ)—6 | 18. P S A(ვ) O(პ)—1 |
| 5. O(პ) S A(ვ) P— 26 | 12. O(პ) A(ვ) S P—5 | 19. P A(ვ) O(პ) S—1 |
| 6. A(ვ) P S O(პ)— 17 | 13. A(ვ) O(პ) S P—4 | 20. A(ვ) O(პ) P S—1 |
| 7. A(ვ) S P O(პ)— 9 | 14. O(პ) P A(ვ) S—3 | |

აკლია შემასმენლით დაწყებული 3 ვარიანტი და ვითარების გარემოებით დაწყებული 1 ვარიანტი, რომელშიც შემასმენელი მეორე ადგილზეა.

VI. P, S, O(უ), A(ღ)—342

1. S A(ღ) O(უ) P—61
2. A(ღ) S O(უ) P—53
3. A(ღ) S P O(უ)—50
4. S A(ღ) P O(უ)—39
5. O(უ) A(ღ) S P—20
6. A(ღ) O(უ) S P—20
7. A(ღ) P S O(უ)—17
8. A(ღ) O(უ) P S—16
9. O(უ) S A(ღ) P—12
10. S O(უ) A(ღ) P—12
11. S P O(უ) A(ღ)— 8
12. O(უ) A(ღ) P S— 7
13. S P A(ღ) O(უ)— 7
14. O(უ) P S A(ღ)— 5
15. S O(უ) P A(ღ)—5:
16. O(უ) P A(ღ) S—3
17. O(უ) S P A(ღ)—3
18. P O(უ) A(ღ) S—1
19. P S A(ღ) O(უ)—1
20. P A(ღ) S O(უ)—1
21. P A(ღ) O(უ) S—1

ნაკლული 3 ვარიანტიდან ორი იწყება შემასმენლით, ერთში კი იგი მეორე ადგილზეა.

VII. P, S, A(ა), A(ვ)—328

1. S A(ვ) P A(ა)—76
2. A(ა) S A(ვ) P—61
3. S A(ა) A(ვ) P—52
4. A(ა) A(ვ) P S—51
5. S A(ვ) A(ა) P—14
6. A(ვ) P S A(ა)—13
7. A(ა) A(ვ) S P—10
8. A(ა) S P A(ვ)—9
9. A(ვ) P A(ა) S—7
10. S A(ა) P A(ვ)—7
11. S P A(ა) A(ვ)—6
12. A(ა) P A(ვ) S—5
13. A(ვ) S A(ა) P—4
14. A(ა) P S A(ვ)—3
15. S P A(ვ) A(ა)—3
16. A(ვ) A(ა) P S—2
17. A(ვ) A(ა) S P—2
18. P A(ვ) A(ა) S—1
19. P S A(ა) A(ვ)—1
20. P S A(ვ) A(ა)—1

ნაკლული 4 ვარიანტიდან სამი შემასმენლით იწყება.

VIII. P, S, O(უ), A(ვ)—317

1. S A(ვ) P O(უ)—98
2. S O(უ) A(ვ) P—52
3. O(უ) S A(ვ) P—49
4. O(უ) A(ვ) P S—27
5. S A(ვ) O(უ) P—20
6. A(ვ) S P O(უ)—12
7. A(ვ) P S O(უ)— 8
8. A(ვ) S O(უ) P—8
9. S P A(ვ) O(უ)—6
10. S P A(ვ) O(უ)—6
11. O(უ) S P A(ვ)—4
12. O(უ) P S A(ვ)—4
13. P S O(უ) A(ვ)—3
14. A(ვ) O(უ) S P—3
15. O(უ) A(ვ) S P—3
16. A(ვ) P O(უ) S—2
17. P O(უ) S A(ვ)—1
18. P O(უ) A(ვ) S—1
19. A(ვ) O(უ) P S—1
20. S P O(უ) A(ვ)—1

ნაკლული 4 ვარიანტიდან 3 შემასმენლით იწყება, ხოლო ერთში იგი მეორე ადგილზეა.

IX. P, S, O(პ), A(ა)—290

- | | | |
|---------------------|----------------------|---------------------|
| 1. S O(პ) A(ა) P—47 | 8. O(პ) S A(ა) P—13 | 15. A(ა) O(პ) S P—6 |
| 2. S A(ა) O(პ) P—46 | 9. O(პ) A(ა) P S—11 | 16. O(პ) P A(ა) S—5 |
| 3. A(ა) S O(პ) P—42 | 10. A(ა) O(პ) P S—11 | 17. P S A(ა) O(პ)—4 |
| 4. S A(ა) P O(პ)—37 | 11. S P A(ა) O(პ)— 9 | 18. O(პ) P S A(ა)—3 |
| 5. S O(პ) P A(ა)—32 | 12. A(ა) P S O(პ)— 8 | 19. O(პ) S P A(ა)—3 |
| 6. A(ა) S P O(პ)—19 | 13. A(ა) P O(პ) S— 7 | 20. P A(ა) S O(პ)—1 |
| 7. S P O(პ) A(ა)—17 | 14. O(პ) A(ა) S P— 6 | |

აკლია შემასმენლით დაწყებული ოთხი ვარიანტი.

X. P, S(გ), O(გ), O(უ)—287

- | | |
|-------------------------|------------------------|
| 1. O(გ) O(უ) S(გ) P—56 | 11. O(გ) P S(გ) O(უ)—7 |
| 2. O(გ) S(გ) P O(უ)—54 | 12. S(გ) P O(გ) O(უ)—6 |
| 3. O(გ) O(უ) P S(გ)—32 | 13. O(გ) P O(უ) S(გ)—5 |
| 4. O(უ) O(გ) S(გ) P—31 | 14. S(გ) O(უ) O(გ) P—3 |
| 5. O(გ) S(გ) O(უ) P—30 | 15. O(უ) S(გ) O(გ) P—3 |
| 6. O(უ) O(გ) P S(გ)—16 | 16. S(გ) O(უ) P O(გ)—2 |
| 7. O(უ) S(გ) P O(გ)—12 | 17. O(უ) P O(გ) S(გ)—2 |
| 8. S(გ) O(გ) O(უ) P—10 | 18. O(უ) P S(გ) O(გ)—2 |
| 9. S(გ) O(გ) P O(უ)— 8 | 19. P O(გ) O(უ) S(გ)—1 |
| 10. S(გ) P O(გ) O(უ)— 7 | |

ხუთივე ნაკლული ვარიანტი შემასმენლით იწყება.

XI. P, S, O(ო), A(ვ)—272

- | | | |
|----------------------|----------------------|---------------------|
| 1. S A(ვ) P O(ო)—137 | 6. O(ო) A(ვ) P S—12 | 11. A(ვ) S P O(ო)—3 |
| 2. S O(ო) A(ვ) P— 46 | 7. A(ვ) P O(ო) S— 5 | 12. A(ვ) O(ო) P S—2 |
| 3. O(ო) S A(ვ) P— 22 | 8. S P O(ო) A(ვ)— 4 | 13. O(ო) S P A(ვ)—2 |
| 4. A(ვ) P S O(ო)— 15 | 9. S O(ო) P A(ვ)— 4 | 14. A(ვ) O(ო) S P—1 |
| 5. S A(ვ) O(ო) P— 13 | 10. O(ო) A(ვ) S P— 4 | 15. O(ო) P A(ვ) S—1 |
| | | 16. S P A(ვ) O(ო)—1 |

ნაკლული 8 ვარიანტიდან 6 იწყება შემასმენლით, ერთში იგი II ადგილზეა.

XII. P, S, O(უ), A(ა)—263

1. A(ა) S P O(უ)—26
2. A(ა) S O(უ) P—25
3. S A(ა) P O(უ)—23
4. S A(ა) O(უ) P—21
5. A(ა) O(უ) S P—18
6. O(უ) A(ა) S P—18
7. A(ა) O(უ) P S—15
8. O(უ) A(ა) P S—15
9. S O(უ) A(ა) P—15
10. S O(უ) P A(ა)—14
11. O(უ) S P A(ა)—11
12. S P A(ა) O(უ)—11
13. A(ა) P S O(უ)—10
14. O(უ) S A(ა) P—8
15. S P O(უ) A(ა)—8
16. O(უ) P S A(ა)—4
17. O(უ) P A(ა) S—4
18. A(ა) P O(უ) S—3
19. P A(ა) S O(უ)—2
20. P A(ა) O(უ) S—1

ოთხივე ნაკლული ვარიანტი შემასმენლით იწყება.

XIII. P, S, A(დ), A(ვ)—200

1. S A(დ) A(ვ) P—67
2. A(დ) S A(ვ) P—55
3. A(დ) A(ვ) P S—28
4. S A(ვ) P A(დ)—13
5. S A(დ) P A(ვ)—9
6. A(დ) P S A(ვ)—6
7. A(დ) A(ვ) S P—5
8. A(დ) S P A(ვ)—5
9. A(ვ) P S A(დ)—3
10. A(ვ) A(დ) S P—2
11. S P A(ვ) A(დ)—2
12. A(ვ) S A(დ) P—1
13. A(ვ) A(დ) P S—1
14. A(ვ) P A(დ) S—1
15. S P A(დ) A(ვ)—1
16. S A(ვ) A(დ) P—1

8 ნაკლული ვარიანტიდან ექვსი შემასმენლით იწყება, ერთში კი იგი მეორე ადგილზეა.

XIV. P, S, O(ი), A(დ)—194

1. A(დ) S P O(ი)—38
2. S A(დ) P O(ი)—34
3. S A(დ) O(ი) P—31
4. A(დ) S O(ი) P—20
5. A(დ) O(ი) S P—11
6. O(ი) A(დ) S P—11
7. A(დ) O(ი) P S—10
8. A(დ) P S O(ი)—8
9. S O(ი) A(დ) P—8
10. O(ი) A(დ) P S—7
11. A(დ) P O(ი) S—6
12. O(ი) P A(დ) S—2
13. O(ი) S P A(დ)—2
14. S P A(დ) O(ი)—2
15. P O(ი) A(დ) S—1
16. O(ი) S A(დ) P—1
17. S P O(ი) A(დ)—1
18. S O(ი) P A(დ)—1

აქლია 6 ვარიანტი, რომელთაგან ხუთში შემასმენელი პირველ ადგილზეა, ხოლო ერთში — მეორეზე.

XV. P, O(გ), S(გ), A(დ)—186

1. A(დ) O(გ) S(გ) P—45
2. O(გ) A(დ) S(გ) P—38
3. O(გ) A(დ) P S(გ)—22
4. A(დ) O(გ) P S(გ)—14
5. A(დ) S(გ) P O(გ)—14
6. O(გ) S(გ) A(დ) P—10

7. O(გ) S(გ) P A(ღ)—10
8. S(გ) O(გ) A(ღ) P— 8
9. A(ღ) P O(გ) S(გ)— 6
10. S(გ) P A(ღ) O(გ)— 3
11. S(გ) A(ღ) O(გ) P— 3
12. A(ღ) P S(გ) O(გ)— 3

13. A(ღ) S(გ) O(გ) P—3
14. S(გ) A(ღ) P O(გ)—2
15. O(გ) P A(ღ) S(გ)—2
16. P A(ღ) O(გ) S(გ)—1
17. S(გ) O(გ) P A(ღ)—1
18. O(გ) P S(გ) A(ღ)—1

ნაკლულ 5 ვარიანტში შემასმენელი იწყებს წინადადებას, ერთში კი მეორე ადგილზეა.

XVI. P, O(გ), S(გ), A(ვ)—166

1. O(გ) A(ვ) P S(გ)—50
2. O(გ) S(გ) A(ვ) P—49
3. S(გ) O(გ) A(ვ) P—16
4. O(გ) A(ვ) S(გ) P—10
5. A(ვ) P O(გ) S(გ)— 9
6. S(გ) A(ვ) P O(გ)— 9
7. A(ვ) S(ვ) P O(გ)— 4
8. A(ვ) O(გ) S(გ) P— 3
9. P A(ვ) O(გ) S(გ)— 2

10. A(ვ) O(გ) P S(გ)—2
11. A(ვ) P S(გ) O(გ)—2
12. S(გ) A(ვ) O(გ) P—2
13. O(გ) P S(გ) A(ვ)—2
14. O(გ) P A(ვ) S(გ)—2
15. O(გ) S(გ) P A(ვ)—2
16. A(ვ) S(გ) O(გ) P—1
17. S(გ) O(გ) P A(ვ)—1

ნაკლული 7 ვარიანტიდან ხუთი იწყება შემასმენლით, ხოლო ორში ეს უკანასკნელი მეორე ადგილზეა.

XVII. P, S, O(ი), A(ა)—147

- | | | |
|---------------------|----------------------|---------------------|
| 1. S A(ა) P O(ი)—24 | 7. O(ი) A(ა) P S—10 | 13. S P O(ი) A(ა)—3 |
| 2. A(ა) S P O(ი)—17 | 8. A(ა) O(ი) S P— 8 | 14. O(ი) P S A(ა)—3 |
| 3. A(ა) S O(ი) P—12 | 9. O(ი) P A(ა) S— 7 | 15. O(ი) S P A(ა)—2 |
| 4. S O(ი) A(ა) P—12 | 10. O(ი) S A(ა) P— 5 | 16. A(ა) P S O(ი)—2 |
| 5. O(ი) A(ა) S P—11 | 11. A(ა) O(ი) P S— 4 | 17. S P A(ა) O(ი)—2 |
| 6. S A(ა) O(ი) P—11 | 12. S O(ი) P A(ა)— 3 | 18. A(ი) P O(ი) S—1 |

ექვსივე ნაკლული ვარიანტი შემასმენლით იწყება.

XVIII. P, O(გ) S(გ), A(ა)—146

1. O(გ) A(ა) S(გ) P—36
2. A(ა) O(გ) S(გ) P—28
3. O(გ) A(ა) P S(გ)—19

4. O(გ) S(გ) A(ა) P—14
5. A(ა) O(გ) P S(გ)—11
6. O(გ) S(გ) P A(ა)— 8

- | | |
|------------------------|------------------------|
| 7. A(ა) S(გ) P O(გ)—6 | 13. O(გ) P S(გ) A(ა)—3 |
| 8. O(გ) P A(ა) S(გ)—4 | 14. S(გ) P A(ა) O(გ)—2 |
| 9. S(გ) O(გ) A(ა) P—3 | 15. P O(გ) A(ა) S(გ)—1 |
| 10. S(გ) A(ა) O(გ) P—3 | 16. S(გ) A(ა) P O(გ)—1 |
| 11. S(გ) P O(გ) A(ა)—3 | 17. A(ა) P S(გ) O(გ)—1 |
| 12. A(ა) P O(გ) S(გ)—3 | |

7 ნაკლული ვარიანტიდან ხუთი შემასმენლით იწყება.

XIX. P, S, O(ი), O(უ)—137

- | | | |
|---------------------|---------------------|---------------------|
| 1. S O(უ) P O(ი)—22 | 8. O(ი) S O(უ) P—5 | 15. O(უ) P S O(ი)—3 |
| 2. S O(უ) O(ი) P—21 | 9. S P O(ი) O(უ)—5 | 16. O(ი) O(უ) P S—2 |
| 3. S O(ი) O(უ) P—13 | 10. S P O(უ) O(ი)—5 | 17. P O(ი) O(უ) S—1 |
| 4. O(ი) O(უ) S P—13 | 11. O(ი) P S O(უ)—4 | 18. O(ი) P O(უ) S—1 |
| 5. O(უ) S O(ი) P—12 | 12. O(უ) O(ი) S P—4 | 19. O(უ) O(ი) P S—1 |
| 6. O(უ) S P O(ი)—10 | 13. O(ი) S P O(უ)—3 | |
| 7. S O(ი) P O(უ)—9 | 14. O(უ) P O(ი) S—3 | |

ხუთივე ნაკლული ვარიანტი შემასმენლით იწყება.

XX. P, O(პ), O(უ), A(ღ)—92

- | | |
|------------------------|------------------------|
| 1. A(ღ) O(პ) P O(უ)—17 | 9. O(პ) P A(ღ) O(უ)—5 |
| 2. A(ღ) O(უ) P O(პ)—14 | 10. A(ღ) P O(პ) O(უ)—4 |
| 3. O(უ) A(ღ) P O(პ)—11 | 11. O(უ) A(ღ) O(პ) P—3 |
| 4. A(ღ) O(უ) O(პ) P—9 | 12. O(უ) O(პ) A(ღ) P—1 |
| 5. A(ღ) O(პ) O(უ) P—7 | 13. P A(ღ) O(პ) O(უ)—1 |
| 6. A(ღ) P O(უ) O(პ)—6 | 14. O(უ) P A(ღ) O(პ)—1 |
| 7. O(პ) A(ღ) P O(უ)—6 | 15. O(უ) O(პ) A(ღ) P—1 |
| 8. O(პ) P A(ღ) O(უ)—5 | 16. O(უ) O(პ) P A(ღ)—1 |

8 ნაკლული ვარიანტიდან 5 იწყება შემასმენლით, ორში კი ოვო მეორე ადგილზეა.

XXI. P, O(პ), A(ა), A(ღ)—77

- | | |
|------------------------|-----------------------|
| 1. A(ღ) A(ა) P O(პ)—12 | 5. A(ღ) P O(პ) A(ა)—6 |
| 2. A(ღ) O(პ) P A(ა)—11 | 6. A(ა) A(ღ) P O(პ)—4 |
| 3. A(ღ) A(ა) O(პ) P—11 | 7. O(პ) A(ა) A(ღ) P—4 |
| 4. A(ღ) O(პ) A(ა) P—8 | 8. O(პ) A(ღ) P A(ა)—4 |

9. A(ა) O(ბ) A(ღ) P—3
10. O(ბ) A(ა) A(ღ) P—3
11. A(ა) P O(ბ) A(ღ)—2
12. A(ა) A(ღ) O(ბ) P—2
13. A(ღ) P A(ა) O(ბ)—2

14. P A(ღ) O(ბ) A(ა)—1
15. P O(ბ) A(ა) A(ღ)—1
16. A(ა) P A(ღ) O(ბ)—1
17. A(ა) O(ბ) P A(ღ)—1
18. O(ბ) P A(ღ) A(ა)—1

6 ნაკლული ვარიანტიდან 4 შემასმენლით იწყება, ერთში იგი II ადგილზეა.

XXII. P, O(ბ), O(ი), A(ღ)—64

1. A(ღ) O(ი) O(ბ) P—16
2. A(ღ) O(ი) P O(ბ)—11
3. A(ღ) O(ბ) P O(ი)— 8
4. O(ბ) A(ღ) P O(ი)— 4
5. O(ი) A(ღ) P O(ბ)— 4
6. A(ღ) P O(ბ) O(ი)— 4
7. A(ღ) P O(ი) O(ბ)— 4
8. A(ღ) O(ბ) O(ი) P— 2

9. O(ი) A(ღ) O(ბ) P—2
10. O(ბ) P O(ი) A(ღ)—2
11. O(ბ) P A(ღ) O(ი)—2
12. P O(ბ) A(ღ) O(ი)—1
13. O(ბ) O(ი) P A(ღ)—1
14. O(ბ) A(ღ) O(ი) P—1
15. O(ი) O(ბ) P A(ღ)—1
16. O(ი) O(ბ) A(ღ) P—1

8 ნაკლული ვარიანტიდან 5 იწყება შემასმენლით, ორში იგი II ადგილზეა.

XXIII. P, O(ბ), O(უ), A(ვ)—47

1. O(უ) A(ვ) P O(ბ)—8
2. O(უ) O(ბ) A(ვ) P—8
3. O(ბ) O(უ) A(ვ) P—6
4. O(ბ) A(ვ) O(უ) P—6
5. O(ბ) A(ვ) P O(უ)—5
6. O(ბ) O(უ) P A(ვ)—3
7. O(უ) A(ვ) O(ბ) P—3
8. A(ვ) P O(ბ) O(უ)—3

9. P O(ბ) O(უ) A(ვ)—1
10. A(ვ) O(ბ) O(უ) P—1
11. A(ვ) O(ბ) P O(უ)—1
12. A(ვ) O(უ) P O(ბ)—1
13. A(ვ) O(უ) O(ბ) P—1
14. O(უ) P O(ბ) A(ვ)—1
15. O(უ) O(ბ) P A(ვ)—1
16. O(ბ) P O(უ) A(ვ)—1

აკლია 8 ვარიანტი, რომელთაგან ხუთი იწყება შემასმენლით, დანარჩენ სამში კი შემასმენელი მეორე ადგილზე დგას.

ოთხწევრა წინადადებებში სხვადასხვა შემადგენლობის რიცხვი რამდენადმე მცირდება. შესაბამისად მცირდება აგრეთვე რაოდენობრივი სხვაობა ვარიანტებს შორის. ამ ფონზე უფრო მიზანშეწონილი ხდება საუბარი შემადგენლობათა სიხშირეზე (რომლის შესწავლა წინამდებარე ნაშრომის მიზანს სცილდება), ვიდრე ვარიანტთა შე-

ფარდებით სიხშირეზე. ეს განსაკუთრებით ითქმის ხუთწევრა, ექვსწევრა, შვიდწევრა წინადადებებზე, რომლებიც კიდევ უფრო იშვიათია, რის გამოც ძნელდება მეტ-ნაკლებად ხშირი ვარიანტების გამოყოფა. ამიტომ ამ სიგრძის წინადადებათა საიმედოობაც შესაბამისად ნაკლებია.

• • •

ის ფაქტი, რომ სხვადასხვა სიგრძის წინადადებებს შორის ყველაზე ხშირად დასტურდება სამწევრა, ორწევრა და ოთხწევრა წინადადებები (13.352, 8.456 და 6.810 შესაბამისად), რომლებშიც შემასმენლის ბოლოკიდური პოზიცია დიდად სჭარბობს დანარჩენ პოზიციებს (ყველაზე იშვიათ ან ნაკლებ ვარიანტებში შემასმენელი თავკიდურია ან მეორე ადგილზე დგას), განამტკიცებს შთაბეჭდილებას ბოლოკიდური შემასმენლის ნორმატიულობის შესახებ. აქედან ცხადი ხდება თვით ამა თუ იმ სიგრძის წინადადებათა სიხშირის გადამწყვეტი როლი ნორმის ჩამოყალიბებისა და უნიფიკაციის ტენდენციის განხორციელების საკითხში. მართალია, შემასმენლის ბოლოკიდურობის ნორმას არღვევს სხვადასხვა ფაქტორი (წინადადებათა განსხვავებული სიგრძე, მოდალობა და ხასიათი, ემფაზა, ზმნის გარდაუვალობა და ა. შ.), მაგრამ ყველა ეს ფაქტორი ნორმას „ამინდს ვერ შეუქმნის“, თუ მათი შემცველი ერთეულების სიხშირე სტაბილური არ იქნება. უფრო მეტიც, ამ ფაქტორებმა შეიძლება თვითონაც დაკარგონ ძალა, რის შედეგადაც ზოგჯერ შეიძლება მივიღოთ, მკაცრად რომ ვთქვათ, გაუმართლებელი ანალოგია.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, სიტყვათგანლაგების ნორმის შექმნა შეპირობებულია არა იმდენად ამა თუ იმ ტიპის წინადადებაში რომელიმე ვარიანტის სიხშირით, რამდენადაც, უწინარეს ყოვლისა, თვით ამ ტიპის წინადადების სიხშირით.

სიტყვათგანლაგების ზოგიერთი ტენდენციის შესახებ

ყველა ის ნიშანი თუ ტენდენცია, რომელიც ახასიათებს სიტყვათგანლაგებას თხრობით წინადადებაში, მეტ-ნაკლებად თავს იჩენს ამ უკანასკნელისაგან მოდლობით განსხვავებულ (კითხვით, ბრძანებით) წინადადებებშიც. მაგრამ მათი განსხვავებული საკომუნიკაციო მიზანდასახულება და სტრუქტურა გარკვეულ სპეციფიკურ ნიშნებსაც წარმოშობს. აქედან ზოგი მათგანი უნივერსალური, ზოგადენობრივია, ზოგიც საკუთრივ ამა თუ იმ ენისათვის არის დამახასიათებელი. მაგ., უნივერსალურ ნიშნად ითვლება განსხვავებული ინტონაცია და სიტყვათა ინვერსიული განლაგება. შესაბამისად განსხვავებულია წინადადებათა სიგრძეც: შედარებით მოკლე წინადადებები ქარბობს. ამის მიზეზი აღნიშნულ წინადადებათა ინტონაციურ მოდელშია საძიებელი: კითხვითსა და ძახილის წინადადებებს ტონის ამღლება და წარმოთქმის ინტენსივობა ახასიათებს, რაც იწვევს ხმის დაძაბულობის შესაბამის ზრდას (თუმცა ამ შესაბამისობას წინადადების სინტაქსურ წყობასა და მელოდიკას შორის ყველა მეცნიერი როდი იზიარებს [8, გვ. 139; 45, გვ. 78; 30, გვ. 26]; შდრ. [22, გვ. 212—14).

ამასთან დაკავშირებით შენიშნულია, რომ „ინტონაციური ფორმის დაძაბულობა არ შეიძლება უსაზღვრო იყოს: მას აქვს საზღვარი, რის გამოც შეზღუდულია თვით ფრაზის სიგრძეც. სწორედ ამიტომ დამავალი ინტონაციის მქონე ფრაზა, როგორც წესი, მრავალსიტყვიანი არ არის [97, გვ. 15; შდრ. პროგრესიული თანამიმდევრობა, რომელიც ანტიციპაციისაგან განსხვავებით, არ ზღუდავს ფრაზის სიგრძეს).

ქვემოთ განხილული იქნება სიტყვათგანლაგება ორი სახის კითხვით წინადადებაში: ე. წ. „სპეციალურ კითხვებში“, რომლებშიც კითხვითი სიტყვა-წევრები მონაწილეობს, და „ზოგად კითხვებში“, რომლებიც ჰო ან არა პასუხებს მოითხოვს და არ შეიცავს კითხვით სიტყვა-წევრებს (კითხვით ნაცვალსახელებსა და ზმნისარტებს). ცალკე რიტორიკული კითხვები აქ არ იქნება განხილული, რადგან სტრუქტურულად ისინი ემთხვევა აღნიშნულ კითხვით წინადადებებს.

§ 1. სიტყვათგანლაგება კითხვით წინადადებებში 1. „სპეციალური კითხვები“

სიტყვათგანლაგება სპეციფიკურ სურათს გვიჩვენებს ე. წ. „სპეციალურ კითხვებში“, რომლებიც კითხვით სიტყვა-წევრებს (კითხვით ნაცვალსახელებსა და ზმნისარტებს) შეიცავს [10, გვ. 3; 39, გვ. 10—11].

შენიშნულია, რომ სუბიექტ-ობიექტისა და გარემოებების გამომხატველი კითხვითი სიტყვები შემასმენლის წინ ინაცვლებენ [66, გვ. 384; 30, გვ. 27—28; 101, გვ. 70]. რაც შეეხება განსაზღვრებად გამოყენებულ კითხვით ნაცვალსახელს, იგი, ბუნებრივია, ზმნისაგან საზღვრულით არის გათიშული, ეს უკანასკნელი კი უშუალოდ შემასმენლის წინამავალია. ამიტომ ამ შემთხვევაშიც არ ირღვევა ის წესი, რომლის მიხედვით ზმნას უპირავეს მკაცრად ფიქსირებული პოზიცია კითხვითი სიტყვის შემდეგ¹. ამდენად, აზრი აღარა აქვს თითოეული მათგანის (კითხვითი სიტყვის, ზმნა-შემასმენლის) პოზიციის ცალკე გამოყოფას. შეიძლება მათი გაერთიანება ერთ ჯგუფში; რომელსაც პირობითად „კითხვით ჯგუფს“ (სიმოკლისათვის მას X-ით აღვნიშნავთ) ვუწოდებთ. მას უპირისპირდება „დადებითი ჯგუფი“ (Y) — წინადადების დანარჩენი წევრი ან წევრები. მაშასადამე „სპეციალურ კითხვებში“ სიტყვათგანლაგების განხილვა არა იმდენად ცალკეული წევრების პოზიციათა ანალიზს უნდა ემყარებოდეს, რამდენადაც აღნიშნული ჯგუფების ურთიერთგანლაგებისას (ზოგიერთი სპეციალისტი არამცთუ ამგვარ კითხვებში, ნეიტრალურ თხრობით წინადადებებშიც კი ამჟობინებს ილაპარაკოს არა სიტყვათა წყობის შესახებ, არამედ სინტაგმების წყობის შესახებ: სინტაგმები მობილურია, მაგრამ ერთი სინტაგმის სიტყვების გააბატანა მეორეში არ შეიძლება [93, გვ. 2].

შენიშნება, რომ კითხვითი ჯგუფი (X) ძირითადად თავკიდური პოზიციისაგან მიიღწრათვის, თუმცა იგი შესაძლებელია შეგვხვდეს წინადადების შუაშიც და ბოლოშიც.

¹ რუსული ენა ამ მხრივ გაცილებით მეტ თავისუფლებას იჩენს: აუცილებელი არ არის კითხვით სიტყვას ზმნა-შემასმენელი მოსდევდეს. მაგ.: Куда он идет? „Кто в тереме живет?“ Откуда она все знает?

ინგლისურში „სპეციალური კითხვის“ სიტყვათგანლაგება კიდევ უფრო შეზღუდულია: კითხვით ჯგუფს მუდამ და მხოლოდ თავკიდური პოზიცია უპირავეს. სხვა საქმეა, რომ თვით ამ ჯგუფის სტრუქტურა უფრო რთული: კითხვითი სიტყვა და მხარე ზმნა+სახელი+ლექსიკური მნიშვნელობის მქონე ზმნა (What is he doing?) გამოწვევისა ის შემთხვევა, როცა კითხვა ქვემდებარეს დაესმის: მას უშუალოდ ძირითადი ზმნა მოსდევს (Who went there?).

ორწევრა წინადადებებში „დადებითი ჭგუფი“ მხოლოდ ერთი წევრისაგან შედგება. ამიტომ საკმარისია გამოყოფილი ჭგუფების პრეპოზიციო-პოსტპოზიციის აღნიშვნა.

ა. კითხვითი ჭგუფი პრეპოზიციურია:

როგორ მოგეწონა ეს ამბავი? (ილია, 452, 38);
როდის მოხვალ ჩვენსა? (ყაზბ., II, 148, 33); რით გვეისტუმრო ის კაცი? (დ. კლდ., 321, 8—9);

ბ. კითხვითი ჭგუფი პოსტპოზიციურია:

ეს დედ-მამა ვილასაგან დაიბადა? (გოგებ., VI, 660, 18); წუხელ ვისთან იდექით? (ვაჟა, V, 66, 32);
თავს როგორ გრძნობთ? (შენგ., 57, 16).

წყობათა სტატისტიკური შედარება (იხ. ცხრილი 8) გვიჩვენებს, რომ კარბობს $X+Y$ წყობა, ხოლო $Y+X$ წყობა მაშინ აღემატება ან უთანაბრდება $X+Y$ წყობას, როცა კითხვითი სიტყვა პირდაპირი დამატების ან ადგილის გარემოების ფუნქციით გამოდის.

სამწევრა წინადადებებში X -ისათვის ყველაზე ხშირია თავკიდური პოზიცია (53,2%). მაგ.:

რა წახდა ქვეყანაზე უქრისტეოდ? (ვაჟა, VI, 201, 38—39); როგორ უყურებს ხალხი თავად მანუჩარს? (ნინ., 594, 24); რა გვინდა ახლა ქალაქში? (ნ. ლორთქ., 331, 14); რად მოაგროვა ოქელაშვილმა ტყის ძმები? (ჯავახ., 510, 4).

„კითხვითი ჭგუფი“ შუა პოზიციაშია (25, 7%):

ეხლა სად არის ელგუჯა? (ყაზბ., I, 68, 21); პა, შენ რას იტყვი ამბავად? (ილია, 279, 15); ახლა რა გუნებაზე ბრძანდება ბატონიშვილი? (ჯავახ., 245, 17).

„კითხვითი ჭგუფი“ ბოლოკიდურ პოზიციაშია (21,1)%:

ამას იქით გლახი და თავადი რით უნდა გაიჩიოს? (ილია, 342, 38); მამაო, თქვენი რჯული ბატონზე და ხელმწიფეზე რას ამბობს? (ჯავახ., 415, 11); ეს შენ საიდან გაიგე, უჯუშ? (ქიაჩ., 287, 12).

„კითხვითი ჯგუფის“ პოზიციათა ანალოგიური შეფარდებები შეინიშნება უფრო გრძელ წინადადებებში (მაგ., ოთხწევრა წინადადებებში: I — 43%, II — 27%, III — 12%, IV — 18%). სხვადასხვა სიგრძის კითხვითი წინადადებების სტატისტიკური ანალიზი ცხადყოფს, რომ წინადადების წევრთა რაოდენობის ცვლა არსებით გავლენას არ ახდენს „კითხვითი ჯგუფის“ პოზიციათა შეფარდებაზე. ამჟამად კითხვითი სიტყვის შემცველი კომპლექსის მისწრაფება წინადადების წინა ნაწილისაა. ამასთან დაკავშირებით საგულწსხმოა, რომ ძველ ქართულშიც კითხვითი სიტყვის ადგილი, როგორც წესი, თავშია. იშვიათად შეიძლება მას უსწრებდეს მიმართვა ან რომელიმე წევრი სტილისტიკური საჭიროებისათვის [31, გვ. 88—89].

„კითხვითი ჯგუფის“ პოზიციების საკითხთან დაკავშირებით საინტერესოა ერთი გარემოება: ორწევრა წინადადებებში „დადებით ჯგუფს“ არაიშვიათად ახლავს მსაზღვრელები — ატრიბუტული თუ ნართული. მათი პოზიციების შესახებ მსჯელობა ინტერესს მოკლებულია, ვინაიდან მათი ადგილი ფიქსირებულია საზღვრულის წინ. მაგრამ აქ უფრო მნიშვნელოვანია თვით ამ მსაზღვრელთა არსებობის ფაქტი, რამდენადაც ისინი თითქმის გადამწყვეტ როლს ასრულებენ სხვა სიტყვათა განლაგებისათვის. გამოირკვა, რომ ორწევრა წინადადებებში განსაზღვრების შეხვედრის სიხშირე გაცილებით მეტი იყო X+Y წყობის დროს, ვიდრე Y+X წყობის დროს — 54%:27%. მაგ.:

მსაზღვრელიანი „დადებითი ჯგუფი“ პოსტპოზიციურია:

ვინ მოგცა იმე რელი უმა? (ჯავახ., 152, 30); რა გინდა ამ შავ-ბნელ ტყეში? (ნ. ლორთქ., 276, 4); რა არის სასკოლო გრამატიკის საგანი? ჩიქობ., 70, 16); რაში მდგომარეობს ენის სოციალურობა? (იქვე, 24, 16—17).

მსგავსივე ვითარებაა სამ- და მეტწევრა წინადადებებშიც.

რით შეიძლება აიხსნას შენიშნული კანონზომიერება?

ირკვევა, რომ წინადადებას აქვს მკაფიოდ გამოხატული ტენდენცია მაქსიმალურად განიტვიტროს შუა ნაწილი, შემდეგ — დასაწყისი. მსაზღვრელიანი წევრი უფრო ხშირად მოსდევს „კითხვით ჯგუფს“, ვიდრე უსწრებს მას. ამ გზით წინადადება ცდილობს აღიდგინოს წონასწორობა, რომელიც დარღვეულია „კითხვითი ჯგუფის“ წინ მოქცევის შედეგად. მსაზღვრელიანი წევრის აბსოლუტური პოსტპოზიციუ კითხვითი წინადადებისათვის ერთგვარ საკომპენსაციო საშუალებას წარმოადგენს. ისიც უნდა ითქვას, რომ საკომპენსაციოდ წინადადება სხვა ხერხებსაც მიმართავს, კერძოდ, შერწყმულ სპეციალურ კითხვებში

ერთგვაროვანი წევრები ყველაზე ხშირად წინადადების ბოლოშია, უფრო იშვიათად — თავში, ყველაზე ნაკლებ — შუაში.

ა. ერთგვაროვანი წევრები წინადადების თავშია:

შენი საქონელი და ჯალაბობა რაღასა იქს? (ჯავახ., 84, 37); რუსის ხელმწიფეზე და ჯარზე რაღას იტყვის არსენა? (იქვე, 510, 8).

ბ. ერთგვაროვანი წევრები წინადადების შუაშია:

რამ ამოგიყვანათ თქვენისთანა განათლებული და პატროსანი პირი ამ დასაქცევარში, ბატონო? (დ. კლდ., 458, 29—30); მამაო, თქვენი რჯული ბატონზე და ხელმწიფეზე რას ამბობს? (ჯავახ., 415, 11).

გ. ერთგვაროვანი წევრები წინადადების ბოლოშია:

რას აკეთებს მაზრის უფროსი და ბოქაული? (ვაჟა, V, 287, 36); რა უნდა ბესარიონს ამ დროს, ამ ღამეში, აქ, ამ სიშორეს? (დ. კლდ., 309, 2—3); სად იყვნენ ბაბალე, სოფონა და ოქრუა? (ნინ., 573, 20).

აღნიშნულ ტენდენციებზე მეტყველებს განკერძოებული განსაზღვრებისა და გარემოების ბოლოკიდული პოზიცია (ყოველ შემთხვევაში — პოსტპოზიცია). ამავე რიგის მოვლენად შეიძლება მივიჩნიოთ დანართის პოსტპოზიციაც.

მიუხედავად იმისა, რომ მაგალითების უმრავლესობაში მსაზღვრელიანი წევრები მოსდევს „კითხვით ჯგუფს“, მაინც არცთუ ისე იშვიათია ამ ჯგუფის წინამაველი მსაზღვრელიანი წევრების შეხვედრა. გასარკვევია, რა შემთხვევაში „უძალიანდება“ $V+X$ წყობა $X+V$ წყობას. თვალსაჩინოებისათვის შევადაროთ, ერთი მხრივ:

რას ნიშნავს ენის წარმოშობის საკითხის გარკვევა? (ჩიქობ., 39, 12—13); ვინ შემოვათრიე, შენგან ავად სახსენებელი? (დ. კლდ., 555, 6—7); რა ქნა მაგ შეჩვენებულმა? (იქვე, 270, 16).

მეორე მხრივ:

შენს ღმერთს რაღას ეუბნები? (ილია, 434, 25); ამ ბიჭს რა მოუხერხოთ? (ნ. ლორთქ., 403, 9); ხალხო, ამ კაცს რა ეუყოთ? (ჯავახ., 275, 21).

მაგალითების პირველ წყებაში „კითხვით ჯგუფს“ მოსდევს უფრო გრძელი (ხანგრძლივად მქედრი) მსაზღვრელები, ხოლო მეორე წყებაში ამ ჯგუფს წინ უსწრებს მოკლე მსაზღვრელები. ეს უკანასკნელნი საზღვრულებთან ერთად ქმნიან მარცვალთა იმ რაოდენობას, რომელიც ნაკლებია „კითხვით ჯგუფში“ შემავალი სიტყვების მარცვალთა საერთო რაოდენობაზე, ყოველ შემთხვევაში, არ აღემატება მას. პირველ წყებაში კი მსაზღვრელ-საზღვრულის შემადგენელ მარცვალთა ჯამი დიდად სჭარბობს „კითხვითი ჯგუფის“ შემადგენელ მარცვალთა ჯამს.

მარცვალთრაოდენობის, სიტყვათა გრძლიობის ფაქტორი, თავის მხრივ, მახვილსაც განსაზღვრავს. ერთმარცვლიანი მსაზღვრელი უფრო გრძელ საზღვრულებთან შეხამებისას უმახვილოა და წინ გადმონაცვლებას ამჯობინებს. ბოლოკიდურ პოზიციაში ერთმარცვლიანი სიტყვა საერთოდ ძალზე იშვიათია, ხოლო თუკი არის, იგი ცდილობს განსაზღვრებაც იახლოს (მაგ.: რა ვიფიქრე მე, ს უ ლ ე მ ა? — ნინ., 539, 13).

განსაკუთრებით კონტრასტულია ეს (ეგ) რა კონსტრუქციის ორი წყობის შეფარდება. მაგალითების 90%-ს შეადგენს ერთმარცვლიანი ჩვენებითი ნაცვალსახელის თავკიდური პოზიცია. შდრ.:

ე გ რ ა ვაჟკაცობა ყოფილა? (ილია, 262, 4); ეს რ ა გქონია, პაპავ, ამაში? (ვაჟა, V, 158, 7); ეს რ ა ამბავი მომივიდა! (დ. კლდ., 302, 30—31).

ღა:

რ ა გიქნიათ ე გ, შვილებო? (აკაკი, 7, 19); რ ა დღე გამიტენდა ე ს? (დ. კლდ., 370, 5—6).

თვით იმ მცირე რაოდენობის მაგალითებშიც კი, სადაც ეს სიტყვები ბოლოკიდურია, წინადადება მხოლოდ „კითხვითი ჯგუფისაგან“ შედგება. თუკი წინადადება სხვა წევრებსაც შეიცავს, ისინი უპირატესად მცირემარცვლოვანია. ორმარცვლიანი მსაზღვრელები (ჩვენს შემთხვევაში — ნაცვალსახელები) იძენენ საკუთარ მახვილს და ამიტომ — მეტ დამოუკიდებლობასაც. ამ პირობებში მათი ბოლოკიდურობის შესაძლებლობა გაცილებით იზრდება. კერძოდ, თუ ეს, ეგ ნაცვალსახელთა თავკიდური და ბოლოკიდური პოზიციები ისე შეეფარდება ერთმანეთს, როგორც 93%:7%, ამავე ნაცვალსახელთა ორმარცვლიანი ვარიანტების თავკიდური პოზიციის შეფარდება ბოლოკიდურთან ასეთი იქნება: 25%:75%. მაგ.:

ა. X + ნაცვალსახელი:

რ ა ი სთქვი ე გ ა? (ყაზბ., I, 82, 15); რ ა ს მეუბნები
მ ა გ ა ს? (დ. კლდ., 301, 37); რ ა ქენი, იასონ, ა გ ი? (ნინ.,
325, 26).

ბ. ნაცვალსახელი + X:

ა მ ა ს ვ ი ს ვებდავ! (შენგ., 373, 20); დედავ, ა გ ი რ ა
მოაქვან? (ნინ., 124, 13—14).

მაშასადამე, „კითხვითი“ და „დადებითი“ ჯგუფების ურთიერთგან-
ლაგება მოწოდებულია დაიცვას წინადადების წონასწორობა. იმ ბუ-
ნებრივი ტენდენციის ძალით, რომელიც წინადადების მძიმე ნაწილს
ბოლოსკენ ეწევა, ჩნდება მოთხოვნილება რიტმული კომპენსაციისა,
წინადადების გაწონასწორებისა, რაც გულისხმობს მის აგებას „მსუბუ-
ქი+მძიმე“ ნაწილების თანამიმდევრობაზე (და არა პირუკუ — „მძიმე +
მსუბუქი“ ნაწილების თანამიმდევრობაზე). სწორედ ამ მოთხოვნილებისა
და მისი რეალიზაციის ანარეკლია ყველა ის შემთხვევა, რომლებშიც
წინადადების ბოლოკიდური კომპონენტი გართულებულია და რომ-
ლებიც ამ სახით გაცილებით აღემატება მოკლე და მსუბუქი ბოლო-
კიდური ერთეულის შემცველ წინადადებათა შემთხვევებს.

* * *

„კითხვითი ჯგუფით“ დაწყებულ „სპეციალურ კითხვებში“ შეი-
ნიშნება ინვერსია იმ თხრობით წინადადებებთან მიმართებით, რომ-
ლებიც ამ კითხვებზე სრულ პასუხს წარმოადგენს. X+Y წყობის შემ-
ცველი ორწევრა კითხვითი წინადადების პასუხში ორმაგ ინვერსიას-
თან გვაქვს საქმე: ერთი მთელ წინადადებას „მსკვალავს“, მეორე კი
მხოლოდ სინტაგმის („კითხვითი ჯგუფის“) ფარგლებში მოქმედებს.
პირველი მათგანი გულისხმობს X+Y წყობის ინვერსიულ რიგს:
Y+X-ის პოზიტიური ეკვივალენტი, მეორე კი გულისხმობს X-ის
შემადგენელი კომპონენტების ინვერსიულ, ამასთან, ფიქსირებულ რიგს:
ზმნა-შემასმენელი+X-ის პოზიტიური ეკვივალენტი (მსაზღვრელ-სა-
ზღვრული ამ ინვერსიაში არ იგულისხმება არც წინადადებისა და არც
სინტაგმის ფარგლებში).

მაგალითად, კითხვაზე — როდის დაარსდა თბილისის უნივერსი-
ტეტი? — სრული პასუხი იქნება: თბილისის უნივერსიტეტი დაარსდა
1918 წელს. ეს კითხვა-პასუხი გრაფიკულად ასე შეიძლება გამოვსახოთ:

I როდის

1918 წელს.

II დაარსდა

დაარსდა

III თბილისის უნივერსიტეტი? თბილისის უნივერსიტეტი

თითოეულ ჰორიზონტალურ რიგში ექცევა განმეორებული (II და III) ან პარადიგმული (I) სიტყვები.

თუ ორწევრა წინადადება $Y+X$ წყობიანია, ინვერსია მხოლოდ X -ის პარადიგმულ სინტაგმაში გვექნება. შდრ.:

1. ვინ დაწერა „ვეფხისტყაოსანი“?
„ვეფხისტყაოსანი“ დაწერა რუსთაველმა.
2. „თამარიანი“ ვინ დაწერა?
 - ა. „თამარიანი“ ჩახრუხაძემ დაწერა.
 - ბ. „თამარიანი“ დაწერა ჩახრუხაძემ.

შედარება ცხადყოფს, რომ I წყებაში კითხვას ბუნებრივი და ნეიტრალური ფუნქცია აქვს — „ვეფხისტყაოსნის“ დამწერის ვინაობის დადგენა; II მაგალითში აღნიშნული ფუნქცია დამატებითი ნიუანსით მდიდრდება: კითხვაში ხაზგასმულია, რომ შემკითხველისათვის ამჯერად საინტერესოა სახელდობრ „თამარიანის“ (და არა სხვა ნაწარმოების) დამწერის ვინაობა. ამდენად, პირველი კითხვა უფრო ნეიტრალურია, მეორეში კი ნეიტრალობა რამდენადმე ირღვევა. მაშასადამე, ხაზგასასმელი ერთეულები კითხვაში წინადადების დასაწყისს, ყოველ შემთხვევაში, პრეპოზიციას ამჯობინებენ.

$X+Y$ წყობისას თავკიდური კითხვითი სიტყვის წარმოთქმა მაქსიმალური ინტენსივობით ხასიათდება, რასაც განაპირობებს: 1. ამ სიტყვის კითხვითი შინაარსი; 2. მისი პრეპოზიცია ზმნა-შემასმენლის მიმართ; 3. ამ უკანასკნელის პრეპოზიცია დანარჩენი წევრების მიმართ. ამ ფონზე პოსტპოზიციური „დადებითი ჯგუფის“ წარმოთქმა ნაკლები ინტენსივობით ხასიათდება. ამიტომ მისი გააქტიურება შესაძლებელია პოზიციის შეცვლით, კერძოდ, მისი გადაადგილებით „კითხვითი ჯგუფის“ წინ.

ზემოაღნიშნულ ინვერსიას ადგილი აქვს სამწევრა წინადადებაშიც. მაგ., კითხვა: როდის მოხდა ბურჟუაზიული რევოლუცია საფრანგეთში? სრული პასუხი: საფრანგეთში ბურჟუაზიული რევოლუცია მოხდა 1848 წელს.

კითხვითი წინადადების I წევრი პასუხში ბოლოდან I ადგილზეა, II წევრი — ბოლოდან II ადგილზე და ა. შ. (ანდა: კითხვის ბოლო წევრი პასუხის პირველი წევრია, კითხვის ბოლოსწინა წევრი პასუხის II წევრია და ა. შ.).

მაგრამ სამ- და მეტწევრა კითხვების სრულ პასუხებში სრული ინვერსია ყოველთვის არა გვაქვს. ერთმანეთს შეიძლება დაუპირისპირდეს მხოლოდ X და Y ჯგუფები, ხოლო თვით Y ჯგუფის ფარგლებში წევრთა გადაადგილება აუცილებელი არ არის. ზემოთ მოყვანილ კი-

თხვას შეიძლება ასეთი პასუხიც გაცეს: „ბურჟუაზიული რევოლუცია საფრანგეთში მოხდა 1848 წელს“. პასუხში უცვლელი დარჩა *Y* ჯგუფის შემადგენელ კომპონენტთა ადგილები. არსებითია თემა-რემის ურთიერთობა [68, გვ. 71]. კითხვის მიმართულებაა უცნობიდან ნაცნობისაკენ, პასუხისა — ნაცნობიდან ახლისაკენ (თემა-რემის ამგვარი ურთიერთობა ამოსავალია ე. წ. „აქტუალური დაყოფის“ მიმართულებისათვის იხ. [102; 67]).

პასუხის ახალი ელემენტის ბოლოკიდური პოზიცია ფსიქოლოგიურად იმ მოთხოვნილებითაა შეპირობებული, რომ წინადადების უმნიშვნელოვანესი ნაწილი ბოლოში მოთავსდეს. „სპეციალურ კითხვაზე“ გაცემული პასუხისათვის კი უმნიშვნელოვანესი სწორედ ის ელემენტია, რომელიც თავისი სიახლით უპირისპირდება დანარჩენ — ნაცნობ ელემენტებს.

ნიშანდობლივია ერთი გარემოებაც: თუ წინადადება მხოლოდ კითხვითი *X* ჯგუფისაგან შედგება, სათანადო კომპონენტები პასუხებშიც თავიანთ ადგილზე რჩებიან. მაგ.: ვინ მოვიდა? — მეზობელი მოვიდა (და არა: მოვიდა მეზობელი). ეს ფაქტიც იმის დადასტურებაა, რომ „სპეციალურ კითხვებში“ ინვერსიის განხილვას აზრი აქვს არა სინტაქსის (რომელიმე ერთი — „დადებითი“ ან „კითხვითი“ ჯგუფის) ფარგლებში, არამედ წინადადების ფარგლებში თვისებრივად დაპირისპირებულ ორ ჯგუფს შორის.

* * *

კითხვითი სიტყვა-წევრების რიგი. „სპეციალური კითხვები“ შეიძლება შეიცავდეს ორ კითხვით სიტყვას, რომელთა რიგი მკაცრად განსაზღვრულია: კითხვითი ნაცვალსახელი, რომელიც „ვინ“ ჯგუფის სახელს ენაცვლება, მუდამ პრეპოზიციურია. მაგ.: ვინ რა იცის? ვისთვის რას იტყვი? ვინ სად (როდის) მოკვდა? და ა. შ.

თუ ორივე კითხვა „ვინ“ ჯგუფის სახელს დაესმის, წინ ქვემდებარე დადგება: ვინ ვის აჯობებს?

უსულო „რა“ ჯგუფის სახელებით გამოხატული ობიექტების რიგი ასე მკაცრად განსაზღვრული არ არის (რა რას დაუპირისპირა||რას რა დაუპირისპირა?). ეგვევ ობიექტები და სუბიექტი წინ უსწრებენ ვითარების გარემოებას (რა როგორ გააკეთა? რას როგორ უყურებს? ვინ როგორ ფიქრობს?): „რა“ ჯგუფის სახელით გადმოცემულ სუბიექტ-ობიექტებს ადგილისა და დროის გარემოებები უსწრებენ (სად რა მოიპოვება? როდის რა ნახე?), თუმცა ჩაკითხვისას, ჩვეულებრივ, პირუკუ წყობა გვხვდება (მაგ.: — როდის იყო? — რა როდის იყო?).

ორ-ორი დროსა თუ ადგილს გარემოების შემცვლელ კითხვით ზმნისართთაგან პირველია გამოსვლითის ფუნქციით გამოყენებული ზმნისართი (საიდან სანამდე?).

რაც შეეხება კითხვით ნაცვალსახელთა ფორმას, საგულისხმოა, რომ კითხვით წყვილებში უქირს მონაწილეობის მიღება სხვადასხვა ფუნქციის, ოღონდ ერთი და იმავე ფორმის მქონე ნაცვალსახელებს (ვინ ვინ მოკლა?) ვის ვის || რას რას უპირისპირებს (უღარებს, ამჯობინებს, არჩევს...). ზოგიერთ შემთხვევაში უფრო ბუნებრივია და კავშირის ხმა-რება იდენტური ფორმების გასათიშავად, მაგ., ასე: ვის და ვის უღარებს ერთმანეთს?



„კითხვითი ჯგუფის“ გათიშვის შემთხვევები. „კითხვითი ჯგუფი“ იშვიათ შემთხვევაში შეიძლება გათიშულად მოგვეჩვენოს, როცა კითხვა წარმოადგენს თანამოსაუბრის წინა ნათქვამის გამეორება-ჩაკითხვას. ამ შემთხვევაში კითხვა მოწოდებულია დააზუსტოს ერთი რომელიმე პუნქტი (რომელიც თანამოსაუბრემ წინა კონტექსტში ზოგადად დაასახელა) ისეთი ნაცვალსახელებითა და ზმნისართებით, როგორცაა სხვა, ყველა, სხვაგან, ყველგან... აქ კითხვითი სიტყვა კი არ ითიშება ზმნისაგან ამ სიტყვებით, არამედ თვითონ ერთვის პრეპოზიციურად მზა სინტაგმის არაზმნურ ნაწილს და გამონათქვამს კითხვითად აქცევს (მაგ.: სხვაგან მივდივარ. — სად სხვაგან მიდიხარ? სხვა მიყვარს. — ვინ სხვა გიყვარს? და მისთ.).

საინტერესოა, რომ ეს კითხვითი სიტყვები არა მარტო პოზიციურადაა ფიქსირებული, არამედ ფორმითაც უცვლელია. კერძოდ, შეიძლება არ შეეთანხმოს აღნიშნულ ნაცვალსახელებს ბრუნვაში (მაგ.: ვინ სხვას უთხარი? ვინ სხვასთან იყავი?). თუკი ეგვევ ნაცვალსახელები თვითონ საზღვრავენ კითხვით ნაცვალსახელებს. ისინი შედარებით თავისუფლად იცვლიან ადგილს, რაც განაპირობებს მათს ფორმაცვალეობას (მაგ.: სხვას ვის ეტყვი? || ვის ეტყვი სხვას? ვისთან იყავი სხვასთან? || სხვასთან ვისთან იყავი?).

მეორე გამონაკლისი, რომლის დროსაც კითხვითი სიტყვა ითიშება ზმნისაგან, გვეხდება მიზეზის გარემოების შემცველ „სპეციალურ კითხვაში“. ეს იმითაა შეპირობებული, რომ მიზეზის გარემოება, ჩვეულებრივ, მთელ წინადადებას განსაზღვრავს და, იშვიათი გამონაკლისის გარდა, იწყებს წინადადებას, შემასმენელს კი დისტანციურად უკავშირდება.

იმისდა მიხედვით, თუ რამდენი წევრი თიშავს კითხვით ზმნისართს ზმნა-შემასმენლისგან, იცვლება ამ კითხვების შეფასებაც. თუ გამოი-

შველი ერთი სიტყვაა, ე. ი. თუ ერთი რომელიმე სიტყვა ექცევა ზმნის წინ, იგი აქტიურდება და კითხვაც თითქოს მას დაესმის. მაგ.:

რატომ იმას არ მიესია ეს ხალხი? (ვაჟა, VI, 123, 28—29); რატომ მე არა მყავს შვილები? (იქვე, VI, 62, 37—38); რატომ წინად არა ჰყვიროდით. მაგრე ჰკვიანად და ხმიანად? (იქვე, V, 329, 24—25).

თუკი კითხვით სიტყვასა და ზმნას შორის ერთზე მეტი სიტყვაა, მაშინ ზოგჯერ ხაზი ესმება უშუალოდ ზმნის წინამავალ სიტყვას, დანარჩენ შემთხვევებში კი კითხვა ეხება მთელ წინადადებას. შდრ.:

რატომ ქვა სულ მაღლა არ მიდის? (გოგებ., VI, 135, 28—29); რატომ მაშინ ერთი პატარა ყვავილი მაინც არ გაუგზავნეთ ნიშნად სიყვარულისა? (ნ. ლორთქ., 445, 31—32).

და:

რატომ ხელებს გულზედ არ დაუკრებ? (ილია, 315, 28); რატომ შენს საცოდავს მამას თვალებს არ დაუხუჭავ? (იქვე, 315, 27—28).

ამ თვალსაზრისით ნიშანდობლივია, რომ მიზეზის ზმნისართი ან ანალოგიური მნიშვნელობის მქონე სხვა სიტყვა თუ სიტყვათა ჯგუფი (ამიტომ, ამის გამო), რომელიც იწყებს თხრობით წინადადებას, ხშირად მძიმითაც გამოიყოფა. ეს დამატებითი საბუთია იმისა, რომ ამგვარი სიტყვების სინტაქსური კავშირი წინადადების ცალკეულ წევრებთან შედარებით სუსტია.

2. „ზოგადი კითხვები“²

განსხვავებით სპეციალური კითხვებისაგან“. რომლებშიც ლოგიკური მახვილი კითხვით სიტყვებს მოუღის და ტონის ამაღლებაც ამგვარ სიტყვებზე ხდება, „ზოგად კითხვებში“ ლოგიკური მახვილი მოუღის ზმნა-შემასმენლის წინამავალ სიტყვას, ხოლო ტონის ამაღლებაც თვით შემასმენელზე ხდება (როცა შემასმენელი პოსტპოზიციურია). ამიტომ სიტყვათგანლაგების განხილვაც შემასმენლის პოზიციითა გან-

² სხვანაირად მათ „მო“ და „არა“ კითხვებსაც უწოდებენ. ო. იესპერსენი „სპეციალური“ და „ზოგადი“ კითხვების გასამიჯნავად ხმარობს ტერმინებს „იქს-კითხვას“ და „ნექსუს-კითხვას“. სხვა ტერმინებია: „სრული“ და „ნაწილობრივი“ ან „წინადადებისა“ და „სიტყვის“ კითხვები [78, გვ. 352—3].

ხილვით შეიძლება შემოიფარგლოს, ვინაიდან სხვა წევრთა პოზიციები, გარდა იმისა, რომ მნიშვნელოვნადაა შეპირობებული შემასმენლის პოზიციით, არ იძლევა საშუალებას გამოვიყვანოთ რამდენადმე სტაბილური წესები.

ორწევრა წინადადებებში ზოგადი კითხვის შემასმენლის პოსტ-პოზიცია დიდად სქარბობს პრეპოზიციას (72%:28%).

შეიმჩნევა, რომ პრეპოზიციური შემასმენლის სემანტიკა რამდენადმე შეზღუდულია. თითქმის სისტემატურია „ნახვის“, „სმენა-გაგების“ სემანტიკის ზმნათა პრეპოზიცია. მაგ.:

ნ ა ხ ე მისი ბიკი? (ნ. ლორთქ., 501, 14); გ ი ნ ა ხ ა ვ ს იმის გოგო? (ილია, 300, 19); ე ს მ ი ს ჩემი გულის ნადები? (ნ. ლორთქ., 364, 27); ა რ გა გ ი გ ო ნ ი ა პუგაჩოვის სახელი? (ჭავჭავ., 213, 8); ა რ გ ე ს მ ო დ ა ჩემი ტირილი? (ვაჟა, VI, 91, 34).

აღნიშნული სემანტიკის მქონე ზმნები ძირითადად II პირის ფორმებით დასტურდება. ამავე ფორმით გვხვდება ე. წ. Verba sentiendi — როგორც წართქმით, ისე უკუთქმით წინადადებებში. მაგ.:

მ ო გ წ ო ნ ს ქალი? (ნინ., 405, 13); შე გ ი ყ ვ ა რ დ ა ვინმე? (ყაზბ., I, 428, 2); შე გ ზ ა რ ა ჩემმა ნახვამ? (ვაჟა, VI, 18, 5—6); გა ხ ს ო ვ ს ის დღე? (შენგ., 88, 22); ა რ გ ი ყ ვ ა რ ს ბანაობა? (ვაჟა, VI, 224, 11—12); ა რ მ ო გ წ ო ნ ს მ ა რ ი ნ ე? (იქვე, V, 312, 38); ა რ ა გ ჯ ე რ ა ჩემი სიტყვები? (ვაჟა, VI, 277, 8).

უარყოფითი ნაწილაკი ხელს უწყობს ზმნას პრეპოზიციის შენარჩუნებაში, განსაკუთრებით, როცა იგი ზმნას დაერთვის, ასე ვთქვათ, „პროვოკაციული“ მიზნით, — რათა დააჩქაროს თანამოსაუბრისაგან სასურველი (საპირისპირო) პასუხის მიღება (ამის შესახებ უფრო დაწვრილებით იხ. [101]).

ბოლოკიდურ პოზიციას გაურბიან „ქონა-ყოლა“ ზმნების აწმყოს ფორმები (აქვს, ჰყავს). აქ გადამწყვეტი ჩანს მარცვალთრაოდენობის ფაქტორი. ვინაიდან შემასმენელზე ხდება ტონის ამაღლება, გარკვეული მახვილი ამავე წევრსაც მოუღის. ქართულში ბოლოკიდურ ერთ-მარცვლიან ზმნაზე ჰირს მახვილის დასმა, თუ არ დაგრძელდა სიტყვა ერთი მარცვლით მაინც. მართლაც, ამგვარი სიტყვების დაგრძელება ხდება ზეპირ მეტყველებაში (ზაარ? გუაავს? [38, გვ. 342—343; 30, გვ. 34]). ეს მოვლენა კომპენსაცია უნდა იყოს ძველ ქართულსა და მთის კილოებში დადასტურებული კითხვითი -ა ნაწილაკის დართვისა ზმნაზე [47, გვ. 219], რაც საშუალებას იძლევა ზოგად კითხვაში სრულყოფი-

ლად განხორციელდეს ტონის მოდულაცია. მსგავს მოვლენას ხსნიან იზოქრონიულობისადმი სამეტყველო ტაქტების მიდრეკილებით, უკანასკნელი, პაუზისწინა სამეტყველო ტაქტის დაგრძელების ტენდენციით [87, გვ. 244].

ამავე სიბრტყეზე შეიძლება დადგეს ემფატიკური -ა ნაწილაკიც, რომელიც გარკვეულ ბრუნვის ფორმებს დაერთვის და ინვერსიული რიგის შექმნისას ჩამკეტ კონსტრუქციას წარმოშობს; სწორედ ამაში ვლინდება -ა-ს პაუზისწინა პოზიციისადმი მიდრეკილება [19, გვ. 228; 49, გვ. 23]. თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ კითხვითი -ა ნაწილაკიც პაუზისაყენ მიისწრაფვის (იგი წინადადების უკანასკნელ სიტყვას ან, რაც უფრო ხშირია, შემასმენელს დაერთვის; შემასმენლის, როგორც წინადადების ძირითადი წევრის, წარმოთქმას კი ნებისმიერ პოზიციაში გარკვეული პაუზა ახლავს), შესაძლებელი გახდება ამ ორი ოპოზიციური ნაწილაკის იდენტური ფუნქციის გამოყვანა.

საერთოდ, ქართულში რომ პაუზა წინამავალი სიტყვის მარცვალთ-რაოდენობასთანაა დაკავშირებული, სხვა საბუთებითაც მტკიცდება. ეს საკითხი სპეციალურადაა გამოკვლეული სხვადასხვა ჰაზის მიმართვების (საკუთარ სახელთა [53; 62], ე. წ. „მშობელთა ჯგუფის“ სახელებს, საზოგადო სახელთა წოდებითის ფორმების...) ანალიზის საფუძველზე [3]. მონობილი ფაქტები კარგად ხსნიან იმას, თუ რატომ განიზილება ერთმარცვლიანი სიტყვა წინადადების ბოლოსაგან, — განსაკუთრებით, როცა ეს სიტყვა მონაწილეობს თხრობითისაგან განსხვავებული მოდალობის მქონე წინადადებებში.

პრეპოზიციური ზმნების აბსოლუტური უმრავლესობა ინვერსიულ ზმნებზე მოდის, რომელთა სემანტიკა ძირითადად ადამიანის სულიერი განცდების ასახვასთანაა დაკავშირებული. ვინაიდან ეს ზმნები ძალზე ძველია და ცვალების თვალსაზრისით კონსერვატიულიც, სავარაუდებელია მათი სინტაქსური ყალიბების სტაბილობაც, რასაც დღევანდელი პოზიციური სურათი სათანადოდ ავლენს.

რაც შეეხება „წესიერ“, რეგულარულ ზმნებს, რომლებიც გაცილებით მოქნილი და მობილურია, მათი უმრავლესობა შეესაბამება ნეიტრალური წინადადების მოთხოვნებს შემასმენლის პოსტპოზიციასთან დაკავშირებით.

ზმნათა პოზიციის ანალიზმა აუცილებელი გახადა გარდამავლობის გათვალისწინებაც.

ინვერსიული წყობის (შემასმენელი+ქვემდებარე) შემთხვევათა უმრავლესობაში (80%) ისეთი ზმნები გვხვდება, რომლებიც იხამებენ სუბიექტს ან ობიექტს (დანარჩენ მაგალითებში ისინი მხოლოდ იგულისხმება). აქედან მხოლოდ 10%-ს შეადგენს ისეთი მაგალითები, რომლებშიც ზმნები პოსტპოზიციურ ქვემდებარეს იხამებენ, დანარჩენ შემ-

თხვევებში ზმნას ან პირდაპირი ობიექტი მოსდევს, ან — ინვერსიული ზმნის სახელი ნომინატივში. მაშასადამე, კითხვით წინადადებებში ქვემდებარისათვის პოსტპოზიცია (განსაკუთრებით, გარდამავალ ზმნასთან) არ არის დამახასიათებელი³.

ინვერსიული წყობისას გარდაუვალი და გარდამავალი ზმნების შეფარდებაა 70%:30% (შდრ. პირდაპირი წყობა, რომლის დროსაც ამ ზმნათა შეფარდება განსხვავებულია — 25%:75%).

აღსანიშნავია ისიც, რომ გარდამავალი ზმნების სუბიექტებად უფრო ხშირად ნაცვალსახელები გვევლინება. მაშინ როცა გარდაუვალ ზმნებთან ქვემდებარედ უმეტესად არსებითი სახელები გამოდიან. ჩანს; გარდაუვალი ზმნა პირთა ნაკლებობას შემორჩენილი პირის — აღმნიშვნელი (და არა მითითებითი) სახელით — სრულმნიშვნელოვანი სიტყვით ინაზღაურებს: გრამატიკული პირის ნაკლებობას ლექსიკური საშუალებით ივსებს. რაც შეეხება გარდამავალ ზმნას, მასთან ნაგულისხმევი პირები ზმნას გრამატიკულად ამღიდრებენ. ამ ფონზე კი ლექსიკური სიღარიბე რამდენადმე იჩრდილება (ამ ლექსიკურ სიღარიბეს მითითებითი სიტყვები ქმნიან), ე. ი. ხდება ზმნების გრამატიკულ და ლექსიკურ მახასიათებელთა ერთგვარი გაწონასწორება.

ზმნებისა და მათთან შეხამებული სიტყვების ამგვარი ბალანსირება წინადადების წონასწორობის დაცვის ბუნებრივი ტენდენციითაა შეპირობებული.

რაც შეეხება შედგენილი შემასმენლისა და მასთან შეწყობილ ქვემდებარის ადგილს, თანაფარდობა პირდაპირი და ინვერსიული წყობებისა ისეთივეა, რაც ზემოგანხილული ზმნების შემთხვევაში: პირდაპირი წყობა თითქმის ორჯერ აღემატება ინვერსიულს (66%:34%). უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ინვერსიული წყობით გამართულ წინადადებებში უმრავლესობაში შედგენილი შემასმენლის პრეპოზიციურ სახელად ნაწილად ჩვენებითი ნაცვალსახელი ან ჩვენებითი ზმნისართი გამოდის. მაგ.:

აქ არი, ბიძია, მარინე? (დ. კლდ., 271, 38); ეს არის ალექსი? (იქვე, 435, 14); ეგ არის თქვენი სამართალი? (ვაჟა, V, 174, 20).

სახელად ნაწილად მოკლე სიტყვების — ჩვენებითი ნაცვალსახელებისა და ზმნისართების სიჭარბე ინვერსიის დროს იმით უნდა აიხსნებოდეს, რომ შედგენილი შემასმენლის ზმნური ნაწილის „კუთვნილი“ მაღალი ტონი წინ მდგომ სახელად ნაწილსაც უნდა გადაეცეს,

³ შდრ. ფრანგული, სადაც კონსტრუქცია „შემასმენელი+ქვემდებარე“ კითხვითი წინადადების სტრუქტურული ნიშანია [69, გვ. 26].

მაგრამ ეს უკანასკნელი მაქსიმალურად მოკლე უნდა იყოს, რათა წარმატებით გაუძლოს ხმის დაძაბვას სათანადო ერთეულის ინტენსიურად და მაღალი ტონით წარმოთქმისას.

ზოგად კითხვაში შედგენილი შემასმენელი — მისი სახელადი და ზმნური ნაწილები — შეიძლება გაითიშოს. გათიშული ნაწილები ხშირად პოზიციებსაც იცვლიან.

განსაკუთრებით ხშირია ამგვარი გათიშვა-ინვერსია, როცა გვაქვს შესიტყვება თუ არა. ვინაიდან შედგენილი შემასმენლის შემთხვევაში საქმე გვაქვს ქვემდებარისა და შემასმენლის სახელადი ნაწილის სემანტიკურ გაიგივებასთან, გამთიშველიც უმეტესად ქვემდებარეა. შდრ. ინვერსიული წყობის ორი ყალიბი: 1. სახ. ნაწილი+ზმნ. ნაწილი+თუ არა+ქვემდებარე (მაგ.: „საინტერესო იყო თუ არა შენი მოგზაურობა?“); 2. ზმნ. ნაწილი+თუ არა+ქვემდებარე+სახ. ნაწილი (მაგ.: „იყო თუ არა ამინდი ხელსაყრელი?“).

პირველ ვარიანტს ამჯობინებს უმეტესად მსაზღვრელით გართულებული ქვემდებარე (წინადადების გაწონასწორების მიზნით), ხოლო მეორეს — მარტივი ქვემდებარე. ეს ბუნებრივიცაა, რადგან რიტმიკის თვალსაზრისით მეორე ვარიანტში თანამიმდევრობა პროგრესულია: პირველ ადგილზე დგას შედგენილი შემასმენლის ზმნური ნაწილი ზოგადი შინაარსისა, მას მოსდევს ქვემდებარე, ამ უკანასკნელს კი — სემანტიკურად დატვირთული, კონკრეტული მნიშვნელობის მქონე სახელადი ნაწილი.

მაშასადამე, პირველ შემთხვევაში საქმე გვაქვს ისეთ ანტიციპაციასთან⁴, რომელიც წარმოადგენს პროგრესიის ერთგვარ კომპენსაციას. და თუ ეს ვარიანტი სრული ინვერსიის მაგალითია, მეორე ვარიანტი ნაწილობრივი ინვერსიის ნიმუშს წარმოადგენს.

* * *

სამწვევრა თხრობით წინადადებაში შემასმენელს ყველაზე ხშირად ბოლოკიდური პოზიცია უქირავს. „ზოგად კითხვებში“ სურათი რამდენადმე იცვლება. თუმცა ზმნის ბოლოკიდური პოზიცია საკმაოდ ხშირია (განსაკუთრებით, თავკიდურთან შედარებით), მაგრამ შუა პოზი-

⁴ ზოგი მეცნიერისათვის ანტიციპაცია ნიშნავს სუბიექტის გაიგივებას პრედიკატივად აღმოცემულ აზრთან, და არა პირუკუ [106, გვ. 6], ზოგისათვის კი — წინამძღვარ ნიშანს, აუცილებელს მეორე ნიშნის გაგებისათვის. წყობა „საზღვრულ-მსაზღვრელი“ ანტიციპაციის ტიპობრივი შემთხვევაა [68, 187]. ანტიციპაციის საპირისპიროდ, პროგრესია გულისხმობს აუცილებელი ნიშნის პოსტპოზიციას „სინთეზურ“ და „დინამიკურ“ ენებში (მაგ., გერმანულში) ან „ანალიზურ“ და „სტატიკურ“ ენებში (მაგ., ფრანგულში [68, გვ. 214]).

ციას რამდენადმე მაინც ჩამორჩება (პოზიციათა პროცენტული შეფარდება ასეთია: 10%:47%:43%).

როგორც ჩანს, კითხვით წინადადებაში ზმნა უფრო მეტად წინადადების დასაწყისისაკენ მოიწვევს და თუ ეს პროცესი ბოლომდე არ მიდის, ეს იმ ტრადიციის მოქმედებას უნდა მიეწეროს, რომელიც ნეიტრალურ თხრობით წინადადებაში დამკვიდრდა. სწორედ ამგვარ წინადადებათა საფუძველზე ეძლევა ინვერსიის კვალიფიკაცია პოზიციათა ჩვეულებრივი ნორმიდან გადახვევას.

ა. შემასმენელი თავკიდურია:

დაივიწყა ვეფხვმა მონადირის სიკეთე? (ვაჟა, VI, 135, 1); იცნობს მარაბდელი სულხან ყოჩიაშვილს? (ჯავახ., 106, 33).

ბ. შემასმენელს შუა პოზიცია უჭირავს:

მაგისტვის დახარჯა შენი წონა ფული? (ყაზბ., 1, 447, 6); ღიმილი მოგგვარეთ, ბატონიშვილო, ჩემი მონათხრობით? (დ. კლდ., 575, 14).

გ. შემასმენელი ბოლოკიდურია:

ყინული და ცეცხლი ერთი-ერთმანეთს არ დალევენ? (ილია, 329, 9); „ეს ნიშანი შენ დაუსვიო?“ (აკაკი, 53, 16).

ოთხწევრა წინადადებაში შემასმენელთა ბოლოკიდური პოზიციის ხვედრი მცირდება, შუისა კი მნიშვნელოვნად იზრდება, რადგან, სხვა არა იყოს რა, იგი ორი პოზიციის (II და III ადგილთა) ჯამს შეიცავს. რაც შეეხება შემასმენლის თავკიდურ პოზიციას, ოთხწევრა წინადადებაში იგი თითქმის არ დასტურდება. პოზიციათა პროცენტული შეფარდებაა — 0:76% (40+36):24%. მაგ.:

ა. შემასმენელს შუა პოზიციები უჭირავს:

ესენი ეტყვიან მკვდარს შენდობას? (ვაჟა, V, 142; 12); შენც მონადირეს უწოდებ შენ თავს? (ნ. ლორთქ., 99, 19).

ბ. შემასმენელი ბოლოკიდურია:

მარი ისევ თქვენთანვე უნდა დაბრუნდეს? (ყაზბ., II, 218, 27).

სუთწევრა „ზოგადკითხვიან“ წინადადებაში (რომელიც ძალზე იშვია-

თია) თავიღიღური ზმნა საერთოდ არა გვხვდება. შუა და ბოლოკიღური პოზიციების შეფარდებაა 70%:30%.

სათანადო ცხრილებში (იხ. დანართი) წარმოდგენილია სხვადასხვა პოზიციებში წინადადების წევრთა შეხვედრის პროცენტული მაჩვენებლები (კლებადი სიხშირის მიხედვით).

• • •

საგანგებო ყურადღების ღირსია კითხვითი და სხვა ნაწილაკების პოზიციები „ზოგად კითხვებში“. ვინაიდან ნაწილაკები წინადადების წევრებს არ წარმოადგენს, აქ მათ აღარ შეეხებოდა (მით უფრო, რომ ისინი სპეციალურ ნაშრომშია განხილული [5]; იხ. აგრეთვე [16]).

§ 2. ინვერსია და ფსევდოინვერსია

ცნობილია, რომ ინვერსია გულისხმობს ჩვეულებრივი ანუ ბუნებრივი წყობის დარღვევას. კერძოდ, ახალი ქართულისათვის ინვერსიად მიიჩნევა წყობა „შემასმენელი + ქვემდებარე“, „საზღვრული + მსაზღვრელი“ და ა. შ.

ზაგრამ არცთუ იშვიათად ინვერსიის კვალიფიკაცია ეძლევა ამა თუ იმ წყობას მაშინაც, როცა მონაცვლე ვარიანტი არ ჩანს. ამ შემთხვევაში მსგავსება მხოლოდ გარეგნულია. ასეთია, მაგ., წყობა „შემასმენელი + ქვემდებარე“ პოსტპოზიციურ ავტორისეულ წინადადებაში (— გაგიმარჯოს, — მიუგო მან“ ტიპისა) და იგი რელევანტურია მოცემული ტიპის წინადადებათათვის [30].

იგივე შეიძლება ითქვას ქვემდებარე-შემასმენლის ინვერსიულ წყობის შესახებ იმ სახის კონსტრუქციებში, რომელთაც აკისრიათ თხრობაში პერსონაჟის, საგნის შემოყვანის ფუნქცია. ასეთი კონსტრუქციები განსაკუთრებით ჭარბობს მყარი კონსტრუქტურის მქონე ნაწარმოებებში, როგორცაა, მაგ., ზღაპრები (შდრ. ზღაპრების სტერეოტიპული დასაწყისი: „იყო და არა იყო რა, იყო ერთი მეფე (კაცი...)“⁵. მათ „ინტროდუქციულ წინადადებებს“ ვუწოდებთ⁶.

ამავე ფუნქციისა ჩანს „არის“, „არსებობს“ ზმნების შემცველი ფრაზები, რომლებშიც საინტერესოა არა იმდენად ამა თუ იმ საგნის

5 ეს მოკლენა მხოლოდ ქართულისათვის არ არის დამახასიათებელი. შდრ. რუსული: „Жил-был один царь“; ინგლისური: Once upon a time there was a king, თუმცა, „საერთო წესის თანახმად, S უსწრებს P-ს, როგორც არ უნდა იყოს იგი გამოხატული“ [196, გვ. 250].

6 ტერმინის საფუძველია ინგლ. introduction—შეყვანა, წარმოდგენა.

ამა თუ იმ გარემოში (დროში, სივრცეში...) არსებობა, არამედ თვით მისი არსებობის ფაქტი. ამიტომ მისი გამომხატველი წევრი წინ ინაცვლებს:

ა რ ი ს მიზეზი (ილია, 299, 5); ა რ ი ს ორნაირი სიღუბ-
ქირე (ქიქ., 192, 28—9); ა რ ს ე ბ ო ბ ს მსჯელობის მრავა-
ლი სახე (ბაქრ., 185, 12).

სტატიკური არის, არსებობს ზმნების დინამიკური ეკვივალენტე-
ბია: იქმნება, ჩნდება, იბადება... ეს ზმნებიც ანალოგიურ პოზიციურ
სურათს გვიჩვენებენ:

ი ბ ა დ ე ბ ა კანონიერი კითხვა (ბაქრ., 357, 2); ი ქ მ ნ ე -
ბ ა უცნაური მდგომარეობა (იქვე, 31,1); უ ნ დ ა შ ე ი -
ქ მ ნ ა ს ლოგიკური ფორმების თეორია (იქვე, 75, 29—30);
გ ა ჩ ნ დ ა ბაზარი (ქიაჩ., 117, 14).

იგივე ვითარება შეინიშნება ვიზუალურ-აქუსტიკურ მოქმედებათა
დასაწყისისა და დასასრულის აღნიშვნისას: „გაისმა“, „გამოჩნდა“...
„გაქრა“, „დაიკარგა“ ... აგრეთვე, ნებისმიერი მოქმედების დაწყება-გა-
თავების აღმნიშვნელ კონტექსტებში:

ი ს მ ო დ ა ფრიალი, სტვენა, ყვილ-ხვილი (ვაჟა, V,
152, 28); ა ლ ა რ ი ს მ ო დ ა მუშაკთა სიმღერა (ნინ. 572, 22—
23); მ ო ჩ ა ნ დ ა მარტოოდენ თეთრი სუდარა (ნ. ლორთქ.,
64, 15—16); ი წ ყ ე ბ ა გარემოებათა შერჩევა (ბაქრ.,
402, 8—9); შ ე ი ქ ნ ა ერთი ყვირილი (დ. კლდ., 535, 4);
გ ა ი მ ა რ თ ა ერთი აყალ-მაყალი (ნინ., 34, 21);... გ ა ქ რ ა
ქრისტიანეს მხიარულება და სიცილ-კისკისი (ნინ., 332, 25);
გ ა ქ რ ა, დ ა ი კ ა რ გ ა ჩემი „თვალამაზი“ (ვაჟა, VI, 132,
6); გ ა თ ა ვ დ ა გამოძიება (ყაზბ., II, 45, 10); დ ა ც ა რ ი -
ე ლ დ ა კრების ადგილი (იქვე, II, 505, 8).

დროის რომელიმე მონაკვეთის დადგომა-მოახლოების ან, პირუკუ,
ჯარკეული დროის გასვლის გამომხატველ კონსტრუქციებში უკუწყობა
ბა თითქმის ინვარიანტულია⁷:

დ ა დ გ ა გაზაფხული (გოგებ., V, 225, 8); დ ა ა ხ ლ ო ვ -
დ ა აგერ 1841 წელი (ნინ., 24, 17—18); დ ა დ გ ა შობის
დღესასწაულები (ნ. ლორთქ., 40, 9)... გ ა ვ ი დ ა რამდენი-

⁷ თუმცა პოეზიის ენაში რითმის საპირობებისათვის სხვა წყობაც დასაშვებია:
„თებერვალი და დგაო, ხეში წყალი ჩადგაო...“

მე ხანი (გოგებ., VI, 261, 6); გაიარა რამდენიმე დღემ
(დ. კლდ., 262, 37).

ამ სახის წინადადებებში ინვერსიული წყობა ძველი ქართული-
დან მომდინარე ჩანს. მაგ., „გამოჯდა ვანი“. თუკი „ხან“- სიტყვას
ახლავს მსაზღვრელები „დიდი“, „ქარგა“ და ა. შ., იგი პრეპოზიცია-
ში ინაცვლებს:

ქარგა ხანმა გაიარა (ქიაჩ., 203, 26); დიდი ხა-
ნი გავიდა (ჯავახ., 388, 29).

ქვემდებარე-შემასმენლის ინვერსიული წყობა ინვარიანტულია
ისეთ სტერეოტიპულ გამოთქმებში, როგორიცაა: „ლაპარაკობს თბი-
ლისი!“ „გიპატაკებთ კაპიტანი ჯაფარიძე!“ და მისთ.

უკუწყობა სისტემატურად დასტურდება წინამაველ კონტექსტში
გამოხატულ მოქმედებასა თუ საუბარზე აქტიური რეაგირების აღმნი-
შენელი „დატრიალდა“ ზმნის შემცველ წინადადებაშიც (მაგ. „და-
ტრიალდნენ ორივე ცოლ-ქმარი“, დ. კლდ., 363, 21), აგრეთვე,
რეაგირების გამომხატველ სხვა ზმნათა შემთხვევებში:

შეეშინდა საწყალ ჩიორასა (გოგებ., V, 151, 1); შე-
წუხდა ქართველობა (ილია, 420, 30—31); გარისხდა
თავადი, ეუცხოვა (აკაკი, 64, 34—35).

მაშასადამე, ინვერსიის შეფასებისას უნდა გაირჩეს ორი შემ-
თხვევა: 1. ინვერსია ვარიანტულია და ამ შემთხვევაში სხვაობა საპი-
რისპირო წყობებს შორის ნიუანსობრივია; 2. ინვერსია ინვარიანტუ-
ლია; საპირისპირო წყობა პრაქტიკულად არ არსებობს (თუნდაც ამის
პოტენციური შესაძლებლობა არსებობდეს).

აქედან გამომდინარე, ინვერსიის შესახებ მსჯელობას აზრი აქვს
მხოლოდ ფუნქციონირების ერთსა და იმავე სიბრტყეზე [82, გვ. 170].
ამიტომ ჭეშმარიტი და გარეგნული ინვერსიის გასამიჯნავად მიზანშე-
წონილია ტერმინ „ინვერსიის“ საპირისპიროდ იხმარებოდეს „ფსევდო-
ინვერსია“, როგორც გამომხატველი წმინდა ფორმალური უკუწყობისა,
რომელსაც საპირისპირო ვარიანტი სინამდვილეში არ მოეპოვება.

*
*
*

შემასმენლის წინ გადმოწევის ერთ-ერთ ხელსაყრელ ფაქტორად
ზემოთ ზმნის გარდაუვალობა იყო მიჩნეული, განსაკუთრებით კი —
ერთპირიანობა. ამგვარი ზმნები სემანტიკურად ყოფნას (ან მის ეკვი-
ვალენტურ მდგომარეობას) ანდა დროსა და სივრცეში მოძრაობა-გადა-

ადგილებას აღნიშნავენ. ამ ზმნებს აკისრიათ თხრობაში საგნის შემო-
ყვანის ან თხრობიდან მისი გაყვანის ფუნქცია (მაგ.: დაღვა შემოდ-
გომა... გავიდა ხანი...)⁸.

ერთპირიან ზმნათა ინვერსია შედარებით ბუნებრივია, რადგან ამ
შემთხვევაში ირლვევა ლოგიკური კონსტრუქცია: მოქმედი + მოქმედე-
ბა + მიზანი. ვინაიდან ერთპირიან ზმნას მუდამ აკლია მიზანი — ობი-
ექტი და მისი ადგილი, ამრიგად, ცარიელი რჩება. მოქმედისა და მიზ-
ნის ადგილთა დაპირისპირებაც შეუძლებელი ხდება. შესაბამისად, თა-
ვისუფლდება მოქმედის მეტ-ნაკლებად „ბმული“ პოზიციაც.

იდენტურ პოზიციაში სხვადასხვა სტატიკური სემანტიკის ზმნათა
მნიშვნელობები სათანადო კონტექსტებში ერთგვარად უტოლდებიან
ერთმანეთს. მაგ.: „აქ (ამ მაღაზიაში) იყო||იღვა (გარდაუვალი ზმნა)
მაგილები, სკამები...“ (ერთგვაროვანი წევრებია ქვემდებარეები). ამ-
გვარი გაიგივება განსაკუთრებით ნიშანდობლივია საგნების აღწერა-
ჩამოთვლის დროს.

მსგავს კონტექსტში სემანტიკურ სურათს არ ცვლის გარდაუვალი
ზმნების ნაცვლად გარდამავალი ზმნის გამოყენება. შდრ.: „აქ (ამ მაღა-
ზიაში) თქვენ ნახავთ (გარდამავალი ზმნა) მაგილებს, სკამებს...“ (ერთ-
გვაროვანია ობიექტები). მაშასადამე, საერთო სემანტიკა წინადადებისა
უცვლელია, იცვლება ზმნათა სტრუქტურა და სინტაქსური ყალიბი.

ის სიხშირეები, რომლებიც მიიღება თხრობითი წინადადების
წევრთა ადგილების გათვლის შედეგად, საშუალებას იძლევა ინვერსი-
ად გამოვაცხადოთ შემასმენლის პრეპოზიცია ქვემდებარის მიმართ. რაც
შეეხება პირდაპირი დამატების შემცველ შეხამებებს, ორივე წყობა
მიუთითებს მხოლოდ ამ ორი წევრის მქიდრო კონტაქტზე. მაშასადამე,
მხოლოდ სიხშირეთა გათვალისწინება არ არის საკმარისი საფუძველი იმი-
ნათის, რომ ინვერსიად შეფასდეს წყობა შემასმენელი + პირდაპირი
ობიექტი. თუ ვიხელმძღვანელებთ არა მექანიკური გათვლის პრინ-
ციპით, არამედ აზრობრივი ტიპების გამოყოფის პრინციპით, აღმოჩნ-
დება, რომ რიგ შემთხვევაში მაინც გაცილებით პერსპექტიულია გრა-
მატიკულად განსხვავებული კონსტრუქციების მიღმა არსებული შინა-
არსობრივი ანალოგიების ძებნა, ვიდრე იდენტურ გრამატიკულ კონ-
სტრუქციებში იდენტურივე აზრობრივი თანამიმდევრობის ძიება.

ამ პოზიციაზე მდგომისათვის ზემოაღნიშნული გარეგნულად გან-
სხვავებული შემთხვევები ერთ აზრობრივ სიბრტყეზე უნდა განიხი-

⁸ სიტყვათგანლაგებისათვის ზმნის სემანტიკის როლს ცხადყოფს პოლისემიური
ზმნის სხვადასხვა პოზიციაყ. შდრ.: Армия наступает და Наступает лето.
[79, გვ. 31].

ლებოდეს და ინვერსიის საკითხიც ამის კვალობაზე უნდა გადაწყდეს. აქედან გამომდინარე, ინვერსიის კვალიფიკაციისას აუცილებელ პირობად უნდა ჩაითვალოს საპირისპირო წყობათა არსებობის შესაძლებლობა გარკვეულ ტიპობრივ კონტექსტში (ამის მიხედვით ზღაპრების დასაწყისისათვის დამახასიათებელი ინტროდუქციული წინადადება „იყო ერთი კაცი“ ტიპისა კემმარიტ ინვერსიად ვერ ჩაითვლება, რადგან სხვაგვარი წყობა ამ სემანტიკის გამოსახატავად პრაქტიკულად არ არსებობს).

მაშასადამე, ინვერსიის ცნებას აზრი აქვს მხოლოდ ნებისმიერობის პირობებში, თუნდაც ეს ნებისმიერობა არათანაზომიერ პროპორციებს გვიჩვენებდეს; მეტიც: ინვერსია სწორედ რომ გულისხმობს არათანაზომიერი პროპორციების არსებობას. იგი, თუ შეიძლება ასე ითქვას, „კანონიერი ანომალიის“ ერთი სახეა.



პრეპოზიციური ზმნა, თუ იგი არ შედის შედგენილ შემასმენელში (მისი ზმნური ნაწილი უმახვილოა), ჩვეულებრივ, იძენს მახვილს, რომელიც პოსტპოზიციურმა ქვემდებარემ უნდა გააბათილოს წინადადების ბუნებრივი რიტმის შესანარჩუნებლად. ამ მიზნის განსახორციელებლად საჭირო პირობა ის არის, რომ აბსოლუტურად პოსტპოზიციური სუბიექტი ერთმარცვლიანი არ იყოს. წინააღმდეგ შემთხვევაში იგი მინიმალური ზიგრაძის გამო უმახვილო იქნება. ასეთ ვითარებაში პოსტპოზიციური სუბიექტი დაგრძელებისაკენ მიისწრაფვის წინამაგალი ატრიბუტის ან ბოლოში მავრცობი ნაწილაკის დართვით.

ამასთან დაკავშირებით აღსანიშნავია, რომ ძალდაუტანებელ დიალექტურ მეტყველებაში ერთმარცვლიანი ნაცვალსახელები თუმცა ხშირად დასტურდება აბსოლუტურ ბოლოში, მაგრამ მახვილის დაკარგვის საფრთხეს ისინი თავიდან იცილებენ რომელიმე დეიქტური ხმოვნის დართვით. (მაგ., იმერულში წინადადების, განსაკუთრებით, „ზოგადი კითხვის“ ბოლოს გვხვდება ასეთი ფორმები: ესი, ისი, შენე და შისთ. ამ მოვლენას სპეციალურ ლიტერატურაში უწოდებენ მახვილის მატარებელი ბოლო მარცვლის რეტარდაციას ანუ დახანებას, გაჭიანურებას [87, გვ. 244—245]). სწორედ ამიტომაც, რომ სალიტერატურო ქართულში ბოლოკიდურ ქვემდებარეებს შორის პირის ნაცვალსახელები (გარდა III პირის მრავლობითი რიცხვისა) ყველაზე იშვიათად დასტურდება: ინვერსიის ძირითადი შემქმნელი არსებითი სახელია⁹.

⁹ საგულისხმოა, რომ ამგვარ მომენტებს მთარგმნელობით პრაქტიკაში სათანადო ანგარიში ეწევა. მაგ., დედნის „ეპეური“ და იამბური დაბოლოების გადმოსაცემად

ინვერსია ხშირად, როგორც ჩანს, ძველი ქართულიდან მომდინარე ტრადიციის ძალით მოქმედებს. ეს განსაკუთრებით ეხება, ერთი მხრივ, მსაზღვრელ-საზღვრულისა და, მეორე მხრივ, საზღვრულისა და შემასმენლის ურთიერთობას. მაგ., შენიშნემა, რომ მე-19 ს. ზოგიერთი მწერალი (ილია, ნინოშვილი და სხვ.) მსაზღვრელ-საზღვრულის ინვერსიას მიმართავს მეტადრე მაშინ, როცა საზღვრული თავის მსაზღვრელიანად შემასმენლის მომდევნო სიტყვებია. ამ შემთხვევაში მსაზღვრელი მიისწრაფვის წინადადების მარჯვენა კიდისაკენ, რათა ხელი არ შეუშალოს სინტაგმების წრფივ განლაგებას: **ზმნა+სახელი (საზღვრული)+მსაზღვრელი**. მაგ.:

დიდხანს იტრიალა ამ ფიქრების მორევში გულმა და გონებამ ოთარაანთ ქვირვისამ (ილია, I, 449, 3—4); მთელი დღე ისმოდა შეძახილი მეთულუხჩეუბისა (შენგ., 216, 6); განსხვავებულია დამოკიდებულება მოლაპარაკისა ამ მიცვალებულისადმი (ჩიქობ., 181, 23—24).

ლიტერატურაში მითითებულია, რომ „სმენისა და გამოთქმის მომქანცველ-მომაბეზრებელი ერთგვარობის თავიდან ასაცილებლად“ ზოგჯერ ცვლიან სიტყვათგანლაგების ჩვეულებრივ ყალიბს, რის შედეგადაც შემასმენელი წინადადების ბოლოდან გადმოდის თავში ან შუაში. ამ ხერხს შეაქვს „სადსიტყვაობაში“ სამეტყველო ენერჯის გამაზოშიერებელი და გრძნობის დამატკობელი სხვადასხვაგვარობა [14, გვ. 36—37].

ამგვარივე ფაქტორი მოქმედებს მსაზღვრელ-საზღვრულის სფეროშიც. შეინიშნება, რომ, თუ სამეცნიერო მეტყველებას ახასიათებს პრეპოზიციურ ნათესაობითის ფორმათა ჩაკვი, ექსპრესიულსა და ემოციურ ელფერს შეეფერება არსებითი სახელის შემდეგ მდგომი ზედსართავის განკერძოება (ამასთან დაკავშირებით ლიტერატურაში მითითებულია, რომ საქმიან მეტყველებაში ასეთი უჩვეულო სიტყვათგანლაგება არ დასტურდება [75, გვ. 298]).

შთარგმნელს მოუხდა წინ გადაეტანა მრავალმარცვლიანი ქართული სიტყვები, ბოლოში კი — მოკლე სიტყვები, თანაც ისე, რომ ეს შეთანხმებული ყოფილიყო ქართული წინადადების ბუნებრივ წყობასთან [12, გვ. 209].

ინვერსიის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფუნქციაა ემფაჯა (მას აქტუალიზაციასაც უწოდებენ), რომელიც ასე განისაზღვრება: „წინადადების სინტაქსური სტრუქტურის შეგუება მოცემული გამონათქვამის კონკრეტულ საკომუნიკაციო მიზანთან“ [83, გვ. 34]. ე. წ. „ფაჯულტატიური ინვერსიის“ დროს, რომელშიც შეაქვთ, მაგალითად, თხრობითი წინადადების ქვემდებარის პოსტპოზიცია („ქვემდებარეს ბოლოკიდური პოზიცია უფრო გამოყოფს, ვიდრე თავკიდური“ [103, გვ. 137]), ვლინდება გამონათქვამის ავტორის სურვილი — ხაზი გაუსვას და წინ წამოსწიოს მისთვის მნიშვნელოვანი სიტყვა თუ სიტყვათა ჯგუფი. ამრიგად, წინ გადმონაცვლებული სიტყვა (სიტყვები) ექცევა წინადადების ძლიერ ინტონაციურ ნაწილში და იძენს მახვილს. ამის შედეგად ირღვევა ნეიტრალური თხრობითი წინადადებისათვის დამახასიათებელი მშვიდი დინება, რომელიც პროგრესულად მიემართება მოკლე მონაკვეთების გავლით გრძელი მონაკვეთებისაკენ. წინადადების თავში ხვავდება „მძიმე ჯგუფი“, რომელსაც მოსდევს „მსუბუქი ჯგუფი“ ამგვარი წინადადებისათვის ტიპობრივი ინტონაციითურთ. მასასადამე, ხდება არათანაზომიერ სიმძიმეთა გადაადგილება (აღნიშნული ჯგუფების „წონას“ განსაზღვრავს მათი მახვილიანობა. მძიმე ჯგუფს შეადგენს მახვილიანი სიტყვები, მსუბუქს — უმახვილო [106, გვ. 11].

ინვერსიული კონსტრუქციების ემფატიკურობაზე დიდ გავლენას ახდენს ისეთი ფაქტორის მოქმედებაც, როგორცაა შეხვედრის სიხშირე და ცვეთა. რომელიც უზუალური ყალიბებისა და ნეიტრალური კონტექსტებისათვის არის დამახასიათებელი (მათი სიხშირის რეალობას სტატისტიკური გამოთვლები ადასტურებს). ამ უკანასკნელთა ფონზე საპირისპირო და ნაკლებად ხმარებული ყალიბი ემფატიკურად აღიქმება. აქედან გამომდინარე, ინვერსიის ემფატიკურობა შექმნილი თვისება ჩანს, რამდენადაც კონსტრუქციის ემფატიკურობის გამოსავლენად საპირისპირო ფონს — ბუნებრივ კონსტრუქციებს ვიშველიებთ.

როგორც ცნობილია, ინვერსიული წყობის ხმარება ძველ ქართულში შეუდარებლად ხშირი მოვლენა იყო, ახალში იგი შემცირდა და ამდენად ინვერსიის ემფატიკურობა თანამედროვე მეტყველებაში მის განახლება-აღორძინებასთან იქნება დაკავშირებული (როგორც იშვიათი და ნაკლებ გაცვეთილი წყობისა). მიუხედავად ამისა, მაინც საფიქრებელია, რომ ინვერსია ძველ ქართულშიც უფრო ემფატიკურ გამონათქვამს იძლეოდა, ვიდრე ბუნებრივს. მხედველობაში გვაქვს, კერძოდ მსაზღვრელ-საზღვრულის ინვერსია.

მსაზღვრელ-საზღვრულიანი შეხამების ღერძს საზღვრული — სუბ-სტანტივი წარმოადგენს. იგი სინტაგმის მთავარი წევრია (მსაზღვრელი კი — დამოკიდებული). ამდენად, თუ იგი მომდევნოა, ჩნდება უნებ-ლიე მოთხოვნილება, რომ საზღვრულამდე მიმავალი გზა შემოკლდეს. მაგრამ ამ გზის გავლისათვის საჭირო ტემპიც შესაბამისად უნდა გაი-ზარდოს. ამრიგად, წარმოიქმნება პირობა წინამავალი სიტყვის ერთ-გვარად „დაუდევარი“ წარმოთქმისა, შეკუმშვისა. ამ მხრივ ნიშანდობ-ლივია ახალ ქართულში პრეპოზიციური თანხმოვანფუძიანი მსაზღვრე-ლების საზღვრულებთან შეთანხმების ე. წ. „ნაწილობრივი“ და „ეულ-გარული“ სახეობების არსებობა, ხოლო ხმოვანფუძიანთა შემთხვევა-ში — მათი ფუძის სახით არსებობა. ორივე შემთხვევა აშკარად გამო-ავლენს პრეპოზიციური მსაზღვრელის ცვეთის პროცესს¹⁰.

რაც შეეხება პოსტპოზიციურ მსაზღვრელს, იგი აღიღგენს თავის სრულ ფორმას და ისევე იცვლება, როგორც საზღვრული, რაც შეპირო-ბებულია შემდეგი ფაქტორით: ვინაიდან სინტაგმის ღერძი — საზღვ-რული — პირველად და ამიტომ დაუბრკოლებლად წარმოითქმის, მეტყველების დაჩქარების საჭიროებაც აღარ არსებობს. მასთანადე, მსაზღვრელიც შედარებით ნელი ტემპით, აუჩქარებლად წარმოი-თქმის — ახალ ინტონაციურ ტალღაზე. ეს კი ძირითადი პირობაა გაუ-ცვეთელობისა.

ინვერსიის დროს როგორც საზღვრულის, ისე მსაზღვრელის წარ-მოთქმის ტემპი თანაბრდება, თითოეული მათგანს მოეუბოება საკუ-თარი ინტონაციური ტალღა. ამიტომ გამონათქვამი დანაწევრებული და რიტმულად ორგანიზებული ხდება, მაშინ როცა პირდაპირი წყო-ბისას ეს სინტაგმა ერთიანად რეალიზდება, შესაბამისად, წარმოდგე-ნაც უფრო მთლიანია, რიტმულად კი ასეთი გამონათქვამი უფერულია. ამიტომ სავარაუდებელია, რომ ძველი ქართული თავისი სისტემის ფარგლებში რიტმულად უფრო ორგანიზებული უნდა ყოფილიყო, ვიდ-რე ახალი ქართული (მართალია, „ვეფხისტყაოსანში“ მსაზღვრელ-საზღვრულის პრეპოზიციური წყობის ნიმუშთა რიცხვი საგრძნობლად მატულობს, მაგრამ პოსტპოზიციაც კვლავ ხშირია. ამის მიზეზი, გარდა ძველი ქართულიდან მომდინარე ტრადიციისა, ლექსის საჭიროებაცაა [58, გვ. 22]).

ინვერსიისათვის დამახასიათებელი ბუნებრივი რიტმულობა ხსნის

10 ლიტერატურაში მითითებულია, რომ ზოგი პოეტი (მაგ., კარამზინი) ხშირად იყენებდა მსაზღვრელ-საზღვრულის ინვერსიულ წყობას, რათა ნარჩარად დაებოლოე-ბინა ცალკეული წევრები (ხაზ-ჩვენა. შ. ა.), წინადადებები და პერიოდები [70, გვ. 557—564]. ქართულ ენაში ამგვარი მუშაობა ჩატარებული აქვთ ვ. ბარნოვსა [34] და კ. გამსახურდიას [26, გვ. 44].

პოეზიაში ინვერსიის ფართო ხმარებას (დაწვრილებით ინვერსიის ექსპრესიული გამოყენების შესახებ იხ. [6]).

მაშასადამე, ინვერსიული წყობის ემფატიკურობა ორგვარად შეიძლება იქნეს გააზრებული: 1. ინვერსია იმთავითვე ემფატიკური იყო; 2. ინვერსიული წყობის ემფატიკურობა მეორეული მოვლენაა (როგორც შედეგი საპირისპირო წყობათა არათანაზომიერი შეფარდებისა).

რამდენადაც სინტაგმის დამოკიდებული წევრის მოძრაობა ისტორიულად პოსტპოზიციიდან პრეპოზიციისაკენ მიემართება, სავარაუდებელია იმავე საფეხურების გამოყოფა ტიპოლოგიურად, რაც გამოყოფილი აქვთ ზოგი სხვა ენისათვის (მაგ., ძველი ინგლისურისათვის): 1. ემფატიკური პოსტპოზიცია; 2. არაემფატიკური პოსტპოზიცია (გარდამავალი საფეხური) და 3. არაემფატიკური პრეპოზიცია ([106] 6).

* * *

ემფატირებული სიტყვების პოზიცია. შემასმენლის ემფაზა გულისხმობს წინადადებაში მის პრეპოზიციას, სხვა სიტყვების ემფაზა კი ხორციელდება შემასმენლის წინ გადმონაცვლებით. ემფატირებულ სიტყვებს ხშირად სხვადასხვა ნაწილაკი დაერთვის, რაც გარკვეული ნიუანსით ამღიდრებს მათს შინაარსს. ამ გზით ორგვარი ემფაზა მიიღება — ლექსიკური და სინტაქსური. ხაზგასმულ სიტყვებს განსაკუთრებით აშკარად ავლენს ელიფსი შერწყმულ წინადადებაში, სადაც გასამეორებელი სიტყვა გამოიტოვება:

თქმაც იცი და კეთებაც [იცი] (ილია, 458, 13);
ველარც დედას მოუსწრო, ვეღარც მამას [მოუსწრო]
(იქვე, 442, 36); მე ვჯობივარ, მზე [ჯობია], თუ მთვარე
ო? (აკაკი, 238, 23—24); ფეხით მოვა თეოდორა თუ
ეტლით? [მოვა] (ქიქ., 168, 9); ფერი აკლდა, თუ ხორცი
[აკლდა]? (ილია, 328, 27).

ინტონაციურად გამოკვეთილი ორი წევრისაგან, რომლებიც ერთსა და იმავე სიტყვას განეკუთვნება, ერთ-ერთი, ჩვეულებრივ, წინადადების თავშია.

ერთგვაროვანი წევრებს გათიშულად და არა მიყოლებით განლაგება მოწოდებულია უფრო მკაფიოდ გამოყოს ისინი. მიჯრით დალაგებისას ერთ-ერთი მათგანი ჩავარდნილია, როგორც აუცილებელი სპაუზო ერთეული პირველი მახვილიანი ერთეულის შემდეგ. ელიფსის დროს კი — სწორედ შემასმენლის მიერ ერთგვაროვანი წევრებს გათიშვის დროს — ორივე წევრი აქტიურდება და მახვილიანი ხდება.

პაუზას ამ დროს შემასმენელი ასახიერებს, რომელიც თავის მახვილს წინამავალ სიტყვას გადასცემს.

თავისებურ კონსტრუქციას ქმნის უკუთქმითი შერწყმული წინადადება, რომელშიც ემფატირებულ სიტყვებს არ ნაწილაკი ახლავს:

შ ვ ი ლ ი მაგას არ შერჩა და ძ მ ა (ილია, 286, 20);
მ ა მ ა ს არ უსწავლია და პ ა პ ა ს (ილია, 275, 1).

აქაც ხაზგასმულია კიდური წევრები ისე, რომ ემფატირებულია მთელი წინადადება და არა რომელიმე წევრი. პაუზის ფუნქციითაც მხოლოდ ერთი წევრი — შემასმენელი კი არ გამოდის, არამედ მისი შემცველი მთელი წინადადება. ანალოგიური სურათია, როცა კიდური ერთგვაროვანი წევრები შედგენილი შემასმენლის განსაზღვრებაა:

უ შ ვ ი ლ ო კაცი ხარ, დ რ ო უ ლ ი (ილია, 277, 30—31); ჩ უ მ ი კაცი იყო და ს ა თ ნ ო (აკაკი, 85, 18).

ემფატირებულია აგრეთვე შემასმენლის მიმართ პრეპოზიციური ჩვენებითი ნაცვალსახელები და ჩვენებითი ზმნისართები:

ი მ ა ს დაეხარით დღე-და-ღამ (ილია, 275, 25); ის გვაწოვებს ჩვენ ძუძუსა (ილია, 275, 25); იქა პდულს ძარღვებში მოარული სისხლი! იქა სცემს თითონ სიცოცხლის ძარღვიცა (ილია, 466, 36—37).

სიტყვათა გამეორების პოზიციური შესაძლებლობები. გარკვეული სტილისტიკური მიზანდასახულება უბიძგებს მთქმელს (დამწერს) გაიმეოროს მისთვის ლოგიკურად მნიშვნელოვანი სიტყვა. გასარკვევია, სიტყვის გამეორება რაიმე წესებს ემორჩილება, თუ მექანიკურ მოვლენასთან გვაქვს საქმე.

უნდა განვასხვაოთ ორი შემთხვევა:

ა. გამეორებული სიტყვა მოსდევს მის შემცველ სიტყვათშეხამებას:

წ ი გ ნ ი გეტყვის, წ ი გ ნ ი (ილია, 414, 18); მ ა რ ჯ ე ნ ი თ მიდის ჩვენი გზა, მ ა რ ჯ ე ნ ი თ (დ. კლდ., 388, 21); პ ა ტ რ ო ნ ი აქე, პ ა ტ რ ო ნ ი (დ. კლდ., 297, 17).

ამ მაგალითებში მეორდება მხოლოდ ის სიტყვა, რომელიც შემასმენლის წინ დგას (ეს წესი ეხება არა მარტო სრულმნიშვნელოვან სიტყვებს — წინადადების წევრებს, არამედ დამხმარე სიტყვებსაც:

ნ უ გრცხვენია, ნ უ! (დ. კლდ., 543, 8); ა რ მინდა, ა რ ა!
(იქვე, 256, 38); ვ ე რ მოვკალი, ვ ე რ ა? (დ. კლდ., 520,
15—16).

სიტყვათგამეორების ასეთი წესი კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს იმ ფაქტს, რომ ლოგიკურად მნიშვნელოვანი სიტყვები თავსდებიან უშუალოდ შემასმენლის წინ, თვით შემასმენელი კი მეორდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მას შეხამებაში პირველი ადგილი უჭირავს:

მ ო ვ შ ო რ დ ე თ აქაურობას, მ ო ვ შ ო რ დ ე თ (დ. კლდ., 556, 9—10); და ე წ ყ დ ი თ პირდაპირ, და ე წ ყ დ ი თ (ო. იოს., 82, 23—24); — ვ მ ა დ ლ ო ბ უფალს, ვ მ ა დ ლ ო ბ!
(დ. კლდ., 537, 15).

ბ. გასამეორებელი სიტყვა უსწრებს შეხამებას:

ფ უ ლ ი, ფ უ ლ ი წარმოადგინეთ და თავისუფალი იქნებით (დ. კლდ., 544, 32); — გ ო უ ლ ე თ ... გ ო უ ლ ე თ მაგ შეჩვენებულს კიშკარი (დ. კლდ., 394, 15).

როგორც მაგალითებიდან ჩანს, პირველად წარმოთქმული იზოლირებული სიტყვა ტონის მიმცემია მომდევნოსათვის, რომელიც შესიტყვების ერთი ელემენტატაგანია. ამ უკანასკნელის სემანტიკური წონა იმითაც იზრდება, რომ უშუალოდ შემასმენელს უძღვის წინ, შემასმენელს კი ემფატირებისათვის პრეპოზიციის გარდა არავითარი სხვა საშუალება არ სჭირდება: პრაქტიკულად არ დასტურდება ისეთი შემთხვევები, რომ მეორდებოდეს შემასმენლის მომდევნო წევრი ან პოსტპოზიციური შემასმენელი.

შენიშნული კანონზომიერების ასახსნელად მახვილიანი მარცვლის ანალოგია გამოდგებოდა: ისევე, როგორც სიტყვაში არ შეიძლება ზედღიზედ მიმყოლი ორი მარცვლის მახვილიანად წარმოთქმა (მათ შორის ერთი მარცვალი მაინც უნდა იყოს უმახვილო, როგორც პაუზის განხორციელება), ასევე ფრაზაშიც ლოგიკური მახვილის მქონე სიტყვებს შორის საჭიროა მინიმუმ ერთი სიტყვა მაინც, როგორც პაუზა.

ასეთივე ბუნებრივი ტენდენცია მოქმედებს გამეორებულ ერთეულებს შორის მიმართვის ჩასმისას:

— დ ე ვ ი წ ვ ი თ, ბატონო, დ ე ვ ი წ ვ ი თ! (დ. კლდ., 447, 20); — ბ ე ვ რ ი ა, შენ გენაცვალე, ბ ე ვ რ ი (დ. კლდ., 447, 31).

პოსტპოზიციურ სიტყვათაგან მხოლოდ შედგენილი შემასმენელი შეიძლება გამეორდეს, უკეთ, მისი სახელადი ნაწილი, რომელსაც მთლიანი ფრაზისაგან მიმართვა თიშავს:

ჩვენი აქ დარჩენა სიკვდილია, ოტია... სიკვდილი (დ. კლდ., 546, 9); ეს გადაწყვეტილია, დედი, გადაწყვეტილი! (იქვე, 8-9).

მაშასადამე: ამა თუ იმ ერთეულის გამეორებისათვის მთავარი და აუცილებელი პირობაა ამ ერთეულის პრეპოზიცია: აბსოლუტური (შემასმენლისა) ან რელატიური (სხვა წევრისა შემასმენლის მიმართ). ბუნებრივი ტენდენცია კვლევაში ვლინდება, რომ დუბლეტები მინიმუმ ერთი სიტყვით მაინც უნდა გათიშული. ამ ტენდენციის აუცილებლობას ასუსტებს გამეორების მუდმივად თანმხლები ბუნებრივი პაუზის არსებობა, ხოლო ამავე ტენდენციის მოქმედებას აძლიერებს მახვილთა განწილების საერთო წესის თანამიმდევრულად განხორციელების ტრადიცია.

§ 4. დრო, როგორც სიტყვათა მათრგანიზებელი წინადადებაში

შეინიშნება, რომ გარკვეულ სიტყვათა საპირისპირო სემანტიკურ-გრამატიკული ჯგუფები გავლენას ახდენენ წინადადების დინებაზე. ამ თვალსაზრისით ერთ სიბრტყეზე შეიძლება განვიხილოთ სხვადასხვა მეტყველების ნაწილთა ის ფორმები, რომლებიც ერთმანეთს „უანტონიმდებიან“ დროის მიხედვით. ეს მეტყველების ნაწილებია: განუსაზღვრელობითი ნაცვალსახელები და ზმნისართები, ზმნები და მიმღეობები.

საინტერესო სურათს გვიჩვენებენ -ლაცა და -მე ნაწილაკებიანი ნაცვალსახელები და ზმნისართები, რომლებიც უშუალოდ ზმნა-შემასმენელთან ქმნიან სინტაგმებს. როგორც ირკვევა, ეს ორი რიგი ნებისმიერად და ერთნაირად კი არ ეხამება შემასმენელს, არამედ მისდევს გარკვეულ წესებს:

1. -ლაცა ნაწილაკიანი სიტყვები მაგალითების აბსოლუტურ უმრავლესობაში წარსული დროის ფორმებთან გვხვდება, მაშინ როცა -მე ნაწილაკიანი სიტყვები ძირითადად მოპავლის ფორმებს შეეხამება [24, გვ. 8]. 2. -ლაცა ნაწილაკიანი სიტყვები ჰარბობს თბრობით წინადადებაში, ხოლო -მე ნაწილაკიანები — სხვა მოდალობის, განსაკუთრებით, კითხვით წინადადებაში. 3. -ლაცა ნაწილაკიანი სიტყვები უსწრებენ შემასმენელს, -მე ნაწილაკიანები — მოსდევენ მას. შდრ.:

ვილაცამ წაიბორძიკა მეწისქვილის ფეხზედ (ილია, 473, 24); არჩილს ამ სიტყვებისათვის სადღაც და როგორღაც უური მოეკრა (იქვე, 464, 24—25); გული ... რაცაცას ლამობდა, საითღაც იწვედა (იქვე, 416, 35—36).

და:

განა უნახავს სადმე? (ილია, 359, 16); დავდინჯდები, ოღონდ მიშველე რამე! (იქვე, 303, 6—7); ნეტა თითონ ჰქონდეს რამე მაინცა! (იქვე, 273, 40).

როგორ შეიძლება ამ ფაქტების დაკავშირება და შეთანხმება?

შეიძინევა, რომ საერთოდ ინვერსია (აქ: შემასმენლის პრეპოზიცი) არათხრობითი მოდალობის — კითხვითი და ბრძანებითი — წინადადებებისათვის არის დამახასიათებელი. ამდენად, a priori მოსალოდნელია, რომ, თუ რომელიმე ელემენტი ან ფორმა სისტემატურად გარკვეული სახის წინადადებებში შეგვხვდება, იგი შეძლებისდაგვარად შეეგუება ამ სახის წინადადებებში მოქმედ წესებსაც. კერძოდ, რადგან -ღაცა ნაწილაკიანი ფორმები თხრობით წინადადებებს ახასიათებს, წინასწარ სავარაუდებელია მათი პრეპოზიცია ზმნა-შემასმენლის მიმართ. ასევე, -მე ნაწილაკიანი ფორმების სიჭარბე კითხვითსა და ბრძანებით წინადადებებში განაპირობებს ამ ფორმათა ხშირ პოსტპოზიციას ზმნის მიმართ.

მაგრამ მხოლოდ წინადადების მოდალობა როდი განსაზღვრავს ინვერსიას. დიდი მნიშვნელობა აქვს თვით ზმნის ფორმათა ნაირსახეობას. სახელდობრ, სიტყვათგანლაგებისათვის გადამწყვეტ ფაქტორად ხშირად დროითი სემანტიკა გამოდის. ირკვევა, რომ წარსულის ფორმები (უწყვეტელი, წყვეტილი, თურმეობითები) მიისწრაფვის წინადადების მარჯვენა კიდისაკენ, ხოლო მომავლის სემანტიკის მქონე ფორმები (მყოფალი, ბრძანებითი და კავშირებითები) — საპირისპირო მიმართულებით — წინადადების მარცხენა კიდისაკენ. რამდენადაც ნეიტრალურ თხრობით წინადადებაში შემასმენლის ბუნებრივ პოზიციად ბოლოკიდური პოზიცია მიიჩნევა, საფიქრებელია, რომ ნორმატიული და პირდაპირი რიგიც ნეიტრალური წინადადებისათვის სწორედ ეს რიგია. ვინაიდან შემასმენლის ლტოლვა მარჯვენა განაპირისაკენ ზმნაში ნამყო დროის გამოხატვასთანაა დაკავშირებული, წინადადებაში პირდაპირი რიგის უზრუნველსაყოფად ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პირობაა ზმნის ნამყოს (ან აწმყოს, ყოველ შემთხვევაში, არა მომავლის) ფორმათა ხმარება.

მაშასადამე, წინადადების წევრთა პოზიციების გარკვევისას ამოსავალი აქაც შემასმენლის პოზიციია. მყოფალის (პრეპოზიციურ) ფორ-

მასთან შეხამებული -მე ნაწილაკიანი ნაცვალსახელები და ზმნისართე-
ბი, როგორც წესი, პოსტპოზიციურია, ხოლო წარსულის (პოსტპოზი-
ციურ) ფორმებთან შეხამებული -ლაცა ნაწილაკიანი სიტყვები პრეპო-
ზიციური იქნება, — კონტაქტურად თუ დისტანციურად, ამას არსები-
თი მნიშვნელობა ამ შემთხვევაში არა აქვს.

საგულისხმოა ის ფაქტიც, რომ, როცა სიტყვა „კაცი“ იხმარება
განუსაზღვრელობითი ნაცვალსახელის მნიშვნელობით (= ვინმე), ზმნის-
წართქმით ფორმასთან იგი პოსტპოზიციურია (მაგ.: „იქ ბევრ რამეს
ნახავს კაცი“), ხოლო თუ უარყოფითი ნაცვალსახელის როლს ასრუ-
ლებს (= არაფინ), მაშინ ზმნის უკუთქმითი ფორმის მიმართ იგი პრე-
პოზიციური იქნება (მაგ.: „კაცს არ უნახავს; არაკაცი იქ არ მივა“...).

როცა საუბარი ეხება მომავლისა და წარსულის ფორმებს, ივარაუ-
დება არა წმინდა ფორმა, არამედ, უწინარეს ყოვლისა, მასში ჩადე-
ბული დროითი შინაარსი. ამიტომაც წარსულს ფორმებში, ისევე რო-
გორც მომავლისაში, იგულისხმება რამდენიმე ფორმა, შესაბამისი
დროითი გაგების შემცველი.

თუ თხრობითი წინადადება, როგორც პოზიტიური ინფორმაციის
გადმომცემი აზრობრივი ერთეული, ნეიტრალური შინაარსის შესაძენად
ზმნის ნამყოს ფორმებს იშველიებს, ლოგიკურია დაეუშვათ საპირის-
პიროც: მომავალი დროის ფორმათა კავშირი არათხრობითი მოდალო-
ბის წინადადებებთან¹¹.

საერთოდ, მომავალი დროის ზმნური ფორმის შემცველი წინადა-
დება თავისთავად არანეიტრალურია. პირველ ყოვლისა, ეს შეეხება
ბრძანებითის ფორმას, რომლის წარმოთქმის ინტონაცია თხრობითი წი-
ნადადებს წარმოთქმის ინტონაციას მნიშვნელოვნად სცილდება და
უპირისპირდება კიდევ მას. ეს დაპირისპირება იმითაც გამოიხატება,
რომ ირღვევა თხრობითი წინადადებისათვის დამახასიათებელი რიგი
და იქმნება ტენდენცია მისი საწინააღმდეგო მიმართულებით წარმარ-
თვისა.

რაც შეეხება კავშირებითის ფორმებს, ისინი ისეთი მოდალობის
გამომხატველნი არიან, რომელშიც გათვალისწინებულია სურვილი,
ნატერა, ეჭვი და ა. შ. ყველა ეს მომენტი სუბიექტურია და ამიტომ
აქაც ხელი ეწყობა ინტონაციურად არანეიტრალური წინადადების
წარმოქმნას, რომელიც ნეიტრალურ თხრობით წინადადებას, ინტო-
ნაციასთან ერთად, სიტყვათგანლაგებითაც უპირისპირდება.

¹¹ სპეციალურ ლიტერატურაში ამ დროს აფასებენ, როგორც თხრობითი კი-
ლოს დროს, თუმცა გამოკვეთილი მოდალური მნიშვნელობით. მომავლის ცნება მუ-
დამ იწვევს ემოციურ მოძრაობებს. ეს დრო ბევრ ენაში აფიქსებით გამოიხატება
[78, გვ. 237].

ბრძანებითა და კავშირებითის ფორმათა წინ გადმონაცვლება შედარებით ადვილი ასახსნელია: ბრძანებითი მიმართვის ფორმები, ერთი მხრივ, და კავშირებითის ფორმები, მეორე მხრივ, რომლებსაც არაიშვიათად ახლავს ნატერის, ექვის და ა. შ. გამომხატველი ნაწილაკები. უფრო ემოციური წინადადებისათვის არის დამახასიათებელი, რის გამოც ინვერსიული რიგის ხმარება ამ შემთხვევაში ბუნებრივია.

რაც შეეხება თხრობითი კილოს მყოფადის მწკრივის ფორმათა წინ გადმონაცვლებას, ესეც თხრობითი წინადადებისათვის დამახასიათებელი ნეიტრალობის დარღვევით უნდა აიხსნას. მომავალში შესასრულებელი მოქმედება — როგორც ჭერ არარეალიზებული — ინტონაციურად მოკლებულია მტკიცებით, დარწმუნებით ხასიათს, ნიშანდობლივს სხვა დროთა. განსაკუთრებით, ნამყოს ფორმათა შემცველი წინადადებებისათვის. როგორი დარწმუნებითაც და კატეგორიულადაც არ უნდა თქვას მოსაუბრემ, რომ ის განახორციელებს ამა თუ იმ მოქმედებას, ამით რეალურად, ასე ვთქვათ, საქმე წინ არ წავა, მოქმედებისას საწყისი არ უჩანს. იქმნება შთაბეჭდილება, თითქოს მომავლის ფორმების შემცველი წინადადება თავისი რეალიზაციის შუა გზაზეა შეჩერებული და მოქმედების სისრულის ნაკლებობას განიცდის. ამიტომ ნათქვამიც ლიტონ განცხადებად იქცევა. აღნიშნული ნაკლებობა თუ უკმარობა აისახება ინტონაციაში, რომელიც შორდება წარსულის ფორმების შემცველი წინადადების წარმოთქმის ინტონაციას და უახლოვდება ბრძანებითის, ძახილის, სხვანაირად — არანეიტრალურ, ემოციური წინადადების წარმოთქმის ინტონაციას. ნიშანდობლივია, რომ ეპიკური ხასიათის ნაწარმოებებში, სადაც თხრობითი მომენტია წინ წაგოწეული, უპირატესად წარსულის ფორმებით არის მოქმედება გადმოცემული [12, გვ. 203, 206]. შდრ. ლირიკისათვის დამახასიათებელი აწყყოსა და მყოფადის ფორმები, რომლებიც ესოდენ ხშირად გვხვდება მიმართვებში, რიტორიკულ კითხვებში და ა. შ., რაც გარესამყაროსთან პოეტის უშუალო კონტაქტის დამყარების ერთ-ერთ ენობრივ საშუალებას წარმოადგენს.

იმის საბუთად, რომ მომავალი დრო წინადადების ნეიტრალურ ხასიათს არღვევს, ის ფაქტიც გამოდგებოდა, რომ II პ. მყოფადის ფორმა მარტივ წინადადებაში ბრძანებითის ფორმად, იმპერატიულ მიმართვად აღიქმება, თანაც, ისეთ კატეგორიულ ბრძანებად, რომელიც არავითარ შეკამათება-შეპასუხებას არ იწყნარებს, მეტიც — არც კი ითვალისწინებს მას. დამახასიათებელია, რომ კატეგორიულობისა და თანამოსაუბრის მხრივ გაუსაჩივრებლობის ხაზგასამეღად II პ. მყოფადის ფორმებს ხშირად ახლავს ისეთი ჩართული, რომელიც, ჩვეულებრივ. ბრძანებითის ფორმას ახლავს: „უღაპარაკოლ!“ „მორჩა და გათავდა!“ და ა. შ. (მაგ.: „არსადაც არ წახვალ, მორჩა და გათავდა“). მათი იმპე-

რატიული ინტონაცია გრაფიკულად სათანადო სახეები ნიშნით — ძახილის ნიშნით ფორმდება¹².

თუმცა თანამედროვე ქართულში ზმნის განვითარებული მორფოლოგიური სტრუქტურის წყალობით ინტონაციას არ აკისრია დროის ფორმათა მადიფერენცირებული ფუნქცია (თუ მხედველობაში არ მივიღებთ ბრძანებითისა და აორისტისათვის დამახასიათებელ შემთხვევას), მომავლის ფორმას მაინც აქვს მიდრეკილება თან იახლოს მალალი ტონი და, ამასთანავე, ისეთ პოზიციაში მოექცეს, რომელიც მას მაქსიმალურად გამოავლენდა. ასეთი ძლიერი ინტონაციური პოზიცია კი წინადადების დასაწყისია. მომავლის სემანტიკის მქონე ზმნა წინადადების ბოლოში ნაკლებ სავარაუდებელია. მართლაც, გაანალიზებული მასალის მიხედვით, მომავლის შინაარსის შემცველი ზმნები, ჩვეულებრივ, წინადადების დასაწყისისაკენ მიისწრაფვიან. ამ ბუნებრივი ტენდენციის განხორციელებას ეს ზმნები სრულად (შედარებით მოკლე წინადადებაში) ან ნაწილობრივ მაინც (უფრო ვრცელ წინადადებაში) ახერხებენ.

მომავალი დროის ეს უნივერსალური ექსპრესიული ხასიათი გამოვლენილი აქვს ე. ვანდრიესს. თავისი გამოკვლევის [71] ერთ თავში, რომელიც სპეციალურად აფექტური ენის საკითხებს ეძღვნება, ავტორი მყოფადს განიხილავს იმ კატეგორიებს შორის, რომლებიც განსაკუთრებით ადვილად იღებენ ექსპრესიულ ფუნქციას. ერთმანეთს უპირისპირდება წარსული და მომავალი არა მარტო დროითი სივრცის მიხედვით, არამედ ხასიათის მიხედვითაც. წარსული, ვანდრიესის აზრით, ობიექტური დროა, რამდენადაც იგი ჩვენზე არ არის დამოკიდებული და ჩვენ არანაირად არ შეგვიძლია ვიმოქმედოთ მასზე. როგორც იტყვიან, იგი ისტორიული დროა. ხოლო მომავალი სუბიექტური დროა, რომელიც „სავსეა შესაძლებლობათა ილუმინაციებით... და გულისხმობს ლოდინს, სურვილს, შიშს, იმედს. როცა ვამბობ, „ხვალ მე ამას გავაკეთებ“, ამ ფრაზას გარეგნოსავე იმ სუბიექტური ატმოსფეროთი, რომელიც ჩემს თვალწინ ამდიდრებს მას სხვადასხვა ელფერიით

¹² ჩანს, ზმნის მომავალი დროის ფორმათა ასეთი ქცევა საერთოენობრივი და არა კერძოქართული მოვლენა უნდა იყოს. ეს თავისებურება უფრო აშკარად გამოიკვეთება სხვადასხვა ტომის (მაგ., ამერიკელი ინდიელების) ენებში. ე. სეპირს შენიშნული აქვს, რომ ტონი, ინტონაცია გამოიყენება გრამატიკული ფუნქციით — ომოფორმულ ერთეულთა განსასხვავებლად. მაგ., სუბიექტი, ობიექტი, მყოფადის ფორმები მაღალი ტონით წარმოითქმის, ობიექტი, ნამყოს ფორმები — დაბლით [90, გვ. 63]. ამგვარი ომოფორმულობა თანამედროვე ქართულშიც შეინიშნება, სადაც ნამყო სრულისა და ბრძანებითის ფორმები ერთმანეთს ემთხვევა (გამონაკლისა „მოხვედი“ და „მოდი!“). ამჟამად ისინი მხოლოდ ინტონაციურადაა დიფერენცირებული, ძველ ქართულში კი ნამყოს თავისი გამათვრებელი ჰქონდა (შდრ.: მოხვალ = უკვე მოკალი, და: მოკალ!).

ოსე რომ მოცემული ფრაზა დაჰყავს ამ შინაარსზე: მე მინდა (ან: თანახმა ვარ, განზრახვა მაქვს...), რომ გავაყეთო“ [71, გვ. 147]. საილუსტრაციოდ ავტორს მოჰყავს კიდევ სათანადო მაგალითები სხვადასხვა ენიდან (ჩინური, ბერძნული, ინგლისური...), სადაც მყოფადის ფორმები იყენებენ „სურვილის“ აღმნიშვნელ მოდალურ ზმნებს.

ამ ფაქტებს თავისებურად ეხმარება ძველი ქართულის ფაქტი: კავშირებითის ჩნარება მყოფადის ფუნქციით. ახალ ქართულშიც ამ კილოს ფორმებს თუმცა მხოლოდ გარკვეული მოდალობის აღნიშვნის ფუნქცია აქვს, მაგრამ მასში მაინც გამოსწევის მომავლის შინაარსი.

მომავალი დროის ფორმათა მიერ გარკვეული ადგილის ამორჩევა რომ დამახასიათებელია ქართულისათვის, ამას მოწმობს მიმღეობათა ჩვენებაც. კერძოდ, მყოფადის მიმღეობის შემცველი შედგენილი შემასქენლის უპირატესი პოზიცია თავკიდურია (არსებითი მნიშვნელობა არა აქვს იმას, გაზედსართავებულია თუ არა მიმღეობა). მაგ.:

ს ა ო ც ა რ ი ა ბ რ ბ ო ს ჰ ი პ ო ნ ო ზ ი (აკაკი, 73—74);
ს ა კ ვ ი რ ვ ე ლ ი ა ა მ ა დ ა მ ი ა ნ ს ბ ე დ ი (ნ. ლორთქ., 483, 36);
ს ა ი ნ ტ ე რ ე ს ო ა მ ს ჯ ე ლ ო ბ ა თ ა ე ქ ვ ი ვ ა ლ ე ნ ტ ო ბ ის ს ა კ ი თ ხ ი
(ბაქრ., 245, 34);
ს ა ჭ ი რ ო ა მ ა თ ი უ რ თ ი ე რ თ ო ბ ის გ ა რ კ ვ ე ვ ა
(ჩიქობ., 89, 5—6).

ილუსტრაციების გამრავლება კვლავაც შეიძლებოდა, მაგრამ დებულების ნათელსაყოფად ჩამოთვლილი ნიმუშებიც იკმარებს. აღვნიშნავთ მხოლოდ, რომ თავკიდურ პოზიციაში ანალოგიური წარმოების სხვა მიმღეობებიც დასტურდება: შესაძლებელი, საყურადღებო, მოსახსენებელი, საშინელი, საზარი, საამო, სასაცილო და მისთ.

სპეციალური ლიტერატურის მიხედვით და საკუთრივ ქართული მასალის შესწავლის საფუძველზე იკვეთება სამი დამატებითი საშუალება მყოფადის ფორმების ხაზგასასმელად: 1. ინტონაცია, 2. სიტყვათგანლაგება, 3. ინტონაცია და სიტყვათგანლაგება ერთად.

მომავლის სპეციფიკის მაჩვენებლად ძირითადად ინტონაციაა მიჩნეული, ხოლო იქ, სადაც სიტყვათგანლაგებაზეა ლაპარაკი, იგულისხმება მხოლოდ ბრძანებითი ფორმის პრეპოზიცია (მხედველობაში გვაქვს, კერძოდ, რუსული ენის გრამატიკა [92; 95]). ამ შემთხვევაში, როგორც ჩანს, ყურადღება გამახვილებულია ბრძანებით კილოზე, და არა მომავალ დროზე, ვინაიდან მომავლის სხვა ფორმების ვითარება ზრულიად უგულვებელყოფილია.

ქართული ენა ამ ფონზე სპეციფიკურ სურათს იძლევა: წინადადების დასაწყისისაკენ ინაცვლებს არა მარტო ზმნა და არა მარტო ბრძანებითი კილოს ფორმა, არამედ მომავალი დროის მიმღეობებიც

და მომავლის შინაარსის მქონე ყველა ზმნური ფორმა (მყოფადი, ბრძანებითი, კავშირებითი).

მაშასადამე, მომავლის ფორმების აბსოლუტური თუ რელატიური პრეპოზიცია ქართული წინადადების რელევანტურ ნიშნად თუ არა, ტრადიციულ, უზუალურ პოზიციებად მაინც უნდა ჩაითვალოს. რაც შეეხება ინტონაციას, იმპერატივის მუდამ და აშკარად ახლავს მაღალი ტონი, მაგრამ თვითდაკვირვება არ იძლევა იმის საშუალებას, ზუსტად განვსაზღვროთ, მომავლის გაგების მქონე ყველა ფორმას ახლავს სათანადო ტონი თუ არა. ყოველ შემთხვევაში, მთლად მოკლებულნი რომ არ არიან ისინი ტონის სიმალდეს, ამას მოწმობს ინტონაციური სხვაობა ნამყო სრულსა და ბრძანებითს შორის.

ენიდან ინტონაციასა და სიტყვათგანლაგებას ამ შემთხვევაში ერთი ფუნქცია აკისრია¹³, თითქოს მოსალოდნელი იყო მათი სწორხაზოვანი მონაცვლეობა. მაგრამ, როგორც ჩანს, ინტონაცია და სიტყვათგანლაგებაც ქართული ენის ისეთ სფეროს ეკუთვნის, რომლებიც ერთმანეთს კი არ გამოირიცხავენ, არამედ გულისხმობენ. ამიტომ ამ ორი საშუალების ურთიერთკომპენსაცია სრული და „უნაშთო“ სახით ქართულში არ ხდება.

ერთი რამ კი უდავო ჩანს ქართულისათვის: დროის სემანტიკურ კატეგორიას ქართულ წინადადებაში გარკვეული აზრით სიტყვათა და თვით წინადადების მაორგანიზებელი ფუნქცია ეკისრება. იგი ტონის შიმცემია (ამ გამოთქმის პირდაპირი და გადატანითი მნიშვნელობით) როგორც ცალკეული სიტყვებისათვის (მათი განლაგების თვალსაზრისით), ასევე მთელი წინადადებისათვის (მისი ინტონაციის თვალსაზრისით). აღნიშნული კატეგორიის ამგვარი გაგება გარკვეულ პერსპექტივას უსახავს წინადადებაში სიტყვათგანლაგებისა და მასთან დაკავშირებული საკითხების კვლევას.

§ 5. ს ი ტ ყ ვ ა თ გ ა ნ ლ ა გ ე ბ ა ა ე ტ ო რ ი ს ე უ ლ რ ე მ ა რ კ ა შ ი

პირდაპირ ნათქვამს წინ უძღვის ან მოსდევს ავტორისეული სიტყვები, რომლებიც წარმოგივლდენს ამ ნათქვამის ავტორს ან საუბრის თანმხლებ სიტუაციას.

იმის მიხედვით, უსწრებს თუ მოსდევს ავტორისეული სიტყვები

¹³ კ. პაულის აზრით, წინადადების ტიპების განმასხვავებელი ნიშანია არა სიტყვათგანლაგება, არამედ ინტონაცია. სიტყვათგანლაგება უფრო გვიანდელი შენაძენია [88, გვ. 161].

პირდაპირ ნათქვამს, იცვლება სიტყვათგანლაგება ავტორისეულ რემარკაში [30; 92, გვ. 431; 86, გვ. 28, 37].

პირდაპირი ნათქვამის წინამავალ წინადადებაში შემასმენელს აბსოლუტურად პოსტპოზიციური ადგილი უჭირავს. მაგ.:

ბუცე: მა ჩამოვარდნილი სიჩუმით მაშინვე ისარგებლა და ისევ დაიძახა: — გაუმარჯოს ჩვენ ბათას (შენგ., 424, 31); ფართოდ გაშლილ ცაცხვის ქვეშ თავშეყრილ გლეხკაცებში ჩამქდარი მაღალი ტანის ახალგაზრდა მღვდელი გაცხარებით ლაპარაკობდა: — განა მე თვითონ არ მაწუხებს ასეთი ჩემი მდგომარეობა?... (დ. კლდ., 428, 2—5).

ვინაიდან ამგვარი მაგალითები შეადგენს პრეპოზიციურ ავტორისეულ წინადადებათა აბსოლუტურ უმრავლესობას, მათი ჩამოთვლა საჭირო არ არის. უნდა აღინიშნოს კი, რომ, როგორც არ უნდა იცვლებოდნენ წინადადების სხვა წევრები პრეპოზიციურ რემარკაში, შემასმენელი თითქმის ყოველთვის ბოლოკიდური იქნება.

რაც შეეხება პოსტპოზიციურ ავტორისეულ წინადადებას, სიტყვათა დალაგების წესი მასში ინვერსიულია [85, გვ. 28, 37]: შემასმენელი თავკიდური პოზიციისაკენ მიისწრაფვის (ერთადერთი წევრი, რომელიც შეიძლება აღმოჩნდეს შემასმენლის წინ, ვითარების გარემოებაა. როგორც შემასმენელთან ყველაზე მჭიდროდ დაკავშირებული წევრი). ვინაიდან ეს წესიც მყარია და თითქმის უგამონაკლისო, ნიმუშებად მხოლოდ რამდენიმე მაგალითი იქნება დასახელებული, რომლებშიც შემასმენელს სხვადასხვა წევრი შეეხამება: ქვემდებარე, დამატებები და გარემოებები:

— დავწვათ, ამოვავდოთ მაგის ძირი! — გუგუნებდა ხალხი (ქვემდებარე) (ნ. ლორთქ., 161, 20); — აგრეა! მართალია! — მიაძახეს არსენას (ირიბი დამატება) ყოველ მხრივ (ადგილის გარემოება) (ჯავახ., 224, 18); — წავიდა! — წავიხურჩულე ჩემთვის (ვითარების გარემოება) (ნ. ლორთქ., 325, 4).

მოყვანილ მაგალითებში ზმნა მეტყველების სემანტიკის მატარებელია. მაგრამ აუცილებელი არ არის რემარკის ზმნა ყოველთვის მეტყველების აქტს აღნიშნავდეს: იგი შეიძლება იყოს მეტყველების თანმხლები მოქმედების გამომხატველიც. მაგალითად (სიმოკლისათვის მხოლოდ რემარკის ზმნაა მოყვანილი):

— მანიშნა ცისკენ (ილია, 280, 35); — წამოვარდა კარპიჩა (ჯავახ., 223, 35); — იფიქრა დედამ (ილია, 448, 10); — გაიკვირვა გულში (ილია, 454, 26).

საგულისხმოა, რომ ამგვარი ზმნები პირდაპირ დამატებას არ შეიწყობენ, ხოლო თუ ეს უკანასკნელი მაინც გვაქვს, იგი თვითონ უნდა იყოს მეტყველების ელემენტის აღმნიშვნელი. მაგ.:

— მისცეს პ ა ს უ ხ ი (ილია, 407, 15): — მოუქუქერ ს ი ტ ყ ვ ა თამამად (ილია, 301, 36—37); — გავაგრძელე სიტყვა და დაეკრაქუნე კბილები (ილია, 299, 14); — გამაწყვეტინა ს ი ტ ყ ვ ა (ილია, 301, 34).

ყველა ამ შემთხვევაში პირდაპირი დამატება შემასმენელთან ლექსიკალიზებულ შესიტყვებას ქმნის. ეს გარემოება საგანგებო აღნიშვნის ღირსია: პირდაპირი დამატება, თუ ის არსებითი სახელითაა გამოხატული. „მეტყველება-წრის“ ზმნებს ვერ შეეხამება. შეუხამებლობის მიზეზი ისაა, რომ ზმნას უკვე ახლავს პირდაპირი დამატება პირდაპირი თუ ირიბი ნათქვამის სახით. ასე რომ, მასზე მხოლოდ მითითებდა შეიძლება, მითითება კი ჩვენებითი ნაცვალსახელით ხორციელდება. ამიტომაც, რომ „მეტყველება-წრის“ ზმნებთან პირდაპირი დამატება მხოლოდ ნაცვალსახელით შეიძლება იყოს გამოხატული. ჩვეულებრივ კი ამგვარ კონსტრუქციებში პირდაპირი დამატების „გაუჩინარების“ ტენდენცია იგრძნობა [17, გვ. 192].

საპეციალურ ლიტერატურაში სათანადოდ არის აღნიშნული ის, რაც ზემოთ ითქვა ავტორისეული წინადადების შემასმენლის პოზიციის შესახებ [30, გვ. 472—474], მაგრამ ფაქტს გააზოგადება აკლია: ავტორისეული რემარკის შემასმენელი და პირდაპირი ნათქვამი უშუალოდ უკავშირდებიან ერთმანეთს. არსებითი ის კი არ არის, შემასმენელი იწყებს თუ ამთავრებს ავტორისეულ წინადადებას, პრეპოზიციურია თუ პოსტპოზიციური ნათქვამის მიმართ, არამედ ის, რომ შემასმენელი განუყრელია პირდაპირ ნათქვამთან: თუ პირდაპირი ნათქვამი მოსდევს ავტორისეულ რემარკას, შემასმენელი უშუალოდ წინ უძღვის ნათქვამს, ხოლო თუ რემარკა მოსდევს პირდაპირ ნათქვამს, შემასმენელი უშუალოდ მოსდევს მას¹⁴. მაშასადამე, არსებითია პირდაპირი ნათქვამისა და შემასმენლის კონტაქტური ურთიერთობის ფაქტი. ამგვარი

14 შემასმენლის პრეპოზიცი და ქვემდებარის პოსტპოზიცი ავტორისეული წინადადების რელევანტურ ნიშნად მოაჩნიათ [69, გვ. 72]. ამასთან დაკავშირებით საინტერესოა, რომ ინგლისურში ნაცვალსახელით გამოხატული ქვემდებარე უსწრებს ზმნა-შემასმენელს (მაგ.: — she said), ხოლო არსებითი სახელით გამოხატული — მოსდევს (მაგ.: — said the lady [98, გვ. 78]); რუსულსათვის იხ. [74, გვ. 7].

ამგვარი კონსტრუქციების ხმარება სტილისტიკური მიზნით სრულიად არ არის გამორიცხული. ნორმის დარღვევა ზეპირ მეტყველებასაც მიეწერება, რომელშიც მისი იმპროვიზაციული ბუნების გამო ინვერსია შენარჩუნებული არ არის [68, გვ. 233].

ურთიერთობა სავესებით იმეორებს და შეესაბამება პირდაპირი ობიექტსა და შემასმენლის კონტაქტური ურთიერთობის ფაქტს.

ამრიგად, გვაქვს სიტყვათა ორი თანამიმდევრობა: 1. წინადადების ნებისმიერი წევრი (წევრები) + აუცილებელი წევრების ჯგუფი (შემასმენელი + პირდაპირი ნათქვამი) და 2. აუცილებელი წევრების ჯგუფი (პირდაპირი ნათქვამი + შემასმენელი) + წინადადების ნებისმიერი წევრი (წევრები). ცვალებადია მხოლოდ ნებისმიერ წევრთა შემადგენლობა, რომელთა ადგილმონაცვლეობაც ამ ჯგუფის ფარგლებში ხდება. შლრ.:

— მოსთქვამდა ქ ვ ი თ ი ნ ი თ კ ე ს ო (ილია, 480, 20),

და:

— მითხრა მ ღ ვ დ ე ლ მ ა დ ა ლ ო ნ ე ბ ი თ ა (ილია, 294, 27).

აქ ქვემდებარე და ვითარების გარემოება ადგილებს უცვლიან ერთმანეთს.

რაც შეეხება მეორე ჯგუფს, მისი შედგენილობა უცვლელია. ცვალებადია მხოლოდ ამ ჯგუფის ელემენტთა რიგი იმისდა მიხედვით, პრეპოზიციურია პირდაპირი ნათქვამი, თუ პოსტპოზიციური. შლრ.:

რა დროს ხუმრობაა? — მი უ გ ო ბესარიონმა (დ. კლდ., 318, 27—28); თქვენ მწერალი ხართ? — დ ა მ ე კ ი თ ხ ა მოქანდაკე (ნ. ლორთქ., 325, 21).

და:

პლატონი მივიდა რიკულებთან და გაჯავრებით გა და ს-
ძახა: — რა ღმერთი გიწყობა, კირილე! (დ. კლდ., 392, 26—
28); არსენამ კი მი უ გ ო: — შენი გულის ნადები მესმის,
დათუნი (ჯავახ., 214, 29).

მაშასადამე, შემასმენლისა და პირდაპირი ნათქვამის პოზიციურ სიახლოვეს უნდა განსაზღვრავდეს ის გარემოება, რომ პირდაპირი ნათქვამი „მეტყველება-წრის“ გარდამავალი ზმნის პირდაპირი ობიექტის როლს ასრულებს, ეს უკანასკნელი კი ზმნასთან კონტაქტურად დაკავშირებული წევრია (ამ ერთეულთა პოზიციური სიახლოვის ფაქტს ეხმაურება რთულ ქვეწყობილ წინადადებაში პრეპოზიციური მთავარი წინადადების შემასმენლის კონტაქტური პრეპოზიციის პირდაპირდაბ-ტებითი დამოკიდებული წინადადების მიმართ).

იმ შემთხვევაშიც კი, როცა პირდაპირ ნათქვამს მოსდევს არა „მეტყველება-წრის“, არამედ სხვა სემანტიკის მქონე ზმნები (იხ. ზემოთ: მანიშნა, გაიკვირვა, წამოვარდა, იფიქრა...), აშკარაა, რომ, ელიფსის მიუხედავად, აღნიშნული წრის ზმნები მაინც იგულისხმება. მათი

შემცველი ზმნებიც მხოლოდ იმიტომ დგას პირდაპირი ნათქვამის შემდეგ, რომ შექმნას „მეტყველება-წრის“ ზმნების მონაწილეობით აგებული მყარი კონსტრუქცია ანალოგიურ კონტექსტებში.

თუ „მეტყველება-წრის“ ზმნას მოსდევს საკმაოდ მოზრდილი სიუჟეტიანი პასაჟი, კომპოზიციურად შეკრული და მთლიანი, ზმნა-შემასმენელსა და პირდაპირ დამატებას (პირდაპირი ნათქვამით გამოხატულს) შორის მეტისმეტად იზრდება დისპროპორცია სიდიდე-სიგრძის თვალსაზრისით. ამიტომ ზმნა იჩენს დამხმარე დამატებას, რომელიც ლექსიკური აღმნიშვნელია მომდევნო ვრცელი პირდაპირი ნათქვამისა. ამ შემთხვევაში ეს დამხმარე დამატება უშუალოდ წინ უძღვის ძირითადს და ისე შეეფარდება მას, როგორც მთავარი წინადადების მისამართი სიტყვა დამოკიდებულს: მეორე წარმოადგენს პირველის ვრცელ განმარტებას. ზემოთქმულის დადასტურებაა ცნობილი ფორმულები წიგნში „სიბრძნე სიცრუისა“, რომლებიც თითქმის ყოველ სიუჟეტურ ამბავს წინ უძღვის. მაგ.: „თქვა (რუქამ) არაკი“. კონკრეტულ სიტყვას — „არაკს“ უშუალოდ მოსდევს თვითონ არაკი, ამბავი.

როგორც ზემოთ აღნიშნა, ავტორისეულ რემარკაში ყველა წევრის პოზიცია შეიძლება შეიცვალოს, გარდა შემასმენლისა. სხვა წევრთა ადგილების მონაცვლეობისას შეინიშნება გარკვეული ტენდენციები, მაგრამ მათ შორის ერთი ყველაზე მკაფიოდ გამოკვეთილია: თუ ავტორისეულ წინადადებაში რომელიმე წევრი გართულებულია ატრიბუტით, ანდა შეხამებულია ერთგვაროვან წევრთან, იგი, როგორც წინადადების მძიმე ნაწილი, ბოლოსკენ მიისწრაჟვის მაგ.:

— უთხრა გულმკერდ მოღერებულმა მოჯამაგირემ (ილია, 435, 1—2); — მიპასუხა იმან თამამად და გულმაგრად (იქვე, 319, 2); — კვითხავდი ჩემ თავს ტკივილითა და წუხილითა (იქვე, 312, 34); — კვლავ მიუბრუნდა გიორგი გაწყვეტილს სიტყვას (იქვე, 462, 2—3).

ამავე ტენდენციის გამოხატულებაა „პრედიკატული განსაზღვრების“, განკერძოებული განსაზღვრებისა და გარემოებების აბსოლუტური პოსტპოზიციისადმი სწრაფვა:

— ძლივ-ძლივობით გამოსთქვა გიორგიმ, ისევ კესოზედ თვალ-გაჩერებულმა (ილია, 461, 38—39); — უთხრა კესომ გიორგის, კარებში გაშეშებულსავით ატუზებულს (იქვე, 454, 18—19); — მივატანე მეც იმის ქცევისაგან გულგახარებულმა (იქვე, 286, 25—26).

ზემოთქმული იმას ადასტურებს, რომ ამა თუ იმ ერთეულის გაზრდილი სივრცე და პოსტპოზიციურობა ერთმანეთის ხელშემწყობ პირობებს წარმოადგენს. ამ ფონზე ნიშანდობლივია, რომ შეთანხმებულ მსაზღვრელთაგან პრეპოზიციისადმი მიდრეკილება აქვს სემანტიკურად და ფორმალურად გაცვეთის გზაზე მდგომ მსაზღვრელებს, რომელთაგან აღსანიშნავია მოკლე ერთეულების — ნაცვალსახელების (განსაკუთრებით, ჩვენებითის) პრეპოზიცია, შედარებით „მუდმივი“ და ამდენად გაცვეთილი, საზღვრულთან განუყრელი მსაზღვრელის პრეპოზიცია (როგორცაა, მაგ., წოდება-თანამდებობის აღმნიშვნელი სიტყვები).

თუ ავტორისეული წინადადება შერწყმულია შემასმენლის მიხედვით, პირველი ნაწილის სიტყვათგანლაგება უპირატესად მოქმედებს მეორისაზე, სახელდობრ, ეს ითქმის შემასმენლის პრეპოზიციის შესახებ. მეორე (და მესამე) შემასმენელი, რომელიც არ განეკუთვნება „მეტყველება-წრეს“, აღმოჩნდება ამ წრეში შემავალი ზმნის პოზიციაში — წინადადების თავში. მაგ.:

— ვ უ პ ა ს უ ხ ე მე, წ ა მ ო ვ უ დ ე გ ფ ე ხ ზ ე დ და ჩ ა მ ო ვ ა რ თ ვ ი გამოწვილი ხელი (ილია, 251, 11—12); — უ თ ხ რ ა პ ე ტ რ ე მ და მ ი ა წ ო დ ა წ ი გ ნ ი (იქვე, 415, 4); — დ ა ა ტ ა ნ ა კ ე ს ო მ და ჩ ა მ ო ა რ თ ვ ა ს ი ტ ყ ვ ა ლ ი მ ი ლ ი თ (იქვე, 450, 41—42).

* * *

იმის საბუთად, რომ შემასმენლის ბოლოკიდურობა არ არის აუცილებელი, სპეციალურ ლიტერატურაში ზოგჯერ მოჰყავთ ავტორისეულ რემარკაში შემასმენლის პრეპოზიციის ნიმუში [32; 94]. მაგრამ ამ ტიპის წინადადებაში შემასმენლის პრეპოზიცია იმავე სიბრტყეზე არ დგას, რაც სხვა დანარჩენ შემთხვევებში: ავტორისეულ რემარკაში შემასმენლის პრეპოზიცია აუცილებელია, და არა ერთ-ერთი შესაძლო ვარიანტი ნებისმიერი თავისუფალი წყობისა. ამიტომ აუცილებელი და ნებისმიერი განლაგება დიფერენცირებულად უნდა განიხილებოდეს და არა ერთად. აქედან გამომდინარეობს ინვერსიისა და „ფსევდოინვერსიის“ გამიჯვნის საკითხიც (იხ. ზემოთ სათანადო ქვეთავი § 2). ვინაიდან პოსტპოზიციურ ავტორისეულ რემარკაში ინვერსიული წყობაა ერთადერთი და აუცილებელი, ამ შემთხვევაში შეიძლება ვილაპარაკოთ მხოლოდ მთელი რემარკის და არა მისი შემასმენლის პრეპოზიცია-პოსტპოზიციის შესახებ.

ენობრივ ფორმულებში, უწინარეს ყოვლისა, იგულისხმება ენაში მზა სახით არსებული მყარი გამონათქვამები: წყევლისა და დალოცვის ფორმულები (ე. წ. „ფიცილის ფორმულები), ხვეწნა-მუდარის, მისალმება-გამომშვიდობების, ალერსის ფორმულები..., იდიომატური გამოთქმები, პლეონასტური გამოთქმები და მისთ. (ქართული ანდაზების ენა ამ თვალსაზრისით შესწავლილია [37]).

აღნიშნული ფორმულები და გამოთქმები, ჩვეულებრივ, ამჟობინებენ ვარიანტების მინიმალურ რაოდენობას. ასე, მაგალითად, თუმცა შილოცვის ფორმულებში პრინციპულად დასაშვებია შემასმენლის პოსტპოზიცია, მაგრამ უფრო გავრცელებული ვარიანტი შემასმენლის აბსოლუტურ პრეპოზიციას გულისხმობს: გილოცავ ახალ წელს, მომილოცავს შვილის გაბედნიერება...

ფიცილის ფორმულებში წინ წამოიწევა ფიცის ობიექტი. ამიტომ მისი გამომხატველი სახელი ზმნა-შემასმენლის წინ ექცევა: პათიოსნეხას||ხინდისს გეფიცები (შდრ. სხვა ვარიანტში: უხინდისო||უნამუსო ვაყო), შენს თავს ვფიცავარ (=შენ ნუ მომიკვდება), დედას ვფიცავარ (=დედა ნუ მომიკვდება) და მისთ.

ალერსის ფორმულებში, თუ ზმნას ორი პირი შეეწყობა ქვემდებარისა და დამატების სახით, ქვემდებარე შემასმენლის შემდეგ დგას, დამატება კი — წინ: შენ გენაცვალოს ჩემი თავი (||შენ კი დაგენაცვლე), შენ შემოგველოს დედაშენი (||შენ შემოგველე). შდრ. უკუწყობა მზაობის გამომხატველ გამოთქმაში: ჩემი თავი შენ გენაცვალოს!

სპეციფიკურია „ქონა“ ზმნით გამოხატული ზმნა-შემასმენლის პოსტპოზიცია აბსტრაქტული სახელის მიმართ: თუ სახელი დადებითი სემანტიკისაა, ზმნაც წართქმითი ფორმით იხმარება. ხოლო უარყოფითი სემანტიკის სახელთან — უკუთქმითი ფორმით. შდრ.:

ღეთის წყალობა ბევრი გვაქვს (ილია, 348, 14—15).

და:

ვაი არა აქვს ლუარსაბსა (ილია, 342, 15).

ასეთივეა: თქვენი რისხვა არა მაქვს და მისთ. შდრ.:
თქვენი რისხვა ნუ მომეცემა. ისინი არიან, სწორედ ისინი! ვიცანი! (აკაკი, 134, 13—14).

სტერეოტიპულ გამოთქმებში შედგენილი შემასმენლის ზმნური ნაწილი აგრეთვე პოსტპოზიციურია:

კაბა ჩემ კისერზედ იყოს (ილია, 361, 19); ბატონო
ბ რ ძ ა ნ დ ე ბ ი თ! (აკაკი, 139, 31); კაბაც შენი ჳირის სა-
ნაცვლო იყოს (ილია, 361, 18).

პლეონასტურ გამოთქმებში იდენტური ფუძის შემცველი სიტყ-
ვები, ჩვეულებრივ, ფრაზის კიდებზეა განლაგებული, ყოველ შემთხვე-
ვაში, მათ შორის ერთი სიტყვა მაინც ჩაერთვის (სრულმნიშვნელოვანი
თუ დამხნარე). როგორც წესი, ამგვარ გამოთქმებში მოქმედებითი
ბრუნვის ფორმით წარმოდგენილი მასლარი პრეპოზიციურია, ზმნა-შე-
მასმენელი კი — პოსტპოზიციური:

ჳ ა მ ი თ ისინი ვერა სჳამენ, ს მ ი თ ისინი ველარა
ს მ ე ნ (ილია, 327, 27—28); ა ს ვ ლ ი თ განა ჩვენ კი ვერ
ა ვ ი დ ო დ ი თ? (აკაკი, 139, 35).

სტერეოტიპულ გამოთქმებს სტაბილობას სძენს ზმნათა ფორმების
სიმყარეც. მაგ., აწმყოში დგას „ცოდნა“ ზმნა, რომელიც პოსტპოზი-
ციურია ქვემდებარის მიმართ: ახლა მე ვიცო და ჩემმა კაცობამ: აბა,
შენ იცი... ამავე ზმნასთან (და მის სინონიმთან „უწყის“) ფიცილის
ფორმულებში ხშირად მონაწილეობს ზოგი ისეთი სახელი, როგორი-
ცაა ნატერისა და მისთ. სიტუაციების მიუცილებელი ატრიბუტები —
ღმერთი, ეშმაკი და სხვ. ეს სახელები პრეპოზიციურია ზმნის აწმყოს
ფორმებს მიმართ: ღმერთმა იცის (||უწყის), ეშმაკმა იცის (ამ სახე-
ლებს რიტორიკულ კითხვებში კითხვითი ნაცვალსახელი ვინ ენაცვლება:
ვინ იცის!). მაგ.:

ღ მ ე რ თ მ ა ნ ი ცის, იქნება სწორედ ეგრე იყოს (ილია,
383, 37); ე შ მ ა კ მ ა ი ცის იმისი თავი და ტანი (იქვე, 451,
16).

ღმერთ-სახელთან ყოფნა ზმნის შემცველი შედგენილი შემასმე-
ნელი შეიძლება პრეპოზიციურიც იყოს და პოსტპოზიციურიც — იმის
მიხედვით, თუ რომელი იდეა მოცემულ კონტექსტში უფრო მთავარი:
სუბსტანტივისა თუ ატრიბუტივისა (სხვანაირად — ლოგიკური მახვი-
ლის მიხედვით). მაგრამ ორსავე შემთხვევაში ღმერთი პრეპოზიციუ-
რია. შდრ., ერთი მხრივ:

ღ მ ე რ თ ი მოწყალეა, ბედი ჩვენკენ არის (აკაკი, 158,
32); ღ მ ე რ თ ი გულთამხილავია (ილია, 417, 5—6); ღ მ ე რ-
თ ი ძლიერია (იქვე, 281, 19).

მეორე მხრივ:

ღ მ ე რ თ ი ა მოწყალე (ილია, 285, 32—33); ღ მ ე რ-
თ ი არის ყველას მფარველი (იქვე, 285, 34).

ლოცვის ფორმულებში გვხვდება ზმნის მყოფადი დროის ფორმები აგრამც ნაწილაკთან (ასეთი შეხამება იმ ტრადიციის გამოძახილი უნდა იყოს, რომლის მიხედვითაც -მც(ა) ნაწილაკიანი ზმნა თხრობითი კილოს ფორმებთან იხმარებოდა). მაგრამ ნაწილაკი და ზმნა უშუალო მეზობლობაში კი არ არიან, არამედ მათ შუა ქვემდებარე ჩაისმის (და ეს ქვემდებარე ხშირად ღმერთ-სიტყვითაა გამოხატული):

ა გ რ ე მ ც ღ მ ე რ თ ი გ ა დ ა გ ი ხ დ ი ს ლ ა რ ი ბ ი ს გ ა -
კ ი თ ხ ე ი ს ს ა მ ა გ ი ე რ ო ს (ილია, 286, 11); ა ი, ა გ რ ე მ ც ღ მ ე რ -
თ ი მ ა გ ა ხ ე დ უ ფ რ ო მ ე ტ ს დ ი დ ე ბ ა ს დ ა პ ა ტ ი ე ს მ ო გ ვ ც ე მ ს
(იქვე, 337, 38—39); ა გ რ ე მ ც ჩ ვ ე ნ ი ნ ა თ ე ლ - მ ი რ ო -
ნ ო ბ ა დ ლ ე გ რ ძ ე ლ ო ბ ა ს მ ო გ ი მ ა ტ ე ბ ს, შ ე ნ ი კ ვ ნ ე ს ა მ ე
(იქვე, 337, 9—10).

განსაკუთრებით ხშირად მონაწილეობს მყარი გამოთქმების შექმნაში პირველი თურმეობითის ფორმები, რომლებიც წინადადებაში ბოლოკიდურია:

— მ ე კ ი მ ი ყ ი ვ ლ ი ა დ ა... (ილია, 305, 40—41); — გ ა შ
შ ე ნ პ ი რ შ ი გ ე მ ო ა რ ა გ ქ ო ნ ი ა (იქვე, 399, 31); — ა რ ა,
გ ე თ ა ყ ვ ა, მ ე მ ა გ ს ა ქ მ ე შ ი ხ ე ლ ი დ ა მ ი ბ ა ნ ი ა (იქვე, 360, 1);
ღ მ ე რ თ ს შ ე ნ თ ე ი ს გ ო ნ ე ბ ა, გ უ ლ ი მ ო უ ც ი ა (იქვე, 281,
17—18).

ფიცილის ფორმულებისათვის მეტად დამახასიათებელია მეორე (როგორც უფრო ძველი) სერიის ფორმები. წყევლის ფორმულებში ნამყო სრული და II კავშირებითი ერთმანეთს დაუბრკოლებლად ენაცვლება. მაგრამ ნამყო სრულის ფორმით წარმოდგენილი ზმნა-შემასმენელი დალოცვის ფორმულებში პრეპოზიციას ამჯობინებს:

დ ა ი ლ ო ც ა ღ მ ე რ თ ი, დ ა ი ლ ო ც ა ი მ ი ს ს ა მ ა რ თ ა ლ ი !
(ვაჟა, IV, 14, 33); დ ა ი ლ ო ც ა . დ ე თ ი ს ს ი ძ ლ ი ე რ ე (ილია,
285, 25—26), დ ა ი ლ ო ც ა ღ მ ე რ თ ი, დ ა ი ლ ო ც ა ჩ ვ ე ნ ი
ს ა ლ ო ც ა ე ვ ე ბ ი... (ვაჟა, IV, 85, 23).

ასეთივე წყობა გვაქვს, როცა ფორმულებში ჩვენებითი ნაცვალსახელი ის მონაწილეობს (მაგ.: დაილოცა ის დღე! — ილია, 273, 10). მაგრამ საკმარისია მარტივი წინადადება ქვეწყობილ კონსტრუქციად გადაკეთდეს, რომ სახელი და ზმნა ადგილებს შეიცვლიან: ის დღე დაილოცა (|| დალოცა ღმერთმა), როცა ჩვენ შევხვდით ერთმანეთს; იმ დღეს რა ვუთხარი, როცა შე გავჩნდი ამ ქვეყანაზე. შდრ.: „და იმ ბედნიერ დღეს გაუშარჯოს, როცა ჩვენ გავჩნდით ამ ქვეყანაზე!“ (ლ. ასათიანი).

რაც შეეხება კავშირებითის ფორმით წარმოდგენილ შემასმენელს, ლოცვისა და ნატვრის ფორმულებში იგი პოსტპოზიციურია, ხოლო ქვემდებარე თითქმის ყოველთვის — მეტადრე, თუ ღმერთ- სიტყვითაა გამოხატული, — თავკიდურია:

ღმერთმა ადღეგრძელოს, მამაო, თქვენი შვილი ვანო! (ვაჟა, IV, 9, 16); ღმერთმა გადაგვიხადოს სავაგიერო (ილია, 273, 5); ღმერთმა ხელი მოგიმართოს, გაგაბედნიეროს (ვაჟა, III, 518, 9); დალიე, ღმერთმა შეგარგოს, და ტბილად დაგეძინებაო! (აკაკი, 161, 13—14).

უკუთქმითი ნატვრის ფორმულებშიც ამ მხრივ ანალოგიური მდგომარეობაა:

ღმერთმა ნუ დაადუმოს ნურადროს შენი ტბილად მოუბარი ენა (ვაჟა, IV, 66,4—5); მე კი ღმერთმა ნუ შემასწროს იმ დროსა, და! (ილია, 343, 17—18); ღმერთმან ნურც ერთსა და მეორეს ნუ მოგაშოროს (იქვე, 297, 10); ღმერთმა ნუ მოგვიშალოს ყენის თავის მზე! (აკაკი, 149, 16—17).

როგორც ჩანს, ორი სხვადასხვა ნაკვთის ფორმით წარმოდგენილი ზმნების ფუნქციურ იდენტობას ამგვარ ფორმულებში რამდენადმე აბათილებს მათი პოზიციების სხვადასხვაობა: ნამყო სრულის ფორმა უფრო შეზღუდულია. იგი უპირატესად პრეპოზიციურია ქვემდებარის მიმართ. მაგ.: დასწყევლა (||დალაზვრა...) ღმერთმა! კავშირებითი კი ასე შეზღუდული არ არის (ისევე როგორც ანალოგიურ კონტექსტებში ეს ორი ფორმა იმითაც ემიჯნება ერთმანეთს, რომ ნამყო სრულის მაგივრად მუდამ შეიძლება II კავშირებითის ხმარება, მაგრამ არა პირიქით). ფორმათა ამგვარი დიფერენციაცია მოწოდებულია თავიდან აიცილოს მოსალოდნელი ორაზროვნება: თხრობით კილოში ქვემდებარე-შემასმენლის პარდაპირი წყობისას ნატვრა-ლოცვის სიტუაცია უფრო სუსტად იისახება, ვინაიდან ასეთი წყობა უპირატესად დამახასიათებელია ნეიტრალური შინაარსის წინადადებებისათვის. ამიტომ სასურველ ინტონაციას ეს ფორმა ქმნის მისთვის რამდენადმე უჩვეულო პოზიციაში გადაადგილებით. ამ თვალსაზრისით მეტად ნიშანდობლივია ვაჟას „ენობრივ ფორმულებში“ (იხ. „ვაჟას კრებული“, 1970, გვ. 237—274) დადასტურებული ფაქტი: ნამყო სრულით წარმოდგენილი ზმნები სიტყვა ღმერთთან (რომელიც ქვემდებარეა და მოთხრობით ბრუნვაში დგას) პრეპოზიციურია, ხოლო II კავშირებითის ფორმით წარმოდგენილი ზმნები — პოსტპოზიციური. საილუსტრაციოდ შეირჩა შეხა-

მება ღმერთმა უშველოს/უშველა. შეიდი აორისტის ფორმიდან შეი-
დივე პრეპოზიციურია („გოშველათ ღმერთმა“), ხოლო თხუთმეტი კავ-
შირებითის ფორმიდან თხუთმეტივე პოსტპოზიციური („ღმერთმა გო-
შველოს“). ბრძანებითის ფორმასთან კი, რომელთანაც ღმერთი წოდე-
ბითში იხმარება, ეს უკანასკნელი მუდამ პრეპოზიციურია და არას-
დროს — პოსტპოზიციური („ღმერთო, გვიშველუ“).

„მეტყველება-წრის“ ზმნები აუცილებელი სიტყვათგანლაგების
წესს ემორჩილებიან, როცა მათი პირდაპირი დამატებაა სიტყვა მარ-
თალი (და მისი სინონიმები — ნამდვილი, სწორი) ან ანტონიმები (ტყუ-
ილი, სიცრუე):

ღამიჯერე, მართალს გეუბნები (ილია, 272, 43);
მართალს ამბობს, მე და ჩემმა ღმერთმა (იქვე, 275, 30);
მართალი უნდა სთქვას კაცმა (იქვე, 270, 29—30).

აღსანიშნავია, რომ რიგი პირდაპირი დამატება + შემასმენელი
არ ირღვევა არც მაშინ, როცა მას „ზოგად კითხვად“ ვაქცევთ (ჩვეუ-
ლებრივ, კითხვაში ხშირად ინვერსიასთან გვაქვს საქმე). ამგვარი სტა-
ბილობის მიზეზი ის უნდა იყოს, რომ გამონათქვამი „მართალს ამბობ“
სხვა არა არის რა, თუ არა: „მართალი ხარ“, „სწორი ხარ“ (ან: მართა-
ლია ის, რასაც შენ ამბობ“), სადაც სიტყვა „მართალი“ და მისი სინო-
ნიმი „სწორი“ შედგენილი შემასმენლის სახელადი ნაწილია, რომელიც
მუდამ წინ უძღვოს ზმნურ ნაწილს — როგორც მტკიცებობს, ისე კითხ-
ვითს მიმართავში. ანგარიშგასაწვეია ის ფაქტიც, რომ სიტყვა „მარ-
თალ“-ის ანტონიმები, რომლებიც შეიძლება ზმნას პირდაპირ დამა-
ტებად მოევილინონ („ტყუილს ამბობს“, „სიცრუეს ამბობს“), სხვა შემ-
თხვევაში თვითონ შეიძლება ზმნებად გამოიყენებოდნენ სათანადო
ზმნური სუფიქსების დართვით (ტყუის, ცრუობს). ასე რომ, იქაც კი,
სადაც ზემოჩამოთვლილი სიტყვები პირდაპირი დამატების როლს ასრუ-
ლებენ, მათი ეს ფუნქცია ფაქტობრივ მოჩვენებითია: დამატებები ისე
შეეფარდებიან თავიანთ შემასმენლებს, როგორც ზმნის ძირი ან ფუ-
ძე — აფქსს. ამგვარი პირდაპირი დამატება შეიძლება სხვაგვარადაც
გავიზაროთ, კერძოდ, შემასმენლის მახასიათებლად — ვითარების გა-
რემოებად („სწორს ამბობს“ = „სწორად ამბობს“). ამ შემთხვევაშიც
ბუნებრივია მისი პრეპოზიცია, როგორც შემასმენლის მსაზღვრელისა
(ზემოთ ნაჩვენები იყო, რომ ზმნისწინა პოზიცია ვითარების გარემოე-
ბის უხშირესი და გაბატონებული პოზიციია).

რაც შეეხება იდიომებს, მართალია, სიტყვათგანლაგების სიმყარე,
როგორც არსებითი და აბსოლუტური ნიშანი, უარყოფილია [21, გვ-
21], მაგრამ ხშირად ენობრივი ტრადიცია, უზუსტი სწორედ ამა თუ იმ
რიგს ანიჭებს უპირატესობას, ზოგ შემთხვევაში კი ვარიანტულობა

გამორიცხულია. მაგ., ზმნური იდიომებში — თვალს წყალი დააღვეინა, ენა მუცელში ჩაუვარდა, ასი თვალი გამოიბა და მისთ. — ზმნა-შემასმენელი ბოლოკიდურია. ასევე სახელურ იდიომებში — სიტყვის კაცი, ეშმაკის ფეხი, გონების თვალი და მისთ. — მსაზღვრელ-საზღვრულის მოცემული რიგის უცვლელობა აუცილებელი პირობაა გამოთქმის იდიომურობისათვის (დაწვრილებით ამის შესახებ იხ. [4]).

როგორც გამოიჩვენა, ენობრივ ფორმულებს მიდრეკილება აქვთ, ფორმის სიმყარესთან ერთად, შექმნან გარკვეული სიმყარე სიტყვათგანლაგებაშიც. ვარიანტების რაოდენობა მინიმუმამდე დადის. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ენობრივი ფორმულები ვარიანტების ინვარიანტზე დაყვანის შედეგია — რა თვალსაზრისითაც არ უნდა განვიხილოთ ისინი — სემანტიკური, მორფოლოგიური თუ სინტაქსური თვალსაზრისით.

§ 7. ტ რ ა დ ი ც ი ა და ნ ო რ მ ა

(ძველი და ახალი ქართულის შეპირისპირების შუქზე)

ზემოთ განხილული იყო სიტყვათგანლაგება ახალი ქართულის მასალაზე. ნაჩვენები იყო; რომ რიგ შემთხვევაში ამა თუ იმ წევრის ადგილი წინადადებაში ტრადიციულია. გასარკვევია, რა ნიადაგზე აღმოცენდა აღნიშნული ტრადიცია.

მასალის ანალიზმა გამოავლინა ორი კანონზომიერება:

1. ქვემდებარის პრეპოზიცია უპირატესად გარდამავალი ზმნების შემცველ ფრაზებზე ვრცელდება, ხოლო პოსტპოზიცია ძირითადად გარდაუვალი ზმნების შემცველი წინადადებებით იფარგლება.

2. ახალ ქართულში პრეპოზიციური ქვემდებარე უფრო დიდი მანძილითაა დაშორებული შემასმენელს, ვიდრე პოსტპოზიციური, ე. ი. პირველი უფრო დისტანციურია შემასმენლის მიმართ, მეორე კი — უფრო კონტაქტური.

აღნიშნულ კანონზომიერებათა შეერთებით ვიღებთ შემდეგ დასკვნას: სუბიექტი უფრო მჭიდროდ უკავშირდება გარდაუვალ ზმნას, ვიდრე გარდამავალს.

რაც შეეხება ობიექტებს, შემასმენელთან უფრო მჭიდროდ დაკავშირებული ობიექტია პირდაპირი და არა ირიბი ობიექტი. იგივე შეფარდებაა პირდაპირ ობიექტსა და სუბიექტს შორის.

მაშასადამე, გარდაუვალი ზმნის ქვემდებარე და გარდამავალი ზმნის პირდაპირი დამატება შემასმენელთან მჭიდრო პოზიციურ კავშირს გვიჩვენებს (ამას ისიც ერთვის, რომ ნაწილობრივ მაინც იდენტუ-

რია მათი ფორმა: სუბიექტური წყობის გარდაუვალ ზმნებთან ქვემდებარე სახელობითშია, გარდამავალი ზმნის დამატება კი — სახელობითში ან მიცემითში).

ეს კანონზომიერებები შეუძლებელია შემთხვევითი ან ნებისმიერი იყოს: ისევე, როგორც სხვა შემთხვევებში, აქაც ტრადიციის ჩამოყალიბების საფუძველი ძველ ქართულშია: საძიებელი. კერძოდ, მთელრიგ მოვლენებს, რომლებიც ზემოთ იყო განხილული, კარგად ეგუება ძველი ქართულის ზოგიერთი ფაქტი.

უწინარეს ყოვლისა, აღსანიშნავია სახელობითისა და მიცემითის ფორმების სინტაქსური ძალის თანაფარდობა. როგორც ცნობილია, სახელობითის ფორმა — სუბიექტი იყო იგი თუ ობიექტი, ზმნას რიცხვში ითანხმებდა (კაცნი წავიდეს; ირემნი მოკლნა, მაშინ როცა მიცემითის ფორმას ამგვარი ძალა არ გააჩნდა.

ძველ ქართულ ტექსტებში პირდაპირი დამატების ხმარების არე ძირითადად სახელობითის ფორმითაა შემოსაზღვრული. ამავე ფორმითაა გადმოცემული რეგულარული გარდაუვალი ზმნის ქვემდებარეც.

რაც შეეხება სიტყვათგანლაგებას, აქაც გარკვეულ კანონზომიერებასთან გვაქვს საქმე: სახელობითის ფორმით წარმოდგენილი ქვემდებარეცა და პირდაპირი დამატებაც თითქმის თანაბრად პოსტპოზიციურია შემასმენლის მიმართ¹⁵.

ა. გარდაუვალი ზმნის ქვემდებარის პოსტპოზიციის ნიმუშები:

... კარად სამეფოდ წარემართა ვარსქენ პიტიახ-
ში, ძმ არშუშაჲსი (შუშ., 146, 17—18); რაჲამს ამკედრდებოდა მარზპანი იგი, აღდგეს მთავარნი ქართლისანი (ევსტ., 165, 1—2); და რაჲამს მოვიდა იგი ქართლდ, ცხონდებოდა იგი ნერსე ერისთავისა თანა და თესითა სათნობითა იქმნა იგი საყვარელ ყოვლისა ერისა... (აბო, 187, 1—3).

ბ. პირდაპირი დამატების პოსტპოზიციის ნიმუშები:

ხლოლ წმიდამან მან ცნა ზაკუეით იგი ზრანვაჲ მისი და მოიზღუდა თავი მისი მტკიცედ (შუშ., 149, 1—2);
....დაჰყუნეთ მაგათ თავი და წუერი და განუჟურიტენით

¹⁵დასკვნა ეყრდნობა რამდენიმე ძველის მონაკვეთთა ანალიზს: („წამებაჲ შუშანიისი“, „წამებაჲ ევსტათი მცხეთელისაჲ“, „ცხოვრება და წამებაჲ წმიდისა პაბოლისი“. დამოწმებულია [51]-დან); შტრ. აგრეთვე უკანასკნელი სტატისტიკური მონაცემები ძველი ქართული ძეგლების სინტაქსური ანალიზის საფუძველზე [46, გვ. 510—577].

მაგათ ცხვრნი... (ეესტ., 164, 4—5); მაშინ უდებ-ყო შჯული იგი მაჰმედისი და... შეიყუარა ქრისტე ყოელითა გულითა (აბო, 187, 13—14).

თვალსაჩინოებისათვის წარმოდგენილია სახელობითის ფორმის პრეპოზიცია-პოსტპოზიციის შეფარდებათა ცხრილები თითოეული განალიზებული ძეგლის სათანადო მონაკვეთის მიხედვით:

„შუშანიის წამება“

სახელის ფუნქცია	შ ე ო ბ ა		
	სახელი+ზმნა	ზმნა+სახელი	სულ
ქვემდებარე	18 (43,9%)	23 (56,1%)	41
პირდ. დამატება	33 (45,8%)	39 (54,2%)	72
ს უ ლ	51 (45,0%)	62 (55,0%)	113

„ეესტათო მცხეთელის წამება“

სახელის ფუნქცია	შ ე ო ბ ა		
	სახელი+ზმნა	ზმნა+სახელი	სულ
ქვემდებარე	15 (34,8%)	28 (65,2%)	43
პირდ. დამატება	31 (35,6%)	56 (64,4%)	87
ს უ ლ	46 (35,3%)	84 (64,7%)	130

„აბოს წამება“

სახელის ფუნქცია	შ ე ო ბ ა		
	სახელი+ზმნა	ზმნა+სახელი	სულ
ქვემდებარე	11 (27,5%)	29 (72,5%)	40
პირდ. დამატება	7 (12,2%)	50 (87,8%)	57
ს უ ლ	18 (18,5%)	79 (81,5%)	97

სახელის ფუნქცია	შ ე ო ბ ა		
	სახელი + ზმნა	ზმნა + სახელი	სულ
ქვემდებარე	15 (31,2%)	33 (68,8%)	48
პირდ. დამატება	23 (25,0%)	69 (75 0%)	92
ს უ ლ	38 (27,1%)	102 (72,9%)	140

როგორც ცხრილებიდან ჩანს, გარდაუვალი ზმნის სუბიექტისა და გარდამავალი ზმნის პირდაპირი ობიექტის პრეპოზიციის უმალესი პროცენტი 45%–ს არ აღემატება.

სურათი საგრძნობლად იცვლება, როცა გარდამავალი ზმნის სუბიექტი იქცევა განხილვის საგნად. ამ უკანასკნელის პრეპოზიცია უთანაბრდება ან სჭარბობს კიდევ მის პოსტპოზიციას. ნიმუშები:

ხოლო საწყალო ბელი ესე ცოლსა ითხოვდა სპარსთა მეფისაგან (შუშ., 147, 5—6); ეგრძევე ნეტარი ესე ჰაბო არცაღა ერთსა რას სიტყუასა იტყოდა კაცთა შორის (აბო, 189, 23—24); სიხარულით ყოველნივე აკურთხევდეს ღმერთსა ცოცხლებით და მშუღობით შეკრებისა მათისათჳს (აბო, 188, 25—26).

იგივე ითქმის შედგენილ შემასმენელთან შეწყობილი ქვემდებარის პოზიციის შესახებ: პრეპოზიციის შემთხვევათა რაოდენობა აღემატება პოსტპოზიციისას. ნიმუშები:

ქირი შენი ქირი ჩუენი არს და სიხარული შენი სიხარული ჩუენი არს (შუშ., 148, 19—20); თქუენი ტოზიკიცა ბნელ არს, და თქუენ, მეტოზიკენიცა, ბნელ ხართ (ეესტ., 161, 34—35); ხოლო იგი განმტკიცებულ იყო ქრისტჳს მიმართ... (აბო, 191, 4).

ამ მხრივ განსხვავება ძველსა და თანამედროვე ქართულს შორის მინიმალურია. ძირითადი სხვაობა ჩანს ქვემდებარე-დამატების საკითხში, კერძოდ, გარდაუვალი ზმნის ქვემდებარისა და გარდამავალი ზმნის პირდაპირი დამატების საკითხში.

როგორც ჩანს, დროთა განმავლობაში მოიშალა ის სისტემა, რომლის მიხედვითაც წარიან მრავლობითში დასმული სახელობითის ფორმა იწვევდა ზმნის მრავლობითის ფორმას, ე. ი. დაირღვა ის სისტემა, რომელიც იდენტურ ფორმათა იდენტურ ქცევაზე იყო აგებული. სახელობითში დასმული სუბიექტი და ობიექტი „განემ-

ზგავსნენ" ერთმანეთს. ამას დაერთო მიცემითის ფორმის სინტაქსური ძალის გაზრდა (რიცხვში შეთანხმების თვალსაზრისით).

ქვემდებარე-დამატების გათიშვა სიტყვათგანლაგებასაც დაეტყო: პირდაპირი ობიექტი, როგორც გარდამავალი ზმნის მიუცილებელი ატრიბუტი, ზმნა-შემასმენლის წინ გადმოვიდა და კონტაქტურად დაუკავშირდა მას.

გარდამავალ ზმნასთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, რომ ძველ ქართულში გარდამავალი ზმნის ქვემდებარისა და დამატების ფუნქციური დაპირისპირების ფაქტს პოზიციათა დაპირისპირების ფაქტიც ეხმაურება: პირველს უჭირავს ზმნის წინა პოზიცია, მეორეს — მომდევნო. თანამედროვე ქართულში ამ ტრადიციამ ნაწილობრივ იცვალა სახე: ორივე სახელი შემასმენელს ძირითადად წინ უძღვის, ოღონდ ქვემდებარე უპირატესად დამატების წინამავალია. სახელთა წინ გადმონაცვლებას ბუნებრივად მოჰყვა შემასმენლის უკან გადაწევა. მამასადამე, სამწევრა წინადადებაში შემასმენლის პოსტპოზიცია აბსოლუტურია: მისი ადგილი უპირატესად ბოლოკიდურს ემთხვევა.

შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ერთ-ერთი მიზეზი შემასმენლის ბოლოკიდურობისა თანამედროვე ქართულში გახდა პირდაპირი დამატების წინ (მარცხნივ) გადმოწევა.

მეორე მნიშვნელოვანი ცვლილება, რომელიც განიცადა სიტყვათგანლაგებამ და რომელიც შეიქნა ერთ-ერთი ძირითადი მიზეზი შემასმენლის ბოლოსკენ (მარჯვნივ) გადაწევისა, არის მსაზღვრელ-საზღვრულის წყობის შეცვლა.

როგორც ცნობილია, ძველ ქართულში სხვადასხვა სახის მსაზღვრელი საზღვრულის მიმართ სხვადასხვა პოზიციას იკავებს. მაგ., რიცხვითი სახელით, აგრეთვე, ზოგიერთი ნაცვალსახელით გამოხატული ატრიბუტული მსაზღვრელი, ზედსართავი სახელები „წმიდა“, „ნეტარი“ და მისთ. (წმინდანთა მუდმივი ეპითეტები) პრეპოზიციურია, ხოლო „თავისუფალი“, შემთხვევითი ატრიბუტული მსაზღვრელები, აგრეთვე წოდების, ხელობა-პროფესიისა და თანამდებობის აღმნიშვნელი მსაზღვრელები, მართულ მსაზღვრელებთან ერთად, — პოსტპოზიციური¹⁶ (იხ. აგრეთვე [46]).

მაგალითისათვის ავიღოთ: წამებაჲ წმიდისა ჰაბოჲსი. ეს ფრაზა ორ სინტაგმად დაიყოფა: წამებაჲ ჰაბოჲსი და წმიდისა ჰაბოჲსი. პირველ სინტაგმაში მთავარი სიტყვა (მმართველი) უსწრებს დამოკიდებულს

¹⁶ მსაზღვრელის პოსტპოზიცია თანამედროვე ქართულში შემორჩენილია გაქვეებულ ენობრივ ფორმულებში, როგორცაა მიმართები: შე და ლ ო ც ე რ ლ ო, შე ო ჯ ა ხ ა შე ნ ე ბ უ ლ ო..., რომლებშიც II პ. ნაცვალსახელი იკვეცს ბოლოკიდურ თანხმობას, მომდევნო პოზიციას კი აღიღგენს მთელ მარცვალს (შენა).

(მართულს), მეორე სინტაგმაში — პირუკუ: დამოკიდებული სიტყვა (შეთანხმებული) უსწრებს მთავარს (შემთანხმებელს).

ამგვარი ურთიერთობა მთავარსა და დამოკიდებულ წევრებს შორის მსაზღვრელ-საზღვრულის სინტაგმაში სისტემური ჩანს ძველი ქართულისათვის.

დროთა განმავლობაში ქართული ენა დაადგა უნიფიკაციის გზას და ყველა სახის მსაზღვრელი — ატრიბუტულიცა და მართულიც — საზღვრულის წინ მოექცა¹⁷. მაშასადამე, თუ ძველ ქართულში რამდენიმე სხვადასხვა სახის მსაზღვრელი შეიძლებოდა თითქმის სიმეტრიულადაც კი განაწილებულიყო საზღვრულის წინ და მომდევნოდ, ახალ ქართულში იმავე სახის მსაზღვრელები გარკვეული თანამიმდევრობით უნდა დალაგდნენ საზღვრულის მხოლოდ ერთ მხარეს — მარცხნივ, პრეპოზიციურად (გამონაკლისს შეადგენს ხელობისა და წოდება-თანამდებობის აღმნიშვნელი ზოგი სახელი, რომლებიც ტრადიციულად პოსტპოზიციურია, მაგრამ დამატებითი სპეციფიკური ატრიბუტის დართვისას პრეპოზიციური ხდება, ახალი ატრიბუტი კი პოსტპოზიციამში ინაცვლებს. შდრ.: თამარ მეფე, გიორგი მეფე, მაგრამ: მეფე გიორგი ბრწყინვალე... ასევეა რუსულში: Царь Иван Грозный, ინგლისურში: King Charles the First).

მსაზღვრელთა ამგვარი პოზიციური უნიფიკაცია იწვევს სიტყვათგანლაგების სტილისტიკური მხარის რამდენადმე დაკნინებას, ვინაიდან გვთავაზობს გამარტივებულ, მაგრამ ერთფეროვან რიგს ერთი მიმართულებით ჩამწყვირებული მსაზღვრელებისას. რომელთა ზედიზედ წარმოთქმისას სუსტდება მათი განსაზღვრებითი და გამომსახველობითი ძალა (რადგან ისინი სინტაგმის აზრობრივი ღერძისაკენ მიმავალ გზაზე გვხვდება).

ვინაიდან მმართველი საზღვრულები ხშირად გამოდიოდნენ და გამოდიან სუბიექტისა და პირდაპირი ობიექტის როლში, ეს უკანასკნელნი კი ძველ ქართულში უშუალოდ მოსდევდნენ შემასმენელს, ახალ ქართულში სინტაგმის წევრთა ადგილების გაცვლისას არ ირღვევა შემასმენელთან კონტაქტურობის პრინციპი, რის შედეგადაც შემასმენელი აღმოჩნდება მთელი სინტაგმის შემდეგ. შემასმენლის ბოლოსკენ გადაწევა და მსაზღვრელ-საზღვრულის წყობის შეცვლა ერთმანეთთან მჭიდრო კავშირშია, ისევე როგორც შემასმენლის მოძ-

¹⁷ შდრ. ლიტერატურაში გამოთქმული თვალსაზრისი: „...ყოველი განმმარტველი (მოქმედებისა, თუ ვითარებისა, თუ მდგომარეობისა) წინ უზის მათს მთავარს“, რაც სპობს „ორკეცი“ და „სამეცი“ პრუნების წარმოების საშუალებას [43, გვ. 166].

რაობა მარცხნიდან მარჯვნივ მკვიდროდ უკავშირდება პირდაპირი ობიექტის წინ (მარცხნივ) გადმოწევას.

წინასწარ სავარაუდებელი და პრინციპულად დასაშვებია, რომ ძველი ქართულს სისტემის ფარგლებში ამგვარივე ფუნქციური დამოკიდებულება შეიძლებოდა ყოფილიყო სინტაქსურ ურთიერთობათა და სიტყვათგანლაგებას შორის ზმნის შემცველ შეხამებათა შემთხვევაშიც. კერძოდ, ზმნა, როგორც მმართველი მიცემითში დასმული სახელისა და შეთანხმებული სახელობითში დასმული სახელის მიერ, წინ უნდა უსწრებდეს ნათ, უფორმო სიტყვებს კი უნდა მოსდევდეს. მართლაც, ძირითადი მმართველი სიტყვა — ზმნა ხშირად დასტურდება წინადადებათა თავსა და შუაში [32, გვ. 43].

ზმნისა და სახელის მართვა-შეთანხმებისა და სიტყვათგანლაგების საკითხი ძველ ქართულში სპეციალური კვლევის საგნად რჩება, მაგრამ მათი ურთიერთკავშირი ეჭვს არ იწვევს, მით უფრო, რომ იგი კარგად ეხმაურება მსაზღვრელ-საზღვრულის სინტაგმაში მომხდარ ცვლილებას: მმართველი წევრის გადასვლას პრეპოზიციიდან პოსტპოზიციაში. ეს ფაქტი, ისევე როგორც შემასმენლის გადასვლა ბოლოკიდურ პოზიციაში, ძველი სისტემის მოშლასთან დაკავშირებული უნიფიკაციის ტენდენციის გამოხატულებაა.

მაგრამ ძველი სისტემის ნაშთები დანალექის სახით — ოღონდ ფუნქციონალური მიმართებების გარეშე — მაინც შემორჩა თანამედროვე ქართულს; ამდენად იგი ძველი და ახალი ფენების ერთგვარ „მინარევს“ წარმოადგენს. განსხვავებით ძველი ქართულისაგან, რომელშიც სიტყვათგანლაგება გარკვეული ხისტემის ნიშნებს ატარებდა. ახალი ქართულის მიმართ უფრო მიზანშეწონილი იქნებოდა გველაპარაკა მხოლოდ ენობრივ უზუსტე, ნორმაზე, რომლის ჩამოყალიბების ერთ ძირითად ფაქტორად ტრადიცია არის სავარაუდებელი.

XIX ს. II ნახევრისა და XX ს. I ნახევრის ქართული მხატვრული და, ნაწილობრივ, სამეცნიერო ლიტერატურისა და პრესის ენაზე, აგრეთვე, ცოცხალ სასაუბრო მეტყველებაზე დაკვირვების შედეგად მიღებულია დასკვნები როგორც ზოგადი, ისე კერძო ხასიათისა:

აფიქსებით მდიდარ ახალ ქართულ ენაში სიტყვათგანლაგებას არა აქვს გრამატიკული მნიშვნელობა: არ მონაწილეობს სიტყვათა შორის სინტაქსური ურთიერთობის დაპყარებაში — არ აკისრია წინადადების წევრთა განმასხვავებელი ფუნქცია. ამდენად, ახალი ქართული ენის სინამდვილეში სიტყვათგანლაგება არ გამოდგება ენის სისტემის ფუნქციონალურ მახასიათებლად. სიტყვათგანლაგების საკითხი მხოლოდ ენობრივი უზუსტის, ნორმის საკითხს უკავშირდება.

გრამატიკული ფუნქციის უქონლობის პირობებში მკაფიოდ ელინდება, საკომუნიკაციოსთან ერთად, სიტყვათგანლაგების სტილისტიკური ფუნქცია.

საკვლევი საკითხის ანალიზის შედეგიანობისათვის აუცილებელი აღმოჩნდა ერთმანეთისაგან გამიჯნულიყო სხვადასხვა მოდლობის, სიგრძისა და შედგენილობის მქონე წინადადებები. გათვალისწინებულია აგრეთვე ზმნათა პირიანობა და გარდამავლობა, ერთი მხრივ, და დროულ-კილოური სემანტიკა, მეორე მხრივ.

სიტყვათგანლაგების კერძო საკითხთა შესწავლის შედეგები ასეთია:

1. წინადადების წევრთა პოზიციები თხრობით წინადადებაში.

შემასმენლის ადგილი თუმცა მკაცრად განსაზღვრული არ არის, მაინც შეინიშნება გარკვეული კანონზომიერებანი: შედარებით მოკლე (2-, 3- და 4-წევრა) წინადადებებში ჰარბობს ბოლოკიდური პოზიცია; ხუთწევრა წინადადებიდან მოყოლებული, შემასმენელი შუისკენ მისწრაფვის — უპირატესად ბოლოსწინა ან მისი წინამავალი პოზიცია უპირავს.

წინადადების სხვა წევრები შემასმენლის მიმართ განლაგებულია პრეპოზიციურად ან პოსტპოზიციურად, კონტაქტურად ან დისტანციურად. ამ პოზიციათა კომბინაციები იძლევა ოთხ ვარიანტს, რომლებიც

მეტ-ნაკლებად ავლენენ სიტყვათა შორის ძლიერ და სუსტ კავშირებს. შემსწავლელთან ყველაზე ძლიერ კავშირზე მიუთითებს ამა თუ იმ წევრის კონტაქტური პრეპოზიცია შემასმენლის მიმართ, ყველაზე სუსტ კავშირს გულისხმობს დისტანციური პოზიცია, განსაკუთრებით, პოსტ-პოზიცია. მაგრამ კონტაქტურად პოსტპოზიციური ერთმარცვლიანი სიტყვა — ნებისმიერი წევრის ფუნქციით — ერთ ინტონაციურ მთელში შედის შემასმენელთან და მის ენკლიტიკად იქცევა.

ქვემდებარისათვის ნორმა თავიძური პოზიცია მოკლე წინადადეგებში. წინადადების დაგრძელებასთან ერთად იზრდება მისი მარჯვნივ გადაწევის შესაძლებლობა. ქვემდებარესა და შემასმენელს შორის, ჩვეულებრივ, ორზე მეტი წევრის ჩართვა იშვიათია.

ქვემდებარე-შემასმენლის ურთიერთგანლაგება ნეიტრალურ თხრობით წინადადებაში შეესაბამება ლოგიკური სუბიექტისა და პრედიკატის ურთიერთგანლაგებას (S—P). უკუწყობა ძირითადად ზმნის გარდამავლობისა და სემანტიკის გათვალისწინებით იხსნება. გარდამავალ ზმნასთან ქვემდებარე თითქმის მუდამ პრეპოზიციურია, სამაგიეროდ, გარდაუვალი ზმნის სემანტიკა („გამოჩენა-გაქრობა“, „დაწყება-გათავება“, „მოძრაობა“ და ა. შ.) ხშირად იწვევს ქვემდებარე-შემასმენლის ადგილთა გაცვლას. განსაკუთრებით ნიშანდობლივია უკუწყობა ე. წ. „ინტროდუქციული“ ხასიათის წინადადეგებში („იყო ერთი კაცი“, „ოთახში შემოვიდა უცნობი ქალი“...).

პირდაპირი ობიექტის უზშირესი პოზიციაა ბოლოკიდური ან ბოლოსწინა პოზიცია, შემასმენლის მიმართ — კონტაქტურად პრეპოზიციური. ეს წევრი ვითარების გარემოების შემდეგ შემასმენელთან ყველაზე მჭიდროდ დაკავშირებული წევრია: მრავალი გარდამავალი ზმნა პირდაპირი ობიექტის გარეშე უკმარობის გრძნობას ბადებს (მათს განუყოფლობაზე მეტყველებს სპეციალურ ლიტერატურაში გამოკვლეული „ლაღად-ყო“ ტიპის ზმნათა არსებობა).

ირიბი ობიექტი შემასმენელთან „მიჯაჭვის“ თვალსაზრისით მეტი თავისუფლებით ხასიათდება. მოკლე წინადადეგებში იგი მარცხნივ მისწრაფვის, გრძელ წინადადეგებში — მარჯვნივ, ბოლოსკენ. პირდაპირი ობიექტის თანხლებისას ირიბი ობიექტი ზმნა-შემასმენლისაგან გათიშულია და წინ უსწრებს როგორც შემასმენელს, ასევე პირდაპირ ობიექტსაც. ეს გარემოება ძველი ქართულიდან მომდინარე ტრადიციის დანალექი უნდა იყოს.

უბრალო დამატება და ადგილის გარემოება ერთმანეთის მსგავს პოზიციებს გვიჩვენებს, რასაც განაპირობებს მათი ხშირი ფორმობრივი დამთხვევა: ერთი და იმავე თანდებულების დართვა. ორივე ეს წევრი ამჟობინებს განაპირა პოზიციებს: მოკლე წინადადეგებში — თავი-

დურს, გრძელში — ბოლოკიდურს. შემასმენლის მიმართ ისინი დისტანციურ პრეპოზიციას იყენებენ, კონტაქტური მეზობლობისას კი პოსტპოზიციას არჩევენ.

დროის გარემოება წინადადების ერთ-ერთი ყველაზე „ავტონომიური“ წევრია. მისი ძირითადი პოზიცია ნებისმიერი სიგრძის წინადადებაში თავიკიდურია. ამდენად, იგი დისტანციურ პრეპოზიციასთან შემასმენლის მიმართ: დროის გარემოება უფრო მთელი წინადადების განმსაზღვრელია, ვიდრე მხოლოდ შემასმენლისა. ამიტომ იგი სათანადო იზოლირებულ პოზიციას ირჩევს.

ვითარების გარემოება შემასმენელთან ყველაზე მჭიდროდ დაკავშირებული წევრია — სემანტიკურად და ფორმით. იგი ზმნით გამოხატული მოქმედების განსაზღვრებას წარმოადგენს. ძლიერია იმ ტრადიციის კვალიც, რომელიც მოსდგამდა მირთული, უფორმო სიტყვის უშუალო პრეპოზიციას შემასმენლის მიმართ. ვითარების გარემოებათაგან უფრო მოკლე და გაქვევებული გარემოება წინ უსწრებს შემასმენელს, შედარებით გრძელი და ფორმიანი კი — მოსდევს მას. ვითარების გარემოებებს პოზიციებს რამდენადმე იმეორებს ზომადელობის გარემოებაც.

მიზეზის გარემოება წინადადებაში თითქმის სრული დამოუკიდებლობით გამოირჩევა. იგი დისტანციურად უკავშირდება შემასმენელს. და, როგორც წესი, თავიკიდურ პოზიციასთან, რაც იმითაა შეპირობებული, რომ იგი უფრო მთელ წინადადებას განეკუთვნება, ვიდრე ოდენ შემასმენელს.

მიზნის გარემოება უპირატესად ბოლოკიდურია და ზმნის მიმართ კონტაქტურად პოსტპოზიციური ადგილი უჭირავს. მიზნის გარემოების ეს პოზიცია ძველი ქართულის ნაშთი უნდა იყოს: ვითარებითში დასმული სახელზმნა ინფინიტიური კონსტრუქციის შექმნისას ზმნას მოსდევდა („დაჯდა წერად“).

2. ერთგვაროვან წევრთა განლაგება. ერთგვაროვან წევრთა შორის ყველაზე ხშირად დასტურდება უბრალო დამატებათა, ადგილის, დროისა და ვითარების გარემოებათა შეხვედრა.

უბრალო დამატებათა განლაგებას შეაპირობებს მათი და ზმნა-შემასმენელთა სემანტიკა, აგრეთვე დამატებათა ფორმები. მაგ., -ში და -ზე თანდებულიანი დამატებები, რომლებიც სემანტიკით ადგილის გარემოებებს უახლოვდება, წინადადების თავში — ზმნისგან მოშორებით გვხვდება; თუკი -ზე თანდებულიანი სიტყვა „მეტყველება-წარს“ ზმნებს შეეხამება, მაშინ კავშირი ზმნასთან უფრო მჭიდროა (მაგ., „სპორტზე საუბრობენ“ || „საუბრობენ სპორტზე“).

გარემოებათაგან ზმნა-შემასმენელთან უახლოესია ის გარემოება, რომელიც ზმნით გამოხატული მოქმედების პროცესობრივი მახასია-

თებელია. ამის მიხედვით გარემოებათა სემანტიკაში გამოიყოფა „აბსოლუტური“ და „რელატიური“ მნიშვნელობები. პირველი მთელი წინადადების განსაზღვრებას წარმოადგენს, მეორე კი — მხოლოდ შემასმენლისას. დროის გარემოებათა შორის „მომენტობრივი“ ასპექტის შინაარსს მქონე ზმნისართი წინადადების მსაზღვრელად გამოდის და თავკიდურ პოზიციას იჭერს („უცებ ცა ერთიანად მოიღრუბლა“), დიურატიულისა“ კი შემასმენლის მსაზღვრელია და უშუალოდ უსწრებს მას („იმ ზაფხულს ხშირად წვიმდა“).

3. სხვადასხვა მოდალობის წინადადებათა ანალიზის შედეგად აღმოჩნდა, რომ ქართულ წინადადებაში მოქმედებს ერთგვარი წონასწორობის პრინციპი, რომელიც გულისხმობს წინადადების აგებას შემდეგი თანამიმდევრობით: მსუბუქი+მძიმე (ან, სხვანაირად: მოკლე+გრძელი) ერთეულები.

ამ თვალსაზრისით კითხვითი წინადადებების ანალიზი უფრო თვალსაჩინო შედეგებს იძლევა.

ა. „სპეციალურ კითხვებში“ შეინიშნება კითხვითი სიტყვა-წევრის ფიქსირებული პოზიცია შემასმენლის წინ, რის გამოც შესაძლებელი ხდება ამ ორი სიტყვის გაერთიანება ერთ ჯგუფში („კითხვით ჯგუფში“), რომელსაც უპირისპირდება დანარჩენი წევრებისაგან შედგენილი მეორე ჯგუფი („დადებითი ჯგუფი“). ამ ჯგუფების ურთიერთგანლაგება არსებითია „სპეციალურ კითხვაში“ სტილისტიკური ელფერის გასარჩევად. თუ კითხვა არა მხოლოდ ცნობისწადილისმიერია, არამედ, ამასთანავე, ლოგიკურად (მაშასადამე, ინტონაციურადაც) გამოყოფს ამა თუ იმ სიტყვას, მაშინ ეს უკანასკნელი წინადადების ძლიერ ინტონაციურ ნაწილში — კითხვითი კომპლექსის წინ ინაცვლებს.

„დადებითი“ და „კითხვითი“ ჯგუფების განლაგება შედარებით თავისუფალია, მაგრამ რამდენადმე ჰარბობს „კითხვითი ჯგუფის“ პრეპოზიცია. თუ ეს მძიმე ჯგუფი (მინიმუმ ორი სიტყვა) წინადადების თავში ექცევა, „დადებითი ჯგუფის“ ელემენტთაგან ბოლოსკენ მიიწევს ყველაზე ვრცელი. ამგვარ ტენდენციას ემყარება წინადადება წონასწორობის პრინციპი ქართულში. რაც უფრო მოკლე და მსუბუქია „დადებითი ჯგუფი“, მით უფრო იზრდება მისი პრეპოზიციის ხვედრი. „კითხვითი ჯგუფის“ აბსოლუტური პრეპოზიციისას გართულებული ერთეულის მოთავსება წინადადებას ბოლოში ერთგვარი საკომპენსაციო საშუალებაა წინადადების იძულებით დარღვეული წონასწორობის აღდგენისა.

მაშასადამე, კითხვითი წინადადება, განსაკუთრებით, კითხვითი სიტყვა-წევრის შემცველი წინადადება მკაფიოდ წარმოაჩენს ქართული წინადადების აგების პრინციპს, რომელიც ერთნაირად არის გატარებული სხვადასხვა ერთეულში (კომპოზიტებში, „თანწყობილ“ სინ-

ტაგმებსა და წინადადებებში). აღნიშნული პრინციპის რეალურობის დამადასტურებელია აგრეთვე „ქვეწყობილ“ სინტაგმაში (მაგ., მსაზღვრელ-საზღვრულში) დამოკიდებული წევრის ქცევა: პრეპოზიციის იგი გაცვეთისაკენ მიისწრაფვის, პოსტპოზიციისაში — აღდგენისაკენ.

ბ. „ზოგად კითხვებში“ შეიმჩნევა ერთმარცვლიანი სიტყვების გადანაცვლება თავკიდურ პოზიციისაში. როგორც ჩანს, ეს არის შედეგი იმ იმუნიტეტის მოქმედებისა, რომელიც გამომუშავებული აქვს წინადადებას საწარმოთქმო დაბრკოლებათა დასაძლევად. ვინაიდან „ზოგადი კითხვის“ ინტონაცია აღმავალია, ტონის სათანადო მოდულაციას ესაპირება მინიმუმ ორი მარცვლი ბოლოკიდურ პოზიციისაში. ამიტომ თვით ბოლოკიდური ერთმარცვლიანი სიტყვა გრძელდება ემფატიკური ან ხმოვნით ან მისი ეკვივალენტური ხმოვნებით. ამ მოვლენას განსაკუთრებით მკაფიოდ ადასტურებს ცოცხალი სასაუბრო მეტყველება.

4. შემასმენლის სწრაფვა წინადადების მარცხენა კიდისაკენ დამახასიათებელია მომავალი დროის ფორმებისათვის (განსაკუთრებით, ბრძანებითის ფორმისათვის). აღნიშნულ ფაქტს განაპირობებს ამ დროის „ექსპრესიულობა“, „სუბიექტურობა“, — როგორც მას უწოდებენ სპეციალურ ლიტერატურაში (ე. სეპირი). მომავალი დროის ფორმათა საპირისპიროდ, წარსული დროის ანუ „ისტორიული“, „ობიექტური დროის“ ფორმები წინადადების მარჯვენა კიდისაკენ მიიწევენ. საპირისპირო დროთა ფორმების პოზიციური დიფერენციაცია ჯერჯერობით ქართულისათვის დაიძებნა (ზოგიერთ ენაში, განსაკუთრებით, სხვადასხვა ტომის ენებში ინტონაცია ასრულებს გრაფიკულ, ამ შემთხვევაში, დროთა განმასხვავებელ ფუნქციას).

5. სიტყვათვანლაგების ანალიზი ავტორისეულ წინადადებაში ავლენს შემდეგ კანონზომიერებებს:

ავტორისეული რემარკის შემასმენელი, იმისდა მიუხედავად, უსწრებს თუ მოსდევს პირდაპირ ნათქვამს, უშუალო მეზობლობაშია ამ უკანასკნელთან: უშუალოდ მოსდევს, როცა რემარკა პოსტპოზიციურია, ხოლო უშუალოდ უსწრებს, როცა რემარკა პრეპოზიციურია.

ბ. ავტორისეული წინადადების რომელიმე წევრის გართულებისას (ატრიბუტივით ან ერთგვაროვანი წევრით) შეინიშნება გართულებული ერთეულის სწრაფვა ბოლოკიდური პოზიციისადმი. ამავე ტენდენციის გამოხატულებაა განკერძოებული სიტყვებისა და გამოთქმების ბოლოკიდურობა.

გ. შემასმენლის მიხედვით შერწყმულ წინადადებაში, რომელიც პოსტპოზიციურ ავტორისეულ რემარკას შეიცავს, თავკიდური შემასმენელი ტონს აძლევს დანარჩენ შემასმენლებს: ეს უკანასკნელი თავთავიანთ სინტაგმებში პირველი შემასმენლის იმიტაციით პრეპოზიცი-

ში დგებინ, რაც სინტაქსური პარალელიზმის ერთ კერძო შემთხვევას წარმოადგენს.

6. ახალ ქართულში, სადაც სიტყვათგანლაგების შედარებით თავისუფლება აფართოებს მისი სტილისტიკური გამოყენების არეს, ყურადღებას იმსახურებს ემფაზის საკითხი. ანალიზის შედეგად გამოიყო ერთეულთა ემფატიკურობისათვის ხელსაყრელი პოზიციები. იგულისხმება მათი გამოყოფა უმახვილო — ფრაზული მახვილის უკონელი — ერთეულის ჩართვით მათ შორის. გამთიშველი უმახვილო ერთეული პაუზის ერთგვარი მარეალიზებელია და წარმოადგენს ხელსაყრელ ფონს ხაზგასასმელ ერთეულთა გამოსაკვეთად.

7. ემფაზის საკითხმა, ერთი მხრივ, და ინვერსიის სტილისტიკური დანიშნულების საკითხმა, მეორე მხრივ, დღის წესრიგში დააყენა ინვერსიის ოდინდელი ემფატიკურობის საკითხიც. წარმოდგენილია მსჯელობა ინვერსიის ემფატიკურობის ორგვარი გაგების შესახებ: თუ პირველი რამდენადმე სუბიექტურია და ითვალისწინებს ინვერსიის ექსპრესიული ძალის გამოვლენას ნებისმიერი გაცვეთილი შეხამების ფონზე, მეორე გაგება გულისხმობს ობიექტურ პირობებს ემფაზისათვის: სინტაგმის დამოკიდებული წევრის პრეპოზიციას. ამის საფუძველზე გამოიყო დამოკიდებული წევრის — მსახლვრელის შემდეგი, ისტორიულად სავარაუდებელი საფეხურები: 1. ემფატიკური პოსტპოზიცია; 2. არაემფატიკური პოსტპოზიცია; 3. არაემფატიკური პრეპოზიცია.

8. ზემოაღნიშნულის მიხედვით, ახალ ქართულში სიტყვათგანლაგება ნორმის მახასიათებლად უფრო გამოდგება, ვიდრე სისტემის ფუნქციონალურ მახასიათებლად; ნორმა კი ენობრივ უზუსტს, ტრადიციას გულისხმობს. ნაშრომში მოცემულია ცდა დაიძებნოს ამა თუ იმ უზუალური სიტყვათგანლაგების საფუძველი ძველ ქართულში.

ქვემდებარე-შემასმენლისა და პირდაპირი დამატება-შემასმენლის სინტაგმების ანალიზის შედეგად გამოირკვა, რომ ძველ ქართულში ანალოგიურ პოზიციებს იკავებს იდენტური ფორმების მქონე სხვადასხვა წევრი წინადადებისა: სახელობითში დასმული ქვემდებარე გარდაუვალ ზმნასთან მიმართებით და პირდაპირი დამატება გარდამავალ ზმნასთან მიმართებით. ამ ფაქტს ეხმიანება ნომინატივის თანაბარი სინტაქსური ძალა ქვემდებარესა თუ პირდაპირი ობიექტის მიერ რიცხვში ზმნის შეთანხმების თვალსაზრისით.

ახალ ქართულში ზმნის პოსტპოზიცია ძირითადად რეგულარულ გარდაუვალ ზმნებზე ვრცელდება, ამ უკანასკნელებთან კი ქვემდებარე სახელობითშია. იგივე ითქმის ქვემდებარის დისტანციურ პრეპოზიციანზე შემასმენლის მიმართ ძველსა და ახალ ქართულში.

რაც შეეხება პირდაპირ ობიექტს, ახალ ქართულში მისი პოზიცია კიდევ უფრო დაშორდა ადრინდელს. ასე რომ, ტრადიციის ძალა აქ უკვე მინელებულია.

მაგრამ, ამასთანავე, დადასტურდა მნიშვნელოვანი სხვაობა ძველსა და ახალ ქართულს შორის: ძველ ქართულში სინტაქსური ურთიერთობა და სიტყვათგანლაგება ერთმანეთთან ფუნქციონალურ კავშირში იყო: მაგალითების უმრავლესობაში მმართველი სიტყვა უსწრებდა დამოკიდებულს (მართულს), შემთანხმებელი კი მოსდევდა შეთანხმებულს. ამის გამო იყო, რომ წინადადების ძირითადი მმართველი სიტყვა — ზმნა — ხშირად გვხვდებოდა წინადადების თავსა და შუაში (ა. კიზირია). იგივე შეიძლება ითქვას მმართველ საზღვრულზედაც, რომელიც ძველ ქართულში სისტემატურად პოსტპოზიციური იყო (ატრიბუტული კი მრავალ შემთხვევაში პრეპოზიციურიც შეიძლებოდა ყოფილიყო).

